პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14 76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით — 12 მან.
უცხოეთში
1 თვით — 3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68. ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- 25 თებერვალს, უმუშევრობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩატარდა უმუშევართა მძლავრი დემონსტრაციები.
- ჩრდ.-ამერიკის ფინანსთა სამინისტრო აღიარებს, რომ საბჭოთა შავი ქვის ექსპორტი დემპინგს არ წარმოადგენს.
- შესრულდა ათი წელი სპარსეთ - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადებიდან.

პარასკევი, 27 თებერვალი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 48 (3003)

გამარჯვების ზეიმი

საქართველოს მშრომელმა მასებმა დიდი ზეიმით გადაიხადეს მეათე 25 თებერვალი. 25 თებერვალს საქართველოს მიწა-წყალზე დამარცხებული იქნა მენშევიკური მთავრობა და ძალაუფლება გამარჯვებულ მუშებისა და გლეხების ხელში გადავიდა. მას შემდეგ ათმა წელმა განვლო. ამ წლების მანძილზე იმპერიალიზმის შინაყმების — ქართველი მენშევიკების მპყრობელობისაგან თავდახსნილი ქვეყანა, მუშებისა და გლეხების საქართველო გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ ფართო სოციალისტური მშენებლობის გზით. მშრომელი მასების შემოქმედებითი შესაძლებლობანი უაღრესად გაიშალა, ამეტყველდა მიწის წიაღში დღემდე უქმად მდებარე სიმდიდრენი, ჩაისახა და განვითარდა გეგმიანი მეურნეობა. ყოველივე ეს ხდებოდა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების უდიდესი ძმური დახმარებისა და მტკიცე ეროვნული ძმობის პირობებში. ათი წლის განმავლობაში მეურნეობრივად დაძაბუნებული, თოხისა და სახნისის ეკონომიკაზე დაყრდნობილი, ჯერ მეფისა და შემდეგ მენშევიკების სატრაპებისაგან გაძარცულ - გაძვალტყავებული საქართველო გადაიქცა ფაბრიკებისა და ჰიდროელსადგურების, კოლექტიურ გლეხურ მეურნეობათა და ტრაქტორების ქვეყნად.

25 თებერვალი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც წარმოადგენდა ბოლშევიკურ საქართველოს მიღწევათა უმძლავრეს დემონსტრაციას. რა იყო და რა არის? აი ის კითხვა, რომელიც თავისთავად იბადება ყოველ 25 თებერვალს საქართველოს მშრომელთა წინაშე, რომლების მეხსიერებაშიც იმდენად ღრმა კვალი დააჩინა მენშევიკების განუკითხავ სისხლიან ბატონობამ, რომ წარსული მწარე მოგონებანი ჯერ კიდევ მეტად ცოცხალია.

საქართველო ჯერ სულთანის ჯარების ქუსლით გაქელილი, შემდეგ ვილჰელმის გენერლებისადმი დამონებული; საქართველო, რომელმაც მენშევიკების ხელში არ იცოდა დამოუკიდებელი არსებობა; საქართველო, რომელიც გერმანიის იუნკრების ბატონობისაგან ანტანტის ჯარების მონა-მორჩილად გადაიქცა; საქართველო, სადაც ყოველი ჯურის ფონკრესსები, ტომსონები, ბიჩები, უოკერები, შევალიეები და სხვა არამზადები—სახელმწიფოს სვე-ბედის შემქმნელად გვევლინებოდნენ; განუწყვეტლივ ეროვნულ შუღლისა და რევოლიუციონურ აჯანყებათა სისხლით შეღებილი საქართველო, სადაც ეგრედ წოდებული „სახალხო გვარდია" ცეცხლით და მახვილით უსწორდებოდა მიწისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გლეხობას; საქართველო, სადაც მუშები და გლეხები უფლებაახდილნი იყვნენ, მათი საუკეთესო ნაწილი კი ციხეებში იყო გამომწყვდეული, ხოლო შეძლებულ ელემენტებს და სპეკულიანტურ ბურჟუაზიას მოქმედების ფართო ასპარეზი ჰქონდა გაშლილი; საქართველო, სადაც მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილებისათვის მაგარი ურდულებით იყო გადარაზული სკოლის კარები და მეცნიერება მხოლოდ შეძლებულთათვის არსებობდა, აი რა იყო მენშევიკების „ქებული" საქართველო, მენშევიკური „დემოკრატიული ოაზისი", სადაც სასოწარკვეთილებამდე მივიდნენ მშრომელი მასები. სადაც შეუჩერებლად ძირი ეთხრებოდა ქვეყნის საწარმოო ძალებს და ყველაფერი გადაშენების გზით მიექანებოდა.

რა გვაქვს ჩვენ დღეს?

ჩვენი ქვეყანა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ნაცადი ხელმძღვანელობით დღითი-დღე, თვალ და თვალ იზრდება. საქართველო ფართოდ იყენებს თავის თეთრი ნახშირის უმდიდრეს მარაგს — ჩვენი ქვეყანა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ ელექტროფიკაციის გზით: ზაჰესი, რიონჰესი, აბჰესი, აჭჰესი, ალპანჰესი და მრავალი სხვა მძლავრი ჰიდროელსადგური, რომლებიც ნაწილობრივ დამთავრებულია, ხოლო ნაწილობრივ შენდება. ნუ თუ ვისმე შეუძლია უარყოფა საბჭოთა საქართველოს ამ მიღწევებისა, რომლის მსგავსი ჩვენს ქვეყანას არ მოელანდებოდა არც ერთი ხელისუფლების, არც ერთი წყობილების პირობებში!

კასპის უდიდესი ცემენტის ქარხანა, მაუდის ფაბრიკები თბილისში და ქუთაისში, აბრეშუმის ქარხნები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, მექანიკური ქარხანა თბილისში, ბარიტისა და ანდეზიტის დამუშავება, მარელისის ავეჯეულობისა და ბორჯომის ტკეჩის ქარხანა, მრავალი ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ფერო-მარგანეცის ქარხანა ზესტაფონში, ტყვარჩელის მაღაროების დამუშავება და მრავალი სხვა, აი საბჭოთა საქართველოს მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. აი, ის შედეგები, რომლითაც ის შეეგება თავისი საამაყო, ნამდვილად თავისუფალი არსებობის ათი წლის თავს. აი, რაც ჰქმნის მტკიცე ბაზას ქვეყნის ეკონომიური აყვავებისათვის, პროლეტარიატის რიცხვობრივ და იდეურ-ორგანიზაციულ გავლენის ზრდისათვის.

საქართველო, სადაც დღეს 2081 კოლექტიური მეურნეობაა; საქართველო, სადაც გლეხს ათიოდე წლის წინად სიტყვა ტრაქტორი არც კი გაეგონა, დღეს, ექვსასამდე მარტო ტრაქტორია; საქართველო, რომელმაც ომი გამოუცხადა მამა-პაპურ შრომას, კამეჩის ტემპებს, რომელიც აძევებს სოფლიდან ადამიანის შრომისა და დროის უზომოდ მფლანგველს, არარენტაბელურ კულტურებს და მათ ნაცვლად სპეციალურ და ტექნიკურ კულტურებს ფართოდ უღებს კარებს; საქართველო, სადაც წინად მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი ძლივს არსებობდა და, სადაც დღეს გახსნილია 14 უმაღლესი სკოლა, რომელშიაც იჭედება გაქანებულ სოციალისტური მშენებლობისათვის ეგზომ საჭირო ახალი მუშური კადრები; საქართველო, რომელშიაც ამ ათი წლის განმავლობაში ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა ეროვნული შუღლის ნიადაგზე, სადაც მემკვიდრეობით ნაანდერძევი ზოოლოგიურ ნაციონალიზმმა — ველურობის ამ ერთ-ერთ უსაძაგლეს გამოხატულებამ ადგილი დაუთმო ხალხთა ძმობას, მტკიცე ეროვნულ სოლიდარობას.

აი რა მოგვცა ჩვენ 25 თებერვალმა, აი სად უნდა ვეძებოთ მშრომელი მასების უდიდესი ენტუზიაზმის ახსნა, რომლის მოწამენიც ჩვენ ვართ საქართველოს მეათე 25 თებერვლის დღეებში.

და ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ, როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც ჩვენი ზეიმი გლოვა და კრუნჩხვაა საქართველოს მუშათა კლასის მტრებისათვის, ქართველი და ყველა ჯურის კონტრ - რევოლიუციონერებისათვის.

ათი 25 თებერვალი უმძიმესი ლოდია ბნელეთის მოციქულ მენშევიზმის გულზე. ახალი საქართველო, 1921 წლის 25 თებერვალს დაბადებული, იზრდება და ვაჟკაცდება, ის მთელ საბჭოთა კავშირის და ამიერკავკასიის ხალხებთან ხელი ხელ ჩაკიდებული პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე და ორ ფრონტზე დაუნდობელი ბრძოლით აშენებს სოციალისტური ეკონომიკის საფუძველს. და არ არსებობს ძალა, რომელიც შეძლებს გადაახვევინოს საბჭოთა საქართველოს 25 თებერვლის გზიდან, რადგან ასეთია ნება უძლეველი და მოწინავე კლასის პროლეტარიატისა, ასეთია ნება ისტორიის.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის შესახებ

შესრულების კომისიის დადგენილება*)

მოსკოვი, 26 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა შესრულების კომისიამ მოისმინა სმუ საბჭოს და საკავშირო მიწსახკომის წარმომადგენელთა მოხსენებები და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის და მელითონეთა კავშირის ცენტრ. საკავშირო მიწსახკომის წარმომადგენელთა თანამოხსენებები გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღის დამზადებასთან დაკავშირებით პარტიისა და მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების შესრულების შესახებ. შესრულების კომისიამ დაადგინა—გამორკვეულად ჩაითვალოს, რომ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივების შესრულებისადმი მთელი რიგ სამეურნეო ორგანიზაციების, განსაკუთრებით „სოიუზსელმაშ"-ის გამგეობის დაუშვებელი დამოკიდებულების გამო, ეს დირექტივები არ შესრულდა, რასაც შედეგად მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროგრამის შესრულების საგრძნობლად შეფერხება 1930 წლის განსაკუთრებულ კვარტალში და 1931 წლის იანვარში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ განვლილი ოთხი თვის განმავლობაში არა დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად „სტალი"-ს, „ვოსტოკსტალ"-ის და „ტალმეტ"-ის გამგეობანი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების კომპლექტებით და ლითონით მომარაგების ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა „სოიუზსელხპრომ"-ის გამგეობა, რომელმაც დაუშვებლად გააჭიანურა „სოიუზსელხპრომ"-ის ქარხნების მიმაგრება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებზე.

შესრულების კომისია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა, მარცვლეულის ტრესტმა, კოლმეურნეობათა ცენტრმა და ტრაქტორცენტრმა თავის დროზე არ მიიღეს ზომები იმისათვის, რომ გამოერკვიათ ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ნამდვილი მდგომარეობა, რომლებიც აუცილებელია გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარებისათვის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

ლებით.

შესრულების კომისია, ითვალისწინებს რა მთავრობის მიერ 1931 წლისათვის მიღებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გეგმას, მოახლოებულ თესვის კამპანიის ინტერესებისათვის ადგენს:

ცალკე გამოიყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოო პროგრამა დარჩენილი ვადისათვის (1 აპრილამდე) იმ ანგარიშით, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიაში არც ერთი ტრაქტორის მუშაობა არ შეფერხდეს მისაბმელი იარაღის უქონლობით რომ სამან.-სატრაქტორო სადგურები და კოლმეურნეობები უზრუნველყოფილ იქნან საჭირო ინვენტარით ცხენის გამწევი ძალისათვის და რომ სატრაქტორო და საცხენო ინვენტარი მომარაგებულ იქნას სათადარიგო ნაწილებით.

შესრულების კომისია გადაჭრით აფრთხილებს „სოიუზსელმაშ"-ის გამგეობას, რომ მას ეკისრება სპეციალური პასუხისმგებლობა „სოიუზსელმაშ"-ის მიერ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროგრამის ვადაზე და ზუსტად შესრულებისათვის.

შესრულების კამპანიამ ამ პროგრამის შესრულება უსათუოდ შესაძლებლად მიაჩნია, იგი თვლის მას საბრძოლო დავალებად მახლობელ გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის და პასუხისმგებლობას მისი თავის დროზე განხორციელებისათვის აკისრებს კომუნარის სახელობის ქარხნის (ზაპოროჟიეში), „პლუგ ი მოლოტ"-ის (ნიკოლაევში), „სიბსელმაშ"-ის (ომსკში), „კრასნი აქსაი"-ს (დონის როსტოვში) და სხვა ქარხნების დირექტორებს.

შესრულების კომისია ღებულობს ცნობად საბჭოთა კავშირის სმუ საბჭოს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სმუ საბჭომ ზუსტი დავალებანი მისცა იმ ქარხნებს, რომლებიც ლითონს, ლითონის პროდუქციას და ხე-ტყის მასალას აწვდიან სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებს.

ამასთან დაკავშირებით, შესრულების კომისია ცალკე მიუთითებს ძირითად პასუხისმგებლობაზე ამ დავალებათა შესრულებისათვის.

„სოიუზსელმაშ"-ის გამგეობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, შესრულების კომისიამ წინადადება მისცა სმუ საბჭოს პრეზიდიუმს—სასწრაფოდ გააძლიეროს და შეავსოს „სოიუზსელმაშ"-ის გამგეობა ახალი მომზადებული მუშაკებით. (ადს).

---

*) დადგენილება გადმოცემულია შემოკ-

დაიხურა ა-კ. საბჭოთა მეექვსე ყრილობა

24 თებერვლის დილის სხდომა

მებამბეობის განვითარებისა და ა.-კ. წყალთა მეურნეობის შესახებ

ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენება

ჩვენი საფეიქრო მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდება

ამხანაგებო! სამი წლის წინად, როცა ჩვენ შევადგინეთ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, ჩვენ კარგად ვიცოდით რომ ეს იყო სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გეგმა. ეს გეგმა არ სწამდათ არა მარტო ჩვენს მტრებს, რომლებიც მას ფანტაზიას უწოდებდნენ, არამედ ზოგიერთ ჩვენს მეგობრებსაც. მაგრამ გასულმა ორმა წელმა დაამტკიცა, რომ ხუთწლიან გეგმას ჩვენ შევასრულებთ 4 წელიწადში, მთელ რიგ გადამწყვეტ დარგებში კი უფრო ადრეც. ასეთი უდიდესი მიღწევა შესაძლებელი გახდა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე, მუშათა კლასის უდიდესი ენტუზიაზმისა და აქტივობის საფუძველზე.

სწრაფი ტემპით მიდის წინ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, იზრდება როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობა, კერძოდ, თუ ავიღებთ საფეიქრო მრეწველობას, აქ ჩვენ გვაქვს სწრაფი ზრდა: 1927-28 წელს მთელი საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობას ესაჭიროებოდა 359.000 ტონა ბამბის ძაფი, 28-29 წელში—387.000 ტონა და 29-30 წელში 482.500 ტონა. ფაქტიურად დამზადებული იქნა 27-28 წელში—216.000 ტონა, 28-29 წელში—244.800 ტონა და 29-30 წელში—264.000 ტონა. როგორც ხედავთ, ბამბის ძაფის დეფიციტი მნიშვნელოვან რაოდენობას აღწევს.

თუ ავიღებთ ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობას, ჩვენ აქაც დიდი ზრდა გვაქვს. 1928-29 წელში ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო იყო 2532 ტონა ბამბის ძაფი, 31 წელში ეს ციფრი გაიზარდა—13.044 ტონამდე, ხოლო 32-33 წელში კი გაიზრდება—20.000 ტონამდე. ეს ციფრები ნათლად მოწმობენ—თუ როგორი სწრაფი ტემპით იზრდება ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობა. ამ მრეწველობის უზრუნველსაყოფად ნედლეულით საჭიროა ბამბის მეურნეობის განვითარება. ჩვენ ბამბით უნდა უზრუნველვყოთ არა მარტო ამიერ-კავკასიის ფედერაციის საფეიქრო მრეწველობა, არამედ ბამბა უნდა მივაწოდოთ მთელი ჩვენი კავშირის საფეიქრო მრეწველობას. დღეს უკვე პრაქტიკულად უნდა დაისვას საკითხი, რომ ჩვენი საფეიქრო მრეწველობა ნამდვილად დამოუკიდებელი გახდეს უცხოეთის ბამბისაგან. ამიტომ უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რომ გამოვამჟღავნოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობა ამ დარგში.

რატომ ჩამოვრჩით ბამბის თესვის დარგში

გადავხედოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ამიერ-კავკასიაში? 1914 წელში ამ.-კავკასიაში ბამბით დათესილი იყო 136.600 ჰექტარი, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის წლებში ეს სივრცე მნიშვნელოვნად შემცირდა. მებამბეობის აღორძინება იწყება 1926 წლიდან, როდესაც ჩვენ გეგმიანად შევუდექით სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებას. 1927 წელში ბამბით დათესილ იქნა 117.000 ჰექტარი, 29 წელში—129.299 ჰექტარი, ხოლო 30 წელში 160.000 ჰექტარზე მეტი. უნდა ითქვას, რომ 1930 წლის გეგმის შესრულებაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, ასე, მაგ.: 20 თებერვლისათვის ბამბის შეგროვების გეგმა შესრულებულია: 42,3 პროცენტით აზერბეიჯანში, 59,9 პროც. სომხეთში და 36,6 პროცენტით საქართველოში. ჩვენ ქვეყნისათვის უნდა მიგვეცა 150.000 ტონა ბამბა, ფაქტიურად კი შევაგროვეთ მხოლოდ 67.000 ტონა.

რაშია საქმე, რატომ ჩამოვრჩით ჩვენ ასე გეგმის შესრულებაში? უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კულაკებმა და სოფლის კონტრ-რევოლიუციონურმა ელემენტებმა, რომლებიც აგიტაციას ეწევიან ბამბისა და საერთოდ ტექნიკური კულტურების წინააღმდეგ. მებამბეობის რაიონებიდან ჯერ კიდევ არ არის განდევნილი ხორბლეული კულტურები. მართალია, 1922 წელთან შედარებით ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ ბამბის კულტურის გავრცელების დარგში, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ უკანასკნელი წლების გეგმების შესრულებაში თვალსაჩინოთ ჩამოვრჩით. ეს გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ოქროს ფონდზე, რადგან სახელმწიფო იძულებულია ბამბის დანაკლისი შეივსოს ბამბის უცხოეთიდან შემოტანით.

რას გულისხმობს 1931 წლის გეგმა

1931 წელში ჩვენ გეგმით უნდა დავთესოთ 250.000 ჰექტარი ბამბა, აქედან 205.000 აზერბეიჯანში, 25000 ჰექტარი სომხეთში და 20.000 ჰექტარი საქართველოში. ბამბის მოსავლიანობის მხრივ ჩვენ ჩამოვრჩით ომის წინა ხანების ნორმას 40 პროცენტით. წელს დასმულია საკითხი, რომ ეს მდგომარეობა გადაჭრით გამოსწორდეს. თუ 1930 წელში ამიერ-კავკასიაში ჩვენ შევაგროვეთ 70.000-მდე ტონა ბამბა, 1931 წელში ეს რაოდენობა უნდა გაიზარდოს 211.000 ტონამდე. ბამბის სივრცის გადიდება ხდება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხარჯზე. ბამბის თესვა იწარმოებს კონტრაქტაციის წესით. კულაკთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებას არ ვდებთ, მას არც სამრეწველო საქონელს ვაძლევთ. კულაკს ეძლევა მტკიცე დავალება თუ რამდენი სივრცე უნდა დაითესოს და ეს დავალება მან უნდა შეასრულოს. წელს პირველად შემოღებულია პრემიალური ფონდი იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც საუკეთესოდ შეასრულებენ გეგმას. პრემიალურ ფონდში წელს 60.000 ფუთი ბრინჯი, ერთი მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი და სხვ. წელს საკონტრაქტაციო ავანსის სახით დარიგებული იქნება 9,898,000 მანეთი. წარსული წლების მაგალითიდან ვიცით, რომ წაღებული ავანსი ზოგან ჯერაც არ არის დაბრუნებული. ეს ხელს უშლის ჩვენი საფინანსო გეგმის შესრულებას. ამიტომ წელს ასეთი მდგომარეობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ავანსი დროზე იქნეს დარიგებული და დროზევე და მთლიანად იქნეს აკრეფილი.

რა არის საჭირო ბამბის თესვის დასახული გეგმის შესრულებისათვის? უპირველეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ წყალთა მეურნეობის საკითხებზე. ომამდე ამიერ-კავკასიაში სამელიორაციო სივრცე შეადგენდა—749.000 ჰექტარს, 27-28 წელში უკვე გვქონდა 784.000 ჰექტარი, 32-33 წელში კი ეს სივრცე გაიზრდება კიდევ 473.000 ჰექტარით, უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის წყლის რესურსები მინიმალურადაც კი არ არის გამოყენებული. ის გეგმა, რომელიც ჩვენ გვაქვს წყალთა მეურნეობის დარგში, არ შეეფერება სოციალისტური მეურნეობის განვითარებას. ადგილობრივი არხები არ არის საკმარისად გამოყენებული. ამიტომ ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას უნდა შეადგენდეს ამ არხების რეორგანიზაცია. მეორე საკითხია—წყალსაქაჩავების საკითხი. წყალსაქაჩავების რიცხვი ომის წინა ხანებთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ ამ წყალსაქაჩავების მუშაობის ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ახალი დიდი საირიგაციო სამუშაოებიდან ჩვენ გვაქვს მილის არხი, რომელიც უნდა დამთავრდეს 1933 წელში, ყარასახკალის, ეჩმიაძინის, ალაზნის, ტირიფონის არხები და სხვ., ყველაფერი ეს ჩვენი დიდი მიღწევაა, რომლის უარყოფა არ შეუძლია ჩვენს მტრებსაც კი. მაგრამ საჭიროა მოგვარებული იქნეს წყლით სარგებლობის საკითხი. ამ დარგში უნდა აღმოიფხვრას ის ჩამორჩენილი მეთოდები, რომელთაც დღემდე ჰქონდა ადგილი. პირველ რიგში წყალი უნდა მივაწოდოთ ბამბის ნათესებს.

როგორც ზევით იყო აღნიშნული ბამბის ფართობის გადიდება ხდება უმთავრესად საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობების ხარჯზე. 1928 წელში საბჭოთა მეურნეობებში ჩვენ გვქონდა 2017 ჰექტარი ბამბა, 29 წელში—2500 ჰექტარი, 30 წელში—3500 და 32 წელში გვექნება—22,500 ჰექტარი. მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა თანხა განსაზღვრულია 17,451,000 მანეთით. საშუალო მოსავალი ნავარაუდევია 70-80 ფუთი ჰექტარზე.

რაც შეეხება კოლმეურნეობებს, 1928 წელში ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში ჩვენ გვქონდა 181 კოლმეურნეობა, 29 წელში—303, 30 წელში—801; 1931 წელში ჩვენ მიზნათ ვისახავთ მებამბეობის რაიონებში კოლმეურნეობებში გავაერთიანოთ გლეხთა მეურნეობების 20-25 პროცენტი.

რა არის საჭირო გეგმის შესრულებისათვის

ბამბის თესვის მიმდინარე წლის გეგმის შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მებამბეობის რაიონების უზრუნველყოფას მექანიკური გამწევი ძალით. ამ მხრივ 1931 წელში ბევრი რამ იქნება გაკეთებული. თუ 1930 წელში ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში ჩვენ გვქონდა 4 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, წელს გვექნება 20 ასეთი სადგური, თუ შარშან ტრაქტორების რიცხვი მებამბეობის რაიონებში უდრიდა 960, წელს ეს რიცხვი მიაღწევს 2110-ს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მიწის განოყიერებას და გაუმჯობესებული თესლის შემოღებას. თესლის შერჩევა წლითი წლობით უმჯობესდება. წელს ბამბის თესვა მთელს ამიერ-კავკასიაში დამთავრებული უნდა იქნეს 10 მაისისათვის. შარშან თესვა გრძელდებოდა ივლისის შუა რიცხვებამდე. ეს ბოროტმოქმედებაა, რომელიც წელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული სახკომსაბჭოს მიერ დაწესებულ ვადისათვის—10 მაისისათვის მთელი თესვა დამთავრებული უნდა იქნეს.

ბამბას დიდ ზიანს აყენებენ მავნებლები—კალია და სხვა მწერები. კალია ყოველ წლიურად ანადგურებს ნათესების მნიშვნელოვან სივრცეს. საჭირო ხდება დიდი თანხების დახარჯვა და მრავალი მშრომელის მობილიზაცია სოფლის მეურნეობის ამ დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, რადგან მავნებლებთან ბრძოლა არის ბრძოლა ბამბის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ქიურდამირის და მუღანლოს რაიონებში ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ ამ რაიონებში შესაძლებელია ეგვიპტის ბამბის ფართოდ მოყვანა. ჩვენ უკვე გვაქვს ეგვიპტის ბამბის თესლი 1018 ჰექტარისათვის. ეს ფართობი მთლიანად იქნება გამოყენებული ამ კულტურისათვის. ამას გარდა საჭიროა ასეთი ცდები ჩატარებული იქნეს სხვა რაიონებშიაც, რათა გამოირკვეს ამ ძვირფასი კულტურის გავრცელების შესაძლებლობა.

მიმდინარე წლის გეგმით მებამბეობის დარგში დასმული ამოცანების შესრულება მოითხოვს ყველა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღების მობრუნებას ბამბისაკენ. მებამბეობის განვითარების ამოცანის ირგვლივ უნდა დავრაზმოთ აგრეთვე გლეხობის ღარიბ-საშუალო მასების ყურადღება. გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ კულაკობის წინააღმდეგ, რომელიც ებრძვის ბამბას და აგიტაციას ეწევა მისი განდევნის სასარგებლოდ, და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ გადახვევები საშუალო გლეხის მიმართ.

დასასრულ, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი ყრილობის ლოზუნგებათ უნდა გახდეს: მივსცეთ ქვეყანას 250.000 ჰექტარი ბამბა, ავსწიოთ ბამბის მოსავლიანობა 8 ნახევარ ცენტნერამდე ჰექტარზე, გავაუმჯობესოთ წყალთა მეურნეობის სისტემა, გავაძლიეროთ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშაობა და უზრუნველვყოთ ჩვენი საფეიქრო მრეწველობის დამოუკიდებლობა უცხოეთის ბამბისაგან.

თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, და ამას ჩვენ განვახორციელებთ საკავშირო კომ. პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, მაშინ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბამბის თესვის მიმდინარე წლის გეგმის შესრულება უზრუნველყოფილია (ტაში).

კამათი ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენების გარშემო

დილის სხდომაზევე დაიწყო კამათი ამხ. ბუნიატზადეს მოხსენების გარშემო.

გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ბამბის ფრონტზე ჩვენ უეჭველად დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შესაძლებლობას, რომელიც ჩვენ ამ დარგში გვაქვს.

რამ გამოიწვია შარშანდელი გეგმის შეუსრულებლობა—კითხულობენ ორატორები და თვითონვე უპასუხებენ, რომ ამაში დიდი როლი ითამაშა ბამბის მნიშვნელობის შეუფასებლობამ, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთ რაიონებში. მოწესრიგებული არ იყო წყლით სარგებლობის საკითხი, წყალსაქაჩავები ცუდათ მუშაობდნენ, სამომხმარებლო კოოპერაციამ დღემდე ვერ იბრუნა პირი მებამბეობისაკენ, ბამბის მთესველები დროზე ვერ ღებულობენ სამრეწველო საქონელს, ამ საქონლის ასორტიმენტი არ არის დამაკმაყოფილებელი და სხვ.

ამხ. **ნარგიზ ალიევა** აღნიშნავს, რომ ბამბას ამჟამად ცენტრალური ადგილი უჭირავს პარტიის პოლიტიკაში ეს კარგად აქვთ გათვალისწინებული ყრილობის დელეგატებს. საჭიროა ამ თავითვე ყურადღება მიექცეს იმ ფაქტორებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ თესვის გეგმის შესრულება.

ასეთია, უპირველეს ყოვლისა, წყალი. მთელ რიგ რაიონებში წყალი არ მოიპოვება საკმაო რაოდენობით, რაც არის—ისიც არ ნაწილდება რაციონალურად. წყლის მიწოდების და წყლით სარგებლობის საკითხის მოგვარებას უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. შ. **მათიკაშვილი** აღნიშნავს, რომ 1931 წელში მთელი კონტრაქტაცია ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მან ნამდვილად ხელი შეუწყოს ნათესების გაფართოებას და მოსავლიანობის გადიდებას. წელს საქართველოში ბამბის ნათესების სივრცე გადიდებული იქნება 20.000 ჰექტარამდე, წინააღმდეგ 11.000 ჰექტარისა, რომელიც იყო შარშან. 20.000 ჰექტარი არ არის უკანასკნელი საზღვარი საქართველოსთვის. ჩვენში მებამბეობა შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს. ალაზნის არხი, სამგორის ველის მორწყვა და მთელი რიგი სხვა საირიგაციო სამუშაოები საშუალებას მოგვცემენ ჩვენ მომავალ წელში კიდევ უფრო გავადიდოთ ბამბის ნათესების ფართობი. ბამბას დიდი პერსპექტივები აქვს დასავლეთ საქართველოშიც, სადაც იგი დიდი ხანია ცნობილია, ბამბა იქ ძველადაც ითესებოდა. წელს ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს გეგმის ზევით დავთესოთ დასავლეთ საქართველოში 1000 ჰექტარი ბამბა. თუ ამ ცდამ დადებითი ნაყოფი გამოიღო, მაშინ ჩვენ მომავალში კიდევ უფრო ფართოდ გავშლით მუშაობას ამ მიმართულებით.

მებამბეობის განვითარებაში დიდი როლი ეკისრება საბჭოთა მეურნეობებს. წელს ალაზნის საბჭოთა მეურნეობამ უნდა დათესოს 6.000 ჰექტარი ბამბა. მაგრამ მე მინდა ყრილობის ყურადღება მივაქციო იმ გარემოებაზე, რომ ეს საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის მომზადებული ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად. მას ბევრი რამ აკლია. ალაზნის საბჭოთა მეურნეობის ბედი უშუალოდ დაკავშირებულია ალაზნის არხის დამთავრებაზე. ამიტომ ამ არხის გაყვანა თუ არ დამთავრდა პირველი მაისისათვის, ბამბის თესვა ალაზანზე შეიძლება შეფერხდეს. ამიტომ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობებმა.

25 თებერვლის საღამოს სხდომა

25 თებერვალს დილით სხდომა არ შემდგარა. საღამოს გაგრძელდა კამათი ამხ. **ბუნიატ ზადეს** მოხსენების გარშემო.

გამოსული ორატორები ეხებიან ბამბის ფაბრიკების მუშაობას და აღნიშნავენ, რომ ხშირად გლეხებს 30-40 კილომეტრის მანძილზე მოაქვთ ფაბრიკებში ბამბა. ბამბის მიღებას, ამ საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომის გამო, მრავალი ნაკლი ახასიათებს. გლეხებს 3-4 დღე უხდებათ ცდა ბამბის ჩაბარების მოლოდინში, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მათში. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბ. **ბოგია** აღნიშნავს, რომ ომამდე საქართველოში ბამბით დათესილი იყო 8.000 ჰექტარი. 1920 წელში ბამბის ნათესები სრულებით არ იყო, 1930 წელში ბამბით დათესილი იყო 10.000 ჰექტარი, 31 წლისათვის კი გადაწყვეტილია ეს სივრცე აყვანილი იქნეს 20.000 ჰექტარამდე. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელი იქნება, თუ ჩვენ სათანადო სიმაღლეზე დავაყენებთ წყალთა მეურნეობის სამუშაობს. ამ დარგში ცენტრალურ ორგანოებს დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. საჭიროა ადგილობრივი სარწყავი სისტემების რეორგანიზაცია.

ამხ. **ყურბან სულთანოვი** აღნიშნავს, რომ არსებული წყალსაქაჩავები სიძველის გამო სათანადოთ ვერ მუშაობენ. საჭიროა მათი შეკეთება, ნაწილობრივ კი სავსებით შეცვლა. ეს დროზე უნდა იქნეს ჩატარებული, რომ ზაფხულისათვის ისინი უკვე წესრიგში იყონ მოყვანილი.

ამხ. **ჰამიდ სულთანოვი** საჭიროდ სთვლის მეტი ყურადღება მიექცეს სევანის ტბის გამოყენებას საირიგაციო მიზნებისათვის. წყლის ეს უდიდესი მარაგი ამ მხრივ დღემდი თითქმის სულ არ არის გამოყენებული. საჭიროა სევანის ტბა დაუკავშიროთ მდინარე არაქსის სისტემას და გამოვიყენოთ ბამბის ნათესებისათვის წყლის მისაწოდებლად. უნდა მოწესრიგდეს წყლით სარგებლობის საკითხი. გლეხს უნდა შევასწავლოთ წყლის რაციონალურად გამოყენების წესები. საჭიროა ამ მიზნით გამოცემული იქნეს სათანადო ინსტრუქცია.

როგორც სომხეთის დელეგატი ამხ. **ვარდანიანი** აღნიშნავს, რომ შარშან კონტრაქტაციის ჩატარების დროს იყო შემთხვევები, როცა ბამბისათვის დაკონტრაქტებული მიწები გლეხებმა გამოიყენეს სხვა კულტურებისათვის. ეს მოხდა იმის გამო, რომ სათანადო სიმაღლეზე არ იყო დაყენებული აღრიცხვის საქმე. ეს მდგომარეობა წელს აღარ უნდა განმეორდეს.

ამხ. **ასლანოვი** ეხება ბამბის მეურნეობის მომარაგებას მუშა-ხელით და ამბობს, რომ ამ დარგში მრავალ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი ეს მდგომარეობა ეხლაც არ არის გამოსწორებული. ასე, მაგ. საბჭოთა მეურნეობებმა შრომის კომისარიატს წარუდგინეს მოთხოვნილება 45.000 მუშა-ხელზე. შემდეგ ეს რაოდენობა შეამცირეს 16 ათასამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მეურნეობებმა არ იციან, თუ რამდენი მუშა-ხელი დასჭირდებოდათ მათ, არ აქვთ შედგენილი კონკრეტული გეგმები ამ დარგში. იმ რაიონებს, რომლებსაც ესაჭიროებათ მუშა-ხელი, დღემდე არც ერთი ხელშეკრულება არ დაუდვიათ შრომის კომისარიატის ორგანოებთან. ეს არანორმალური მდგომარეობაა. მუშები, რომლებიც ადგილებზე მუშაობენ, არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით და სურსათ-სანოვაგით. ამას ყურადღება უნდა მიექცეს. თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, მუშა-ხელის მიწოდება ადგილებისათვის შეიძლება შეფერხდეს.

ამხ. **ხარაზიანი** ყრილობის ყურადღებას მიაპყრობს სარწყავი არხების სისტემაზე. ამჟამად ამიერ-კავკასიის სარწყავი არხების საერთო სიგრძე უდრის 20.000 კილომეტრს, ეს არხები ემსახურებიან 900 000 ჰექტარ სარწყავ მიწებს. არხების უმრავლესობის მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა ამ არხების რეკონსტრუქცია. წყლის განაწილების დროს დღემდე არ იყო დაცული კლასობრივი პრინციპი. წყლით უმეტეს შემთხვევაში სარგებლობდნენ კულაკები. ღარიბამდე წყალი ზოგჯერ სულ არ აღწევდა. მირაბები, რომლებიც ანაწილებენ წყალს, არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას. მირაბად უმეტეს შემთხვევაში უცხო ხალხია არჩეული. ამჟამად ხდება მათი შემადგენლობის გადასინჯვა უცხო და მიუღებელი ელემენტების განდევნის მიზნით.

—

ილაპარაკეს აგრეთვე მთელ რიგ ორატორებმა, რომლებიც უმთავრესად ეხებოდნენ წყალთა მეურნეობის საკითხებს.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ბუნიატ-ზადე.

ამხ. ბუნიატ-ზადეს საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! აქ გამოსულ არც ერთ ამხანაგს არ უთქვამს, რომ ბამბის თესვის გეგმა დიდია და საჭიროა მისი შემცირება. პირიქით, ორატორები აღნიშნავდნენ, რომ გეგმა სავსებით რეალურია და შესაძლებელია მისი გადაჭარბებითაც შესრულება. ამას გაითვალისწინებს ყრილობა.

მე მინდა შევჩერდე ერთ გარემოებაზე. ზოგიერთი ამხანაგი ვერ ითვალისწინებს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს რევოლიუციის წინა ხანების მებამბეობასა და ეხლანდელ მებამბეობას შორის. რევოლიუციამდე მებამბეობას მისდევდნენ მემამულეები, რომლებიც ამუშავებდნენ თავიანთ მიწებს სპარსეთიდან ჩამოსული მუშების საშუალებით. ეხლა ბამბას სთესავენ ღარიბი და საშუალო გლეხები, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები. ამიტომ ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოთ მათ დასახული გეგმის შესრულებაში. იქ, სადაც მცირეა მუშა-ხელი, ჩვენ უნდა ვიკისროთ მისი მიწოდება. ეს საქმე უნდა მოაგვარონ კომისარიატის ორგანოებმა.

მებამბეობის საბჭოთა მეურნეებმა, რომლებმაც უნდა დათესონ ბამბის მნიშვნელოვანი სივრცე, უნდა გადაიქცნენ ხანიმუშო მეურნეობებათ. მათ უნდა მოგვცენ მებამბეობის რაციონალურ საფუძველზე დაყენების ნიმუში.

მებამბეობის განვითარებისათვის საჭიროა კადრები. კადრების მოსამზადებლად ჩვენ გახსნილი გვაქვს მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები: ამიერ-კავკასიის სამელიორაციო ინსტიტუტი, ამიერ-კავკასიის მებამბეობის ინსტიტუტი და რამდენიმე სას. სამ. ინსტიტუტი. ამ დარგში ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მებამბეობის ინსტიტუტი მოთავსებულია ბაქოში, რომლის ნიადაგიც სრულებით არ შეეფერება ბამბას. ამიტომ ამჟამად დასმულია საკითხი ამ ინსტიტუტის განჯაში გადატანის შესახებ.

მებამბეობის დარგში, როგორც მე უკვე ვსთქვი ჩემს მოხსენებაში, ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბამბის მოსავლიანობის გადიდება. რა არის ამისათვის საჭირო? უპირველეს ყოვლისა საჭიროა კარგი სარწყავი სისტემა და წყალი. წყალი არის, საჭიროა მხოლოდ მისი რაციონალურად გამოყენება. სარწყავ სისტემას რეორგანიზაცია ესაჭიროება. ეს რეორგანიზაცია დროზე უნდა ჩატარდეს, რომ გეგმის შესრულება არ შეფერხდეს. წყლის გარდა საჭიროა მანქანა-იარაღები, გაუმჯობესებული თესლი და სასუქი. მიღებულია ზომები, რომ ყველაფერი ეს გვქონდეს.

მებამბეობის განვითარების 1931 წლის გეგმა არის ბამბის მეურნეობის სოციალურტექნიკური რეკონსტრუქციის გეგმა. ამიტომ ამ გეგმის შესრულების გარშემო დარაზმული უნდა იქნეს ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება. ამ გეგმას ჩვენ შევასრულებთ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და ამიერ-კავკასიის მთელი მუშათა კლასის დახმარებით.

—:—

ამხ. ბუნიატ-ზადეს მოხსენების გარშემო რეზოლიუციის შესამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია 32 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ ყრილობას მიესალმენ ბაქოს კოოპკავშირელთა დელეგაციის სახელით ამხ. **მამედოვი** და **კირშევი**, ბაქოს რაიონის კოლმეურნეთა სახელით ამხ. **ჯალალ ზეინალოვი** და აჯიყურის კოლმეურნეობის სახელით ამხ. **მუთაქიანი**.

უკანასკნელი სხდომა

ამხ. შავერდოვის მოხსენება

26 თებერვალს საღამოს შესდგა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელმაც მოისმინა ამხ. **შავერდოვის** მოხსენება საკონსტიტუციო საკითხებზე.

— თავისი მუშაობის დასასრულს—სთქვა ამხ. შავერდოვმა—ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს მთელი რიგი საკონსტიტუციო საკითხები. ეს აუცილებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ განვითარების ეხლანდელი ტემპების პირობებში, ჩვენი სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი და შეუჩერებელი ზრდის პირობებში, ჩვენი სახელმწიფო აპარატის მთელი სისტემა, სახელმწიფო ორგანიზაციების მთელი სტრუქტურა უნდა განვითარდეს და შეიცვალოს ახალ ამოცანებთან შეფარდებით.

შემდეგ ამხ. შავერდოვი აღნიშნავს, რომ იცვლება ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ.-ის კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომელიც გულისხმობდა დელეგატების არჩევას ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობაზე საბჭოთა სამაზრო ყრილობებიდან. ამიერიდან დელეგატებს აირჩევენ საბჭოების რაიონული ყრილობები. საბჭოთა ყრილობები მოწვეული იქნება ორ წელიწადში ერთხელ და არა ყოველწლიურად, როგორც ეს აქამდე იყო.

სამეურნეო ფრონტზე მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით ვაჭრობის სახალხო კომისარიატი უკვე აღარ არის საჭირო, ამიტომ ის შეცვლილია მომარაგების სახალხო კომისარიატით. ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს აპარატის ფუნქციები გადაეცა საგეგმო კომისიას, რითაც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი უწყება, გაუქმდა. საგეგმო კომისიის თავმჯდომარე შედის სახკომსაბჭოს შემადგენლობაში.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა ყველა ცვლილებები.

სამანდატო კომისიის მოხსენება

შემდეგ სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **პეჯცოვმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ყრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრებოდა 695 დელეგატი. დელეგატების რიცხვი მეხუთე ყრილობის დელეგატების რიცხვთან შედარებით გაიზარდა 48 კაცით. 695 დელეგატიდან მამაკაცებია 641 ანუ 92,2 პროცენტი, ქალები—54 ანუ 7,8 პროცენტი.

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

მოხსენებების დამთავრების შემდეგ ყრილობას მიესალმნენ: ყოფილ პარტიზანების და წითელგვარდიელების სახელით ამხ. **ვაცეკი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ყოფილ წითელგვარდიელთა საზოგადოებამ ჩვენი წითელი სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად გადასდო 20 ათასი მანეთი, შმიდტის სახელობის ქარხნის (ბაქო) მუშების სახელით ამხ. **სარქისოვი**, ბაქოს სამკერვალო ფაბრიკის მუშების სახელით ამხ. **ზულიევა**, კრეისერ „წითელი კავკასია"-ს სახელით ამხ. **გორსკი**, რომელმაც ყრილობას უძღვნა კრეისერის მოდელი, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშების სახელით ამხ. **მიკირტუმოვი**, ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეთა სახელით ამხ. **მარიამ აბაევა** და ყაზბეგის ანდეზიტის სამუშაოების მუშების სახელით ამხ. **ჩქარეული**.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა აიღოს შეფობა კრეისერ „წითელ კავკასია"-ზე.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

დასასრულ, მოხდა ამიერ-კავკასიის ცაკის ახალი შემადგენლობის არჩევნები. ამიერ-კავკასიის ცაკში სულ არჩეულია 485 დელეგატი.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ამხ. **მუსაბეკოვმა** ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

უმუშევართა მრისხანე დემონსტრაციები

სისხლისმღვრელი შეტაკება ბერლინში

ბერლინი, 25 თებერვალი. მიუხედავად პოლიციის გაუგონარი ტერორის, 25 თებერვალს ბერლინის ყველა რაიონებში გაიმართა უმუშევართა მრისხანე დემონსტრაციები.

დემონსტრანტებს და პოლიციელებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები, პოლიცია ესროდა უმუშევრებს. დაჭრილია რამდენიმე მუშა.

უმუშევრების განსაკუთრებით მძლავრი დემონსტრაცია გაიმართა ბერლინის ცენტრში გორმანშტრასეზე არსებულ შრომის ბირჟასთან. დილიდანვე შრომის ბირჟა გარშემორტყმული იყო პოლიციის ძლიერი რაზმებით. მიტინგის დროს ბირჟის ეზოში [illegible] გაისმა პირველი სროლის ხმა. ამან უმუშევართა შორის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ბირჟიდან დაუშინეს სკამები და სხვა საგნები. პოლიციამ ამაზე [illegible] სროლით უპასუხა, ამასთან მძიმედ დასჭრა სამი უმუშევარი. პოლიციელებმა შრომის ბირჟას ალყა შემოარტყეს და იქიდან უმუშევრები რეზინის ჯოხებით განდევნეს.

უმუშევრები განაგრძობდნენ დემონსტრაციას და მოითხოვდნენ **სამუშაოს, პურს და ბრიუნინგის მთავრობის ჩამოგდებას.**

ნეიკელნში ყველა ქუჩები გარშემორტყმული პოლიციის ძლიერი რაზმებით. უმუშევრებმა დემონსტრაცია მოაწყვეს ქალაქის თვითმმართველობის წინ; ისინი მოითხოვდნენ პურს. პოლიცია დაუზოგავად ფანტავდა მათ.

ბერლინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რაიონში პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და მათ სროლა აუტეხა.

[illegible] სასურსათო მაღაზიებს პოლიცია იცავს (ადს).

მიუხედავად პოლიციის სასტიკი ზომებისა

ვარშავა, 25 თებერვალი. მუშათა რაიონებსა და საწარმოებში უკანასკნელ დღეებში კომუნისტურ ფურცლებს ათასობით ავრცელებდნენ. 25 თებერვლისათვის ფაბრიკებში, და მუშათა სახლების კედლებზე გამოფენილი იყო პლაკატები რევოლიუციონური ლოზუნგებით, ტელეგრაფის ბოძებზე ჩამოკიდებული იყო წითელი დროშები,

პოლიცია მზად არის საბრძოლველად. პოლიციის რაზმები **გაზიანი ყუმბარებით არიან შეიარაღებულნი**. პოლიციის განკარგულებაში აგრეთვე გადაცემულია **ჯავშნოსნები** შრომის ბირჟას გაძლიერებით იცავენ. პოლიციას დირექტივა აქვს მიცემული — არ დაუშვას უმუშევართა დემონსტრაციები.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელთა [illegible] ჯგუფი ნიღაბებში და გაზიანი ყუმბარებით მთელი დღე დაძრწის ქალაქში, უკვე დილიდანვე შესდგა უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ გაჰფანტა. ბირჟასთან დილიდან ეწყობა მოძრავი მიტინგები. მუშები **მგზნებარედ ესალმებიან კომუნისტ ორატორებს**. მუშათა რაიონში მიტინგი უნდა შესდგეს. პოლიცია ჰფანტავს უმუშევართა ჯგუფებს რეზინის ჯოხების საშუალებით. მაინც შეიკრიბა 2000-ზე მეტი კაცი. სიტყვით გამოვიდა კომდეპუტატი ბუჟანსკი. პოლიციამ მას არ მისცა ლაპარაკის საშუალება და უმუშევრები მოედნიდან განდევნა.

პროლეტარული ბავშვების დემონსტრაცია ვარშავაში

ვარშავა, 25 თებერვალი. მაგისტრატის გამოანგარიშებით, ვარშავის პირველ-დაწყებით სკოლებში **ამჟამად 16.000 მშიერი და ნახევრად მშიერი ბავშვია, რომელთა მშობლებსაც არა აქვთ სამუშაო.**

ვარშავაში გაიმართა პროლეტარულ ბავშვების ორი დემონსტრაცია, რომელშიაც რამდენიმე ასი ბავშვი იღებდა მონაწილეობას. მშიერი, ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველი ბავშვები მწყობრად გამოვიდნენ ქუჩაში. მათ მიჰქონდათ პლაკატები წარწერით: „სამუშაო ჩვენს მამებს და პური ჩვენ [illegible]". ბავშვებმა გაიარეს ქალაქის ღარიბთა უბნებში.

ამ არაჩვეულებრივმა დემონსტრაციამ **შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ქუჩაში მიმავალი ქალები სტიროდნენ, როცა სიმშილისაგან ღონემიხდილი ბავშვების მსვლელობას უყურებდნენ. პოლიცია მივარდა ბავშვებს და გაჰფანტა ისინი. მაგრამ კიდევ დიდ ხანს გაისმოდა ბავშვების ყვირილი ქუჩებში: „მოგვეცით პური, გვშია. ძირს ფაშიზმი და კაპიტალიზმი".** (ადს).

საბჭოთა ბრიტანეთის ლოზუნგით

ლონდონი, 25 თებერვალი. ლონდონის ყველა უბნის საწარმოთა მუშებმა და უმუშევართა რაზმებმა თავი მოიყარეს ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე, პოლიცია ცდილობდა მიტინგის ჩაშლას. მან დააპატიმრა უმუშევართა საერთო ინგლისური კომიტეტის თავმჯდომარე და დემონსტრაციის მთავარი ორგანიზატორი; პოლიციამ მათ მოთხოვა გადაეხადათ დიდი ჯარიმა, რომელიც მათ რამოდენიმე კვირის წინად დაიდვეს და დღემდე გადაუხდელი ჰქონდათ.

მუშებმა, რომლებმაც დაპატიმრების ამბავი გაიგეს, დაუყოვნებლივ შეაგროვეს საჭირო თანხა ჯარიმის დასაფარავად. მიტინგზე სიტყვებით გამოსულ პოლიტს, საკლატვალას, ალისონს და სხვებს მქუხარედ ესალმებოდნენ. პოლიტი მუშებს მოუწოდებდა მხარი დაუჭირონ **პროლეტარულ კონტრ-შეტევას ლეიბორისტული მთავრობის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ და საბჭოთა ბრიტანეთისათვის ბრძოლას.** მიტინგის მონაწილეებმა აირჩიეს დელეგაცია საზოგადოებრივი დახმარების ლონდონის კომიტეტისათვის უმუშევართა მოთხოვნების წარსადგენად (ადს).

ცილისწამება აშკარავდება

ჩრდ.-ამერიკის ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. ფინანსთა მინისტრმა მელონმა გამოაქვეყნა ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება საბჭოთა მარგანეცის შეტანის საკითხის გამო. სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ საბჭოთა მარგანეცის ჩრდილოეთ - ამერიკაში **შეზიდვა დემპინგს არ წარმოადგენს. ამით უარყოფილია თხოვნა მარგანეცის მრეწველობის მფლობელებისა, რომელნიც „დემპინგის" საბაბით ცდილობენ საბჭოთა შავი ქვის შეტანის აკრძალვას (ადს).**

საბჭოთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ინტერესები

ვაშინგტონი, 26 თებერვალი. შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლომ გადასწყვიტა, რომ საბჭოთა ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარადგინონ სარჩელი ამერიკის სასამართლოში. ამას წინად იურისტმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ინტერესებს იცავს, ამერიკის მთავრობას წარუდგინა სარჩელი. ის მოითხოვდა რუსეთის იმ გემების ანაზღაურებას, რომლებიც „დობროფლოტ"-მა აგო და რომელთა რეკვიზიცია ომის დროს მოახდინა ჩრდ.-ამერიკის მთავრობამ. სამოქალაქო სასამართლომ უარი სთქვა ამ საქმის განხილვაზე და ეს იმით დაასაბუთა, რომ საბჭოთა ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ ჩრდ.-ამერიკის სასამართლოებში სარჩელი აღძრან, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა შეერთებული შტატების მიერ არ არის ცნობილი. **ახლა უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (ადს).**

ხუთწლედის მიზანი

ლონდონი, 26 თებერვალი. „დეილი მეილ" მკაცრად აკრიტიკებს მთავრობას, რომელსაც, გაზეთის აზრით, არ სურს შეითვისოს [illegible] პოლიტიკა, მიმართული საბჭოთა დემპინგის წინააღმდეგ. „დეილ მეილ" აღნიშნავს, რომ საბჭოთა ექსპორტი ინგლისში აღემატება ინგლისურ ექსპორტს საბჭოთა კავშირში და ასკვნის: „საქმე შეუწყნარებელ სკანდალამდე მივიდა"-ო.

პერსელი „მანჩესტერ გარდიან"-ში აქვეყნებს წერილს, სადაც ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც დემპინგის საბაბით მოითხოვს ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლას. **ხუთწლედის ძირითადი მიზანი,—სწერს პერსელი,—იმაში მდგომარეობს, რათა რუსეთში ცხოვრება გაუმჯობესებული იქნას და სრულიად არა იმაში, რათა საქონელი სანახევრო ფასად იქნას გატანილი. საბჭოთა პრესამ ეს გარკვევით აღნიშნა და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ამაში ეჭვი შევიტანოთ (ადს).**

სიმართლე აშკარავდება

ლონდონი, 26 თებერვალი. „მანჩესტერ გარდიან"-ში მოთავსებულია პარლამენტის ინგლის-რუსეთის კომიტეტის მდივნის კოტსის წერილი. კოტსი ამხელს ინგლისის სავაჭრო ფლოტის ოფიცრის ცნობების სიცრუეს პატიმართა შრომის შესახებ საბჭოთა ნავთსადგურებში, რასაც თითქო ადგილი ჰქონდეს. ოფიცრის წერილი გამოქვეყნდა „მანჩესტერ გარდიან"-ში ავგისტოს თვეში. კოტსი აცხადებს, რომ გასული წლის სექტემბერში მან დაათვალიერა ლენინგრადის ნავთსადგური, დონის როსტოვი და შავი ზღვის ყველა ნავთსადგურები, მაგრამ მას არსად არ უნახავს იმის მსგავსი რამეც კი, რასაც სავაჭრო ფლოტის ოფიცერი აღწერდა (ადს).

სიცრუე გაბათილებულია

ლონდონი, 25 თებერვალი. ბევრი გაზეთი აქვეყნებს საბჭოთა [illegible] განცხადებას, რომელიც აბათილებს ჟენევაში გავრცელებულ სიცრუეს იმის შესახებ, თითქო საბჭოთა მთავრობა აპირებდეს საშუალო და უმაღლეს სკოლების მოსწავლეთაგან 15 მილიონიანი არმიის შექმნას. სრულუფლებიანი წარმომადგენლობა აცხადებს, რომ „დოკუმენტი", რომელსაც მთელი ეს ისტორია ემყარება, არასოდეს არ არსებობდა. საქმე ეხება განათლების სახალხო კომისარიატის არ არსებულ ცირკულიარს (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა მეგობრობა ძლიერდება

მოსკოვი, 26 თებერვალი. 26 თებერვალს შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც მოსკოვში ხელი მოაწერეს რუსეთის სფს რესპუბლიკასა და სპარსეთის შორის დადებულ ხელშეკრულებას ურთიერთობის აღდგენის შესახებ. რუს. სფს რესპუბლიკის მხრით ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ამხ-ებმა ჩიჩერინმა და კარახანმა, ხოლო სპარსეთის მხრით—ალი გოლი ხან ანსარიმ, რომელიც უკანასკნელ დრომდე სპარსეთის ელჩად იყო საბჭოთა კავშირში. საბჭოთა მთავრობამ ამ ხელშეკრულებაში **გადაჭრილი უარი განაცხადა იმ ძალადობის პოლიტიკაზე**, რომელსაც სპარსეთში ანხორციელებდა მეფის რუსეთის იმპერიალისტური მთავრობა. მეფის მთავრობის მიერ დადებული ყველა ტრაქტატები და შეთანხმებები, რომლებიც ზღუდავდნენ სპარსელი ხალხის უფლებებს, საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა გაუქმებულად, ძალა დაკარგულად. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი საბოლოოდ იღებს ხელს იმ ფინანსიურ პოლიტიკაზე, რომელსაც ახორციელებდა ცარიზმი სპარსეთის პოლიტიკური დამონებისთვის; მან უარი სთქვა იმ სესხებზე, რომლებიც სპარსეთს მეფის რუსეთის მიერ ჰქონდა მიცემული.

საბჭოთა მთავრობამ გაუქმებულად სცნო აგრეთვე ის კონცესიები, რომლებიც მეფის მთავრობამ სპარსეთის მთავრობას იძულებით, გამოჰგლიჯა, და დაუბრუნა ისინი სპარსელ ხალხს.

ამ ხელშეკრულებამ სათავე დაუდო მეგობრობას საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ხალხებს შორის, იმ მეგობრობას, რომელიც **წლითი წლობით მაგრდება და ვითარდება.** განვლილი 10 წლის განმავლობაში სპარსეთმა არა თუ აღადგინა ომით დანგრეული თავისი სახალხო მეურნეობა, არამედ წინაც წავიდა—შეაქვს თანამედროვე ტექნიკა სოფლის მეურნეობაში და ანვითარებს საკუთარ მრეწველობას. უნდა ითქვას, რომ ამაში თვალსაჩინო როლი ითამაშა ეკონომიური ურთიერთობის ზრდამ სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის (ადს).

საკონსულო კორპუსის მისალმება

საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავის გამო

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავის გამო საკონსულო კორპუსმა, გერმანიის, სპარსეთის, პოლონეთის და თურქეთის კონსულების სახით, 25 თებერვალს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის რწმუნებულის საშუალებით, მიულოცა საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მთავრობას. კერძოდ, სპარსეთის კონსულმა ბ. მირ ფენდერესკიმ სპარსეთის მთავრობის სახელით პირადად უსურვა საქართველოს ს.ს. რესპუბლიკას უფრო დიდი წარმატების მიღწევა კულტურულ - სამეურნეო ფრონტზე და შემდგომი აყვავება.

საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავის გამო

მისალმებები

რომენ როლანისაგან

ძვირფასო მეგობრებო! თქვენი დიადი ზეიმის დღეს ჩემი გული თქვენთან არის. მასაც თქვენსავით წითელი ალი აქვს მოდებული. სალამი მზიან თბილისს, მშვენიერი თავისუფალი ქვეყნის დედაქალაქს.

რომენ როლანი

შვეიცარია. ვილლა „ოლგა“.

ამხ. ტელმანისაგან

გერმანიის კომპარტიის პოლიტბიუროს სახელით მივესალმები საქართველოში პროლეტარული რევოლუციის დიად ათი წლისთავს. გერმანიის პროლეტარიატს უდიდესი ისტორიული ამოცანები აქვს დაკისრებული. ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ მომავალ დიდებულ ბრძოლებში საქართველოს მუშები და მშრომელები ჩვენთან ერთად იბრძოლებენ.

ერნესტ ტელმანი

რუსეთის ცაკის პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი, 26 თებერვალი. ათი წლის წინად საქართველოს აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ბატონობა ბურჟუაზიისა და მისი აგენტების მენშევიკების, რომელნიც ხელისუფლებას სათავეში უდგნენ იმპერიალისტების ხიშტისა და ოქროს შემწეობით. თავისი კლასობრივი მტრების დამარცხების შემდეგ ქართული ხალხი შევიდა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში.

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი განხორციელების ნიადაგზე საქართველომ ათი წლის განმავლობაში მიაღწია უდიდეს წარმატებას თავისი პოლიტიკური და ეროვნული განვითარების და სამეურნეო და სოციალ-კულტურული მშენებლობის საქმეში.

მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად საქართველოს მუშები და გლეხები მთელ თავიანთ ძალღონეს და ენერგიას ახმარენ ხუთწლედის ოთხ წელიწადში წარმატებით შესრულებას და ამით მიმდინარე წელს ამთავრებენ საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ათი წლის თავის დღეს სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი უგზავნის თავის მხურვალე ძმურ სალამს საქართველოს მუშებსა და გლეხებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ ქართველი ხალხი, მთელი კავშირის ყველა ხალხებთან მჭიდრო კავშირში, მტკიცედ წავა წინ—სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი.

უკრაინის მშრომელებისაგან

საქართველოს მშრომელებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის შესრულების დღეს საქართველოს ცაკის თავმჯდომარისა და საქართველოს მთავრობის სახელზე მიიღეს მთელი რიგი მისასალმებელი დეპეშები უკრაინის მშრომელთა სახელით. „მხურვალედ ვესალმებით, —ნათქვამია მისალმებაში,—საბჭოთა საქართველოს, რომელმაც 10 წლის წინად გაანადგურა კონტრ-რევოლუცია და ინტერვენტები და რომელიც ძლევამოსილად აშენებს სოციალიზმს. გისურვებთ შემდგომ წარმატებას პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების საქმეში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს მშრომელები, მთელ მრავალრიცხოვან ამიერ-კავკასიასთან ერთად, საკავშ. კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, განაგრძობენ სოციალიზმის შენებას და აღმოფხვრიან კაპიტალიზმის ნაშთებს. მხურვალე სალამს ვუგზავნით საბჭოთა საქართველოს—ამიერ-კავკასიის მშრომელთა ერთ-ერთ საუკეთესო რაზმს, რომელიც, დარწმუნებული ვართ, მზად არის საჭიროების დროს ჩადგეს ოქტომბრის მონაპოვართა დამცველების და მსოფლიო რევოლუციისათვის მებრძოლების რიგებში.

პეტროვსკი, კოსიორი, ჩუბარი

ბელორუსიის საბჭოების ყრილობისაგან

მინსკი, 25 თებერვალი. ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოების მეათე ყრილობა საბჭოთა ბელორუსიის პროლეტართა, კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა მასების და ყველა მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უგზავნის საბჭოთა საქართველოს, რომელიც დღესასწაულობს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავს. ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრამ და გადამწყვეტმა ბრძოლამ დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალ-დემოკრატიზმის შოვინიზმის წინააღმდეგ უზრუნველჰყო უდიდესი წარმატებანი საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის სფეროში. ათი წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა ბრძოლა კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელს ფრონტზე სოციალისტური შეტევის გაშლილად პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე და მენშევიზმის ნაშთების დაუზოგავად აღმოფხვრა უზრუნველჰყოფს შემდგომ წარმატებებს საქართველოს სოციალისტური კულტურისა და მეურნეობის მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორს და ხელმძღვანელს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

ბელორუსიის ს. ს. რესპ. საბჭოების მე-10 ყრილობის თავმჯდომარე **ჩერვიაკოვი.**

საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. საოლქო კომიტეტისაგან

საკავშირო კ. პ. (ბ) ა.-კ. სალქო კომიტეტი მხურვალედ ესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მისი სახით საქართველოს ყველა კომუნისტ-ბოლშევიკებს, რევოლუციონურ პროლეტარიატს და მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ათი წლის შესრულების დღეს, მენშევიკების—საერთაშორისო იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტების — კონტრ-რევოლუციონური ხელისუფლების დამხობის დღეს.

საბჭოთა საქართველოს ათი წელი წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებათა წლებს, რაც მოპოვებულ იქნა პარტიის გენერალური ხაზის დროშის ქვეშ.

მენშევიზმთან, ნაციონალ-უკლონიზმთან და ტროცკისტულ კონტრ-რევოლუციასთან უსასტიკეს ბრძოლაში იზრდებოდა, იბრძმიდებოდა და მაგრდებოდა საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტური პარტია—ეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ორგანიზატორი.

მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ახლანდელ ეტაპზე, „მემარცხენე“ გადახვევებთან და შემრიგებლობასთან შეურიგებელ ბრძოლაში კომუნისტურ პარტიას (ბ) მიჰყავდა და მიჰყავს მუშათა კლასი და მშრომელი მასები სოციალისტურ გამარჯვებათაკენ, იმედიანად და მხნედ მიდიოდა ის წინ და გაუპარებლად ანვითარებდა სოციალისტურ შეტევას მთელს ფრონტზე, რითაც ჩამორჩენილი აგრარულ ქვეყანას აქცევდა მოწინავე ინდუსტრიალურ-აგრარულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სალქო კომიტეტი სცნობს, რომ უდიდეს მიღწევათა განმტკიცების საუკეთესო საშუალებას შემდგისათვის უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ერთი წუთითაც არ შენელდეს მუშაობა დაკვრითი ამოცანების გადასაჭრელად, მოხდეს პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების პირით მობრუნება სოციალისტური წარმოებისაკენ, საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ. ვსცილდებით რა სახელოვან ბოლშევიკურ გამარჯვებათა პირველ ათ წელს, მაღლა ავსწიოთ ლენინის დროშა. ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის დროშა, მებრძოლი პროლეტარულ-ინტერნაციონალიზმის დროშა.

და ამ დროშის ქვეშ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების ყოველმხრივ განმტკიცებით, ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის ბოლშევიკური ბრძოლით—წინ, სოციალიზმის ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სალქო კომიტეტი.

ამხ. კ. ვოროშილოვისაგან

მოსკოვი, 25 თებერვალი. სახელოვანი პროლეტარული გამარჯვების 10 წლის თავზე ძმურ, ბოლშევიკურ სალამს უგზავნი საბჭოთა საქართველოს მუშებს, წითელარმიელებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელებს.

პროლეტარიატის დიქტატურის 10 წელმა უდიდესი გამარჯვება არგუნა საბჭოთა საქართველოს. ცარიზმის ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლონია გადაიქცა მშრომელთა თავისუფალ ქვეყნად, რომელიც სწრაფი ტემპით ანვითარებს თავის სოციალისტურ მეურნეობას და კულტურას.

მთელ საბჭოთა კავშირთან ხელიხელ ჩაკიდებული, პარტიის გენერალური ხაზის განაუხვევლად გატარებით საბჭოთა საქართველოს მუშები და მშრომელი გლეხობა ხუთწლიან გეგმას შეასრულებენ ოთხ წელში და უზრუნველჰყოფენ სოციალიზმის შემდგომ წარმატებით მშენებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

კ. ვოროშილოვი.

კავკ. წითელდროშოვან არმიის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოსაგან

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭო და პოლიტიკური სამმართველო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის მშრომელ მასების ორგანიზატორს და ბელადს—საქარ. კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) და მის შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს.

ათი წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველომ მოაშუშა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის და საერთაშორისო იმპერიალიზმის ლაქიების—მენშევიკების მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ჭრილობები და უდიდეს წარმატებებს მიაღწია ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და კულტურული მშენებლობის საქმეში. ეს წარმატებანი მიღწეულ იქნენ მხოლოდ საქართველოს ბოლშევიკური პარტიის სწორი ლენინური პოლიტიკის შედეგად, იმ გადამწყვეტი ბრძოლის წყალობით, რომელსაც იგი ამ 10 წლის განმავლობაში აწარმოებდა საკავშირო კომპარტიის (ბ) გენერალურ ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. ეს წარმატებები შედეგია სწორი ეროვნული პოლიტიკისა, რომელმაც მშვიდობიანობა მიანიჭა ყველა ეროვნებებს და ძმური ურთიერთობა შექმნა ყველა ხალხთა შორის. ამჟამად ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი დროშის გარშემო მჭიდროდ გაერთიანებულნი არიან საქართველოს მშრომელთა მილიონები.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლნი და მეთაურთა შემადგენლობა. ბოლშევიკები და კომკავშირელები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ბრძოლას, ისინი დღეს მათთან ერთად ზეიმობენ და აღნიშნავენ მეორე ათ წელიწადში გადასვლის სასიხარულო დღეს.

საბჭოთა საქართველოს გამარჯვებანი ამავე დროს ჩვენი გამარჯვებებიცაა, რადგან კავკასიის წითელდროშოვანი არმია ძმობისა და ინტერნაციონალიზმის კავშირით არის გადაჯაჭვული საბჭოთა საქართველოს და მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშებთან და გლეხებთან.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), რომლის დროშითაც იმარჯვებდნენ, იმარჯვებენ და მომავალშიაც გაიმარჯვებენ საქართველოს მშრომელთა მილიონები.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—სოციალისტურ გამარჯვებათა ნაცად შტაბს!

კავკ. წითელდროშოვანი არმიის რევოლუც. სამხ. საბჭო: **სმოლინი, იპპო.**

აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმისაგან

აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აზერბეიჯანის მშრომელების სახელით მხურვალედ მიესალმება მოძმე საქართველოს მუშებს და გლეხებს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ათი წლის იუბილეის დღეს, 10 წლის წინად საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის რევოლუციონური პროლეტარიატის აქტიური დახმარებით დაამხეს მენშევიკები—უცხოეთის კაპიტალის ერთგული აგენტების—ხელისუფლება და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკების და მათი ბატონების—იმპერიალისტების ექსპლოატაციით განადგურებულ ქვეყანაში, რომელსაც ეროვნული შუღლი ღრღნიდა, მშრომელებმა 10 წლის განმავლობაში კომუნისტური პარტიის გამოცდილი ხელმძღვანელობით დაამყარეს ურყევი ეროვნული მშვიდობიანობა, განამტკიცეს ძმური კავშირი საქართველოს და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს შორის, აღადგინეს დანგრეული მეურნეობა, თითქმის ორჯერ გაადიდეს ნათესის ფართობი, უდიდეს წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობაში, არამც თუ აღადგინეს წინანდელი მრეწველობა, არამედ აგრეთვე შექმნეს მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: საფეიქრო ცემენტის, სამთო-ქიმიური და სხვა დარგები ელექტროფიკაციის გაძლიერებული ზრდის საფუძველზე: საქართველოს მშრომელებს უდიდესი მიღწევები აქვთ კულტურის დარგში—საყოველთაო სწავლების გატარების, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, ჩამორჩენილ ეროვნული უმცირესობათა კულტურის დონის აწევის დარგში. საქართველო მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად სოციალიზმის მკვიდრ საძირკვლს აშენებს. აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ფოლადნებული ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრასთან გადამწყვეტ ბრძოლაში, დიდმპყრობელურ შოვინიზმისა და ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა საქართველო მხნედ და მტკიცედ გასწევს წინ ახალ გამარჯვებებისაკენ სოციალიზმის განხორციელების გზაზე.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერების ძმურ თანამშრომლობას და მის სიმბოლოს —ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ კავშირს—მსოფლიო რევოლუციონური პროლეტარიატის უძლეველ ციხე-სიმაგრეს!

აზერბეიჯანის ცაკის პრეზიდიუმი.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტისაგან

ლენინგრადი, 25 თებერვალი. საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში ათი წლის თავისუფალი არსებობის განმავლობაში საქართველოს ს.ს. რესპუბლიკამ მიაღწია უდიდეს წარმატებებსა და გამარჯვებებს. ნაცვლად მეფის კოლონიისა, სადაც მძვინვარებდა ბაში-ბუზუკების მეფის „ნამესტნიკებისა“ და ბაში—ბუზუკების თვითნებობა, ნაცვლად რომანოვების გვირგვინის მარგალიტისა, ნაცვლად უკანასკნელი ციხე-სიმაგრისა, სადაც მოკალათებული იყო რუსეთის მენშევიზმი, საქართველო, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით, იქცა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნად, სოციალისტური რევოლუციის დასაყრდენად აღმოსავლეთის მიჯნაზე. საერთო ძალღონით საბჭოთა აზერბეიჯანისა და საბჭოთა სომხეთის პროლეტარიატთან და მუშაკებთან ერთად და მათთან ძმურ კავშირში ყოფნით ქართველმა მუშებმა და გლეხთა მასებმა დაამყარეს დაურღვეველი მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიაში. ეს უდიდესი წარმატებანი და გამარჯვებები იმის სრული თავდებაა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლ- დიად მშენებლობას, ან რითიმე შეასუსტონ ლი დიდი საბჭოთა კავშირის პროლეტარებთან და მუშაკებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული დაამთავრონ ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტ წელს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება და, თუ საჭირო იქნება, განადგურებელი შეტევით უპასუხონ საერთაშორისო კაპიტალიზმისა და მისი მენშევიკური და სხვა ჯურის ლაქიების მტრულ ცდას, რომ ხელი შეუშალონ დიად მშენებლობას რითიმე შეასუსტონ ამ ამ მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები.

გაუმარჯოს მოძმე საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა სამშობლოს!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში!

საკავშირო კ.პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი **კიროვი.**

ამხ. გ. მუსაბეკოვისაგან

ამხანაგებო! ნება მომეცით, აზერბეიჯანისა და საბჭოთა კავშირის სახელით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის გამო, გადმოგცეთ გულწრფელი და მხურვალე სალამი.

ამხანაგებო! სულ ათი წელიწადი გავიდა იმ დროის შემდეგ, რაც საქართველოს პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ დაამხეს მენშევიკები, თავადები და ექსპლოატატორები და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა.

ეს 10 წელიწადი ისტორიისათვის ერთი წამია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ 10 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველომ დიდი შემოქმედებითი უნარი გამოიჩინა და იმდენი გააკეთა, რამდენიც მას ასი წლის განმავლობაში არ გაუკეთებია. მშრომელთა შემოქმედებითი მუშაობის წყალობით სოციალიზმის მშენებლობა ბუმბერაზული ნაბიჯებით ვითარდება და საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჩვენ დიად და უზარმაზარ სოციალისტურ სამშობლოში.

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთ დიდ მიღწევას, რომელსაც დღეს გვერდს ვერ აუვლით, წარმოადგენს მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება და ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნა. თუ წარსულში მშრომელი ხალხის მტრების — მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების წყალობით საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი იწეწებოდა და მშრომელთა სისხლი დანაშაულებრივად იღვრებოდა, ეხლა თამამად შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენ, სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით, შევქმენით ეროვნული მშვიდობიანობის გადაჭრის საუკეთესო ნიმუში—შევქმენით ჩვენი ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ამხანაგებო! კაპიტალისტური დიპლომატების წინაშე ამაოდ ცდილობდნენ მენშევიკები დაკარგული ბატონობის დაბრუნებას. ეს გაკოტრებული პოლიტიკოსები იმდენად დაბრმავდნენ, რომ დღემდე ვერ შეუგნიათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ, საქართველოს მშრომელთა ნება-სურვილით, ისტორიამ მათ ერთხელ და სამუდამოდ გამოუტანა თავისი განაჩენი, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია, რომ მათი ყოველი ცდა, როგორც აშკარა ავანტიურა, წინდაწინვე განწირულია.

ამხანაგებო! საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის ზეიმი არის მთელი ამიერ-კავკასიის და მთელი კავშირის მშრომელთა დღესასწაული. ჩვენ უკვე ვიდღესასწაულეთ აზერბეიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავი.

დღევანდელი ზეიმი ზედმეტად ადასტურებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთა ერთობას და მონოლიტობას და არ არის დედამიწაზე იმგვარი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ ერთობის დარღვევა.

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს თავისი კულტურული მიღწევებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს კავშირში. დიდი მიღწევაა აგრეთვე მრეწველობის დარგშიც.

თუ წინად საქართველოს სულ არ გააჩნდა მრეწველობა, ნახევრად წინამრეწველური დაწესებულებებს გარდა, სამაგიეროდ 10 წლის განმავლობაში წარმოიშვა მრეწველობის მრავალი ახალი კერა, ყოველწლიურად მუშაობას იწყებენ ახალი ჰიდროსადგურები, რომლებიც თავიანთი კაშკაშა სხივებით ფანტავენ წარსულიდან გადმოცემულ სიბნელეს და სიღუხჭირეს.

უდიდეს წარმატებას მიაღწია საქართველომ სოფლის მეურნეობაშიაც. იზრდება საბჭოთა მეურნეობების რიცხვი, მრავლდებიან კოლმეურნეობები და საბჭოთა საქართველოს მშრომელები, საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, სოციალისტური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს უკვე შევიდნენ სოციალიზმის პერიოდში.

ამხანაგებო! გიგზავნით მხურვალე სალამს. ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს პროლეტარიატი და მშრომელი გლეხები მეორე ათწლედში, ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კავშირის ყველა მშრომელებთან ინტერნაციონალური ძმობის განმტკიცებით, ერთსულოვანი მონოლიტური რიგებით წავლენ წინ—სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენი კავშირის სიამაყეს—საბჭოთა საქართველოს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლ შვილს— ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

გ. მუსაბეკოვი

ლენინგრადის საოლქო აღმასკომისაგან

ლენინგრადის საოლქო აღმასკომი ლენინის ქალაქისა და ოლქის პროლეტარებისა და ყველა მშრომელების სახელით მხურვალედ მიესალმება საქართველოს მუშებსა და მშრომელ გლეხობას იმპერიალისტებისა და რევოლუციის გამყიდველი მენშევიკების ხელისუფლებისაგან განთავისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ათი წლის შესრულების დღეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარებთან ერთად იბრძოლებენ სოციალიზმის აშენების უდიდესი ამოცანების განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **კადაცკი.**

ამხ. ა. მიქოიანისაგან

მოსკოვი, 25 თებერვალი. ათი წლის წინად ქართველი მენშევიკები, რომლებმაც კაპიტალისტური პოზიციების დაცვის ისტორიული მისია იკისრეს, საქართველოს რევოლუციონურმა მუშებმა და გლეხებმა დაამხვეს და გააძევეს საქართველოდან. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ისტორიული სარბიელიდან აღგავა ბურჟუაზიული რეაქციის ეს უკანასკნელი ნაშთები და ფართო გზა გაუხსნა საქართველოს საწარმოო ძალების ძლიერ განვითარებას სოციალისტური მიმართულებით.

საქართველო, რომელსაც აქვს დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე და ძვირფასი ტეხნიკური კულტურების და სუბტროპიკული მცენარეების გაშენების განსაკუთრებული შესაძლებლობა, საქართველო, რომელიც ცარიზმის და მენშევიკების ბატონობამ უკიდურეს გაღატაკებამდე მიიყვანა, ეხლა ჩვენს თვალწინ აყვავებულ ქვეყნად, სოციალიზმის მშენებელ ქვეყნად გადაიქცა, შენდება მძლავრი ელსადგურები, იზრდება სამთა-მადნო მრეწველობა, საფუძველი ეყრება წარმოების ახალ დარგებს, უმაგალითო ტემპებით ვითარდება ჩაის მეურნეობა დასავლეთ საქართველოში. კოლექტივიზაცია სულ ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს საქართველოს სოფლებში.

სოციალისტური მშენებლობის ათი წლის მიღწევები საქართველოს კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის შედეგია, პარტიის, რომელიც თანმიმდევრობით აწარმოებდა გადამწყვეტ ბრძოლას ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ნაციონალიზმის წინააღმდეგ და საქართველოს მუშების და გლეხების მასებს რაზმავდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მთელი საბჭოთა კავშირის დროშის ირგვლივ.

საბჭოთა კავშირის თანასწორ ერებს შორის თავისუფალი სოციალისტური საბჭოთა საქართველო და მასთან ერთად კავკასიის ერები დღესასწაულობენ სახელოვანი გამარჯვების ათი წლის თავს. მხურვალედ ვულოცავ საქართველოს კომუნისტურ პარტიას, მუშებს და მშრომელ გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ათი წლისთავს. წრფელის გულით გისურვებთ, რომ ამ ათი წლისთავმა შეუწყოს ხელი საბჭოთა საქართველოს სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

ა. მიქოიანი.

სამხრეთ-ოსეთის ცაკისაგან

სამხრეთ-ოსეთის მშრომელები, საქართველოს მუშებსა და მშრომელ გლეხებთან ერთად, დღესასწაულობენ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ათი წლისთავს. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის, პირველი ათი წელი ჩაიარა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის — სოციალიზმის საძირკვლისათვის გმირული ბრძოლის ნიშნის ქვეშ, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სწორი პოლიტიკის წყალობით ჩვენ შევძელით მენშევიკების მიერ დათესილი ნაციონალური შუღლის ფესვების აღმოფხვრა. მშრომელ ქართველ ხალხთან ერთად მტკიცე საძირკველს ჩავუყრით ჩვენ შემდგომ შემოქმედებით მუშაობას, რომელიც უზრუნველჰყოფს სოციალიზმის აშენებას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

სამხრეთ-ოსეთის ცაკი—**გაგლოევი.**

ისტორიული დოკუმენტები

საქართველოს რევკომის მოწოდება

1921 წლის 16 თებერვალს

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო და ყველა მშრომელნო!

დაჰკრა საათმა, როცა თქვენ უნდა განთავისუფლდეთ საერთაშორისო რეაქციონური იმპერიალიზმის ერთგული ლაქიების — ქართველი მენშევიკების—უღლისაგან. სამ წელიწადს აბუჩად იგდებდნენ ისინი საქართველოს მშრომელთ, სამ წელიწადს აფურთხებდნენ სულში საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ეროვნებებს, სამ წელიწადს იბრძოდნენ მშრომელთა რევოლუციის წინააღმდეგ კონტრ - რევოლუციის და იმპერიალიზმის გულის მოსაგებად.

ქართველ მენშევიკების ძალადობის, უსირცხვილობის და თავხედობის საპასუხოდ სდებოდა სახალხო მასების აჯანყებანი, რომლებსაც ყოველთვის სასტიკად აქრობდნენ მენშევიკები შინაური და საგარეო რეაქციონური ძალების დახმარებით; გააფთრებით შურს იძიებდნენ მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა კაპიტალის და ეროვნული ჩაგვრის ბორკილების დამსხვრევას.

ამჟამად ბორჩალოს მაზრის მშრომელებმა აღმართეს აჯანყების დროშა მოძალადეების წინააღმდეგ. აჯანყებულნი, რომელთაც ერთი-მეორეზე ნებდებიან მენშევიკური მთავრობის პოლკები, ძლევამოსილად მიემართებიან მენშევიკური კონტრ-რევოლუციის დედა ქალაქის —თბილისისაკენ.

აჯანყება ფართოვდება, აჯანყება იდება სულ ახალ და ახალ რაიონებს, მშრომელნი ყველგან იარაღს იღებენ ხელში. აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად აჯანყებულთა სურვილისამებრ ქ. შულავერში 1921 წლის 16 თებერვალს დაარსდა **საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი**, რომელიც ხელთ იღებს მთელს სახელმწიფო ძალაუფლებას და აცხადებს: **ქართველ მენშევიკების მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით იცვლება დამხობილად.** საქართველო ამიერიდან **სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაა. ამიერიდან მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მხოლოდ მშრომელ მუშებსა და გლეხებს.**

მთელი მიწა გადადის მიწის მუშების ხელში. **აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის მოძმე ერები თვითონვე განაგებენ თავიანთ ბედს.**

ბორჩალოს აჯანყებული მშრომელი მოსახლეობა თავისუფლად, თავის სურვილისამებრ სწყვეტს საკითხს სომხეთის, აზერბეიჯანის თუ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან შეერთების შესახებ.

ამხანაგებო, ძმებო, ქალაქის და სოფლის მშრომელნო! მენშევიკური რეაქციით განაწამებ, ხელფეხშებორკილ საქართველოში ამოდის პროლეტარული რევოლუციის მზე. არ მივსცემთ ნებას ბნელი რეაქციის ძალებს დააბნელონ იგი და კვლავ გადაგვისროლონ ჯოჯოხეთში.

დაამხეთ ყველგან მენშევიკების ხელისუფლება. თავის ხელში აიღეთ ადგილებზე მთელი ძალაუფლება. დაარსეთ ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტები.

იარაღს ხელი მოჰკიდეთ მშრომელნო.

წინ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

გაუმარჯოს ახლად შობილს, სახალხო აჯანყების ცეცხლიდან, თოფ-ზარბაზნების კვამლიდან გამოსულ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას.

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი*)

*) დოკუმენტს ხელს აწერენ: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ალ. გეგეჭკორი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, ა. ნაზარეტიანი, ბ. კვირკველია და სხვ.

საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების რევოლუციონური კომიტეტის

ბრძანება № 1.

საქართველოს ყოფ. მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით, რომელიც დაამხო მასების აჯანყებამ, მისი ოფიცრების და იუნკრების რაზმების დამარცხების შემდეგ გადაბარგდა დასავლეთ საქართველოში.

საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი, რომელიც დღეს შემოვიდა დედა-ქალაქში, ხელთ იღებს მთელს ძალაუფლებას და ბრძანებს:

1. შეუსუსტებელი ენერგიით უნდა გაგრძელდეს ბრძოლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დამხობილია, მაგრამ ჯერ იარაღი არ დაუყრია.
2. ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი, საქალაქო და საერობო თვითმართველობანი, საქალაქო და საერობო მილიცია და საერთოდ ყველა თანამდებობის პირნი უნდა დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და განაგრძონ მიმდინარე მუშაობა.
3. რევოლუციონური წესრიგი სასტიკად უნდა იქნას დაცული: საბოტაჟის გამწევნი, ურჩნი და წესრიგის დამრღვევნი დაისჯებიან რევოლუციონური დროის კანონების მთელი სისასტიკით.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

მ. ორახელაშვილი.

1921 წელი, 26 თებერვალი.

თბილისი—სასახლე.

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. მავნებლობასთან და მემარჯვენე გადახრა*)

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში გადამწყვეტ გარდატეხას უნდა მივაღწიოთ ამჟამად. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში მოპოვებული მიღწევები არ კმარა. როგორც ლენინი გვასწავლიდა, პარტიის სულ ახალ და ახალ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ისევ და ისევ უნდა დავსვათ საკითხი ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის შესახებ.

მოვიყვან იმის მაგალითს, თუ როგორაა გადახლართული არა სწორი პოლიტიკური ხაზი და მუშაობის ბიუროკრატიული მეთოდები პრაქტიკაში. საილუსტრაციოდ გამოვკვეთ ერთი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს რ.ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს ყოფ. თავმჯდომარე ამხ. სირცოვი. დოკუმენტი წარმოადგენს რ.ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს ყოფ. თავმჯდომარის ამხ. სირცოვის მიმართვას მოსკოვის საბჭოს და რაიონულ საბჭოების წევრებისა, კოოპერატორებისა, „სოიუზპლოდოოვოშჩ“-ის გამგეობის წევრებისადმი. ეს მიმართვა აღნიშნულ მისამართებით გაიგზავნა 1930 წ. 4 აგვისტოს, 24 აგვისტოს კი სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. უსიევიჩი მიმართვას უგზავნის სამხარეო აღმასკომებს, კერძოდ ჩრდილო - კავკასიის სამხარეო კომიტეტს. ამ დოკუმენტის სათაური ასეთია: „რაღაცა უნდა გაკეთდეს“.

ამ მიმართვაში, რომელიც ეხება ბოსტნეულით ქალაქების მომარაგების საკითხს, მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ამხ. სირცოვის მაშინდელმა პოლიტიკურმა განწყობილებამ. აქ ორ მჭიდროდ დაბეჭდილ გვერდზე დაწვრილებით არის განხილული ბოსტნეულით მომარაგების ორგანიზაციის საკითხები. დოკუმენტი სავსეა წმინდა ობივატელური წუწუნით და ბიუროკრატიული უილაჯობით. მიუხედავად იმისა, რომ თავის მიმართვაში ამხ. სირცოვი ამახვილებს ყურადღებას ბიუროკრატიზმის საკითხზე მომარაგების აპარატში, ნამდვილად ეს დოკუმენტი ტიპიურია უწინარეს ყოვლისა თავისი ბიუროკრატიულ მიდგომით მომარაგების საკითხებისადმი. ბიუროკრატიული მიდგომა ამ შემთხვევაში მჭიდროდ არის „დაკავშირებული“ ტიპიურ მემარჯვენე უკლონისტურ თვალსაზრისთან.

სირცოვის აზრით გამოდის, რომ მომარაგების საქმეში მთელი ბოროტების მიზეზს წარმოადგენს „უაღრესი ცენტრალიზაცია“. ამხ. სირცოვი არც კი ცდილა სერიოზულად დაესვა მომარაგების აპარატის დეფექტებთან ბრძოლის საკითხი და თავის დასკვნებში მოლიპულ გზას დაადგა. მან მხოლოდ ერთი საშუალება გამონახა მომარაგების საქმის გასაუმჯობესებლად. ეს საშუალებაა — საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების გამოსვლა კერძო ბაზარზე. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის „მემარცხენე“ ფრაზების საფარ ქვეშ ამხ. სირცოვმა აშკარად მემარჯვენე უკლონისტური დასკვნა გააკეთა. ეს დასკვნა არის — იმედის დამყარება კერძო ბაზარზე.

აი როგორ არის დასმული ბოსტნეულით ქალაქების მომარაგების გაუმჯობესების საკითხი:

„მიზანშეწონილი არის თუ არა ამ პირობებში, ცდის სახით, ნება მიეცეს მოსკოვის ოლქის მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს უშუალოდ გამოვიდნენ მოსკოვის ბაზარზე“?

თავის ამ მთავარ წინადადებას მან დაუმატა კიდევ წინადადება — დაიდევათ ერთი მხრით კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს და მეორე მხრით, მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოებას და რაიონულ სამომხმარებლო საზოგადოებებს ხელშეკრულებანი ბოსტნეულის აკრეფის შესახებ. აი ყველაფერი ის, რაც მოიგონა ამხ. სირცოვმა ბოსტნეულით მუშების მომარაგების გასაუმჯობესებლად.

„მოსკოვის ბაზარზე“ ცალკე საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების უშუალოდ გამოსვლის იდეის გასამართლებლად, ამხ. სირცოვი ილაშქრებს მუშაობის იმ გეგმებისა და მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც პარტია ატარებს. იგი ამბობს:

„ეხლანდელ მდგომარეობაში ჩვენს მოვალეობას შეადგენს გადავლახოთ ზოგი რამ ამ სისტემაში და არ დავლუპოთ საქმე კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულებით მუშაობის გეგმებისა და მეთოდებისადმი“.

ამ აღმოჩენის შემდეგ, რომელიც ალბად, ამხ. სირცოვს მისი კანცელარიის ცუდმა ელემენტებმა უკარნახეს, იგი თავმდაბლურად ამბობს:

„მე არ ვაცხადებ პრეტენზიებს იმაზე, რომ ეს წინადადება უდავოა. შეიძლება დეტალურად განხილვის დროს გამოირკვეს მისი მიუღებლობა, საჭიროა მსჯელობა მის გარშემო, აგრეთვე დაფიქრება სხვა შესაძლებელ წინადადებებზედაც. ყოველ შემთხვევაში, რაღაც უნდა გაკეთდეს“.

ცხადია, რომ მთელი ეს წერილი იმის შესახებ, რომ „რაღაც უნდა გაკეთდეს“, მოწმობს მხოლოდ მემარჯვენე უკლონისტურ გზადაბნეულობას და ბიუროკრატიულ უილაჯობას, იმის ნაცვლად, რომ ბოლშევიკურად ნამდვილად შესდგომოდა მომარაგების აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, ამ საქმეში პარტიული ორგანიზაციების და კოოპერაციასა და საბჭოებში უპარტიო აქტივისტების ჩაბმას, — „რაღაც უნდა გაკეთდეს“ ლოზუნგის ავტორი სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული ელემენტების გავლენის ქვეშ მოექცა. ამაში მდგომარეობს ამხ. სირცოვის მთავარი უბედურება.

ამავე დროს, ნამდვილი ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ორგანოების დეფექტებთან უწინარეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ამ ორგანოების ხელმძღვანელები არსებითად გაეცნონ ამავე ორგანოების მუშაობას და ნამდვილად დაძლიონ ამ მუშაობის ყველაზე უფრო ძნელი მხარეები. ბრმად არ უნდა დავეყრდნოთ სპეციალისტების მუშაობას, არამედ ყველა შესაძლებელი გზებით უნდა შევამოწმოთ მთელი აპარატის მუშაობა,—აი ამგვარად და მხოლოდ ამ გვარად შეიძლება ჩვენს პირობებში ნამდვილად ავსწიოთ სახელმწიფო აპარატის დეფექტებთან ბრძოლის საქმე და ნამდვილად გავაუმჯობესოთ მისი მუშაობა. ამხ. სირცოვმა თავისი წერილით „რაღაც უნდა გაკეთდეს“ კარგი მაგალითი მოგვცა იმის, თუ **რა არ უნდა** გაკეთდეს, როგორ არ უნდა სწარმოებდეს მუშაობა სახელმწიფო აპარატში, რას იწვევს პრაქტიკაში მემარჯვენე - „მემარცხენო“ პოლიტიკური ხაზი და ბიუროკრატიული მიდგომა საქმისადმი.

წინანდელთან დაკავშირებით მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს უკანასკნელი დროის პრაქტიკიდან.

ოქტომბერში გამოირკვა, რომ ძალზე ცუდად არის თივის დამზადების საქმე. კოოპერაციამ ვაჭრობის კომისარიატმა და დაინტერესებულმა უწყებებმა აშკარად ვერ მოაგვარეს ეს საქმე. საჭირო გახდა, რომ ცენტრალური კომიტეტი უშუალოდ შესდგომოდა ამ საკითხის გადაჭრას. ამ მომენტამდე სახკომსაბჭოსა და შრომის და თავდაცვის საბჭოს წინადადებით გამოტანილ დადგენილებებს დამამზადებელ ორგანოების უფლებათა გაძლიერების შესახებ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. აუცილებელი იყო უფრო ახლოს მისვლა შესაფერ დამამზადებელ ორგანოების მუშაობის კონკრეტულ საკითხებთან. გამოირკვა, რომ ეს ორგანოები სრულიად არ დგანან თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე. მაგალითად, როცა ცენტრალურ კომიტეტში შეიკრიბნენ დამამზადებელ ორგანოების და განსაკუთრებით თვითმომარაგების საკითხით დაინტერესებული სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები, გამოირკვა მათი უაღრესი ბიუროკრატიული უილაჯობა თივის დამზადების საქმეში. „ხლებოცენტრის“ წარმომადგენელი იქამდეც კი მივიდა, რომ თითქოს ცუდად დამზადება მიაწერა თივის დამამზადებელთა ცუდად მომარაგებას... საწარმოო ტანსაცმელით და სამრეწველო საქონლით. ცხადია ცენტრალურ კომიტეტთან გამართულ თათბირზე არ მოისურვეს უფუძური სიტყვების მოსმენა საწარმოო ტანსაცმელზე თივის დამამზადებლებისათვის და სხვ. ამავე დროს, შემოწმებამ ცხადჰყო, რომ თივის დამამზადებლებს თივის დამზადების გეგმაც კი არ მიუციათ რაიონებისათვის, ელემენტარული დისციპლინაც არ დაუმყარებიათ თავიანთ ორგანოებში და სხვა. ამის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ზომებით შესაძლებელი გახდა საქმის დაძვრა და, რა თქმა უნდა, თივის დამამზადებელთა მოუმარაგებლად მაღაროს მუშების და მელითონეების საწარმოო ტანსაცმელით.

ეს მაგალითი მოწმობს აგრეთვე იმას, თუ რამდენად ძლიერია ბიუროკრატიული სიმახინჯე სახელმწიფო აპარატის მუშაობაში, კერძოდ კოოპერაციაში. ჩვენში ძალიან ხშირია მაგალითები, როცა ზოგიერთი მუშაკი ცდილობს თავისი ცუდი მუშაობა აბრალოს სხვას და განსაკუთრებით „ობიექტიურ მიზეზებს“. ნამდვილ ბრძოლას ბიუროკრატიულ სიმახინჯესთან წარმოადგენს მასების ჩაბმა მართვა - გამგეობის საქმეში და აგრეთვე ის, რომ ხელმძღვანელები ნამდვილად გაეცნონ მათთვის მინდობილ მუშაობის შინაარსს, ნამდვილად დაეუფლონ თავიანთ აპარატს და ნამდვილად გახდნენ სპეციალისტები თავიანთ დარგში.

ამასვე გვასწავლის სახელმწიფო აპარატში მავნებელთა მუშაობის მხილება.

ამჟამად მავნებლობა გამოაშკარავებულია ჩვენი სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაწილებში. მავნებლები მუშაობდნენ მრეწველობაშიაც, სოფლის მეურნეობაშიაც, საგეგმო ორგანოებშიაც, საწარმოებშიაც, ტრანსპორტშიაც და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის აპარატშიც. თუ ზოგიერთი ამხანაგებისათვის შახტის გაკვეთილი საკმარისი არ აღმოჩნდა, მავნებელთა მხილების უკანასკნელმა ფაქტებმა მაინც უნდა ასწავლონ ჭკუა ყოველ კომუნისტს.

ჩვენ ვიცით, რომ მავნებლობა—კლასობრივი ბრძოლის ერთ - ერთ მკაფიო სახეს წარმოადგენს. მავნებლობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლით კლასობრივ მტერთან მთელ ხაზზე. მაგრამ სწორედ ეს აკისრებს სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელ კომუნისტებს უდიდეს პასუხისმგებლობას მავნებლებთან ბრძოლისათვის. სწორედ ეს მოითხოვს ჩვენგან ნამდვილ ბოლშევიკურ დამოკიდებულებას ჩვენი მოვალეობისადმი — სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელთა მოვალეობისადმი. განსაკუთრებით ეს ეხება იმ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, სადაც უკვე არა ერთხელ მოგვაყენეს საგრძნობი ზიანი მავნებლებმა.

ბოლშევიკური ბრძოლა მავნებლობასთან უწინარეს ყოვლისა მოითხოვს კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერებას პროლეტარიატისათვის უცხო ელემენტებისადმი სახელმწიფო აპარატში. იქ, სადაც ეს რევოლუციონური სიფხიზლე ჩლუნგდება, მავნებლები ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს ნახულობენ თავიანთი კონტრ - რევოლუციონური მუშაობისათვის. იქ, სადაც ხელმძღვანელები ბიუროკრატიულად, ჩინოვნიკურად, ფორმალურად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, იქ მავნებლები პარპაშებენ.

ხოლო იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ბიუროკრატიული დამახინჯებანი სახელმწიფო ორგანოებში, საჭიროა, რათა ხელმძღვანელებმა იცოდნენ მათთვის დაკისრებული საქმე, რათა ისინი, არსებითად ეცნობოდნენ თავიანთ ორგანოების მუშაობას, არ გაურბოდნენ იმ პრაქტიკულ „წვრილმანებს“, რომლებზედაც ხშირად დამოკიდებულია საქმის წარმატებით შესრულება. ჩვენი მშენებლობის უდიდესი ზრდის, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობის და კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავების დროს, — უკანასკნელი, სხვათა შორის, თავის გამოხატულებას პოულობს ზოგიერთი ბურჟუაზიული სპეციალისტების მავნებლური მუშაობის გაძლიერებაში, — არ შეიძლება ხელმძღვანელობის გაწევა „საერთოდ და მთლიანად“. საჭიროა საქმის არსებითად გაცნობა, საჭიროა მისი ნამდვილად დაუფლება. არ შეიძლება სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა, თუ საქმის ნამდვილად გაცნობის მოვალეობას გადავაკისრებთ სხვებს, თუ ამ მოვალეობებს გადავაკისრებთ სპეციალისტებს, აპარატს. ეხლანდელ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა, რომ სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელი თვითონ იყოს გაცნობილი საკითხის შინაარსს, თავის ხელში ეპყრას საქმე, იყვეს თავისი საქმის სპეციალისტი. ასეთია ბოლშევიკ - ხელმძღვანელის ელემენტარული მოვალეობა, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის მე-14 წელს;

რამზინის და კომპანიის პროცესმა მუშათა კლასის წინაშე მწვავედ და მთელი სიგრძე - სიგანით დასვა საკითხი მავნებლობასთან ბრძოლის შესახებ. ამ პროცესმა დაგვანახვა, რომ ბევრ უაღრესად საპასუხისმგებლო დარგში მავნებლები ლახვარს გვცემდნენ ჩვენ ზურგში. რასაკვირველია, ამ პროცესმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო აგრეთვე ის, რომ მავნებლები, მიუხედავად უცხოეთის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ძალების დახმარებისა, უძლურნი აღმოჩნდნენ სოციალისტური მშენებლობის ძირითად მიღწევების ჩაშლის ცდაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ დარგში მათ მაინც საკმაო ზიანი მოგვაყენეს ჩვენ.

არა მარტო მრეწველობის ორგანოებში, არამედ აგრეთვე დაგეგმვისა და მომარაგების ორგანოებშიაც მავნებლებმა გაიჩინეს კონტრ - რევოლუციონური ბუდეები. ამჟამად „სამრეწველო პარტიის“ პროცესის მასალისა და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სხვა მასალების მიხედვით ჩანს, რომ არსებობდა მავნებელთა სამი პოლიტიკური დაჯგუფება: პირველი — აშკარა კაპიტალისტური დაჯგუფება რამზინის, ლარიჩევის, ოსადჩის, შეინის და სხვების „სამრეწველო პარტიის“ სახით; მეორე — კონდრატიევის, სადირინის, იუროვსკის, ჩაიანოვის და კომპანიის ესერულ - კულაკური დაჯგუფება, და მესამე — „საბჭოთა“ მენშევიკების დაჯგუფება გრომანის, სუხანოვის, შერის და სხვების სახით. ყველა ამ კონტრ - რევოლუციონურ დაჯგუფებათა ბელადები ამჟამად შესაფერ ადგილას ჰყავს ჩაკეტილი სახელმწიფო პოლიტსამმართველოს. თვითეულ ამ დაჯგუფებას ჰყავდა თავისი, უკაცრავად პასუხია, „ცენტრალური კომიტეტი“ და ამ „ცენტრალურ კომიტეტების“ წევრები ეხლა სულ უფრო და უფრო გულახდილად იწყებენ ლაპარაკს თავიანთი კონტრ-რევოლუციონური მუშაობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაჯგუფებებს სხვადასხვა გვარი პოლიტიკური ელფერი ჰქონდათ და სხვადასხვა გავლენით სარგებლობდნენ განსაზღვრულ წრეში, მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს არ ჰქონია ფესვები მასაში. მათმა სათანადო ცდებმა ვერ ჰპოვეს გამოხმაურება ვერც მუშებს შორის ქალაქებში და ვერც გლეხებს შორის სოფლად. მიუხედავად ამისა, განსაზღვრულ პირობებში, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში ეს კონტრ - რევოლუციონური ჯგუფები, ეჭვს გარეშე საშიშროებას წარმოადგენდნენ. მათი განადგურება სახელმწიფო პოლიტსამმართველოს დიდი დამსახურებაა. ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ არ არის აღმოფხვრილი მავნებლურ ჯგუფების ყველა ფესვები, რომ ეხლაც საჭიროა დიდი სიფხიზლე.

„სამრეწველო პარტიის“ პროცესი და სხვა ცნობები მავნებლური ჯგუფების შესახებ მოწმობენ, რომ კლასობრივი მტერი ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართავს ყველაფერს და ყოველგვარ საშუალებას. ბურჟუაზიის გახრწნილი ნაშთების აგენტები ჩვენს ქვეყანაში არაფერს არ ერიდებიან, კონტრ - რევოლუციონური ბრძოლის ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ.

აღნიშნულ დაჯგუფებებს ურთიერთ შორის დადებული ჰქონდათ ბლოკი. ამ ბლოკს საფუძვლად ედო სამი ძირითადი დებულება: კონტრ-რევოლუციონური მავნებლობა, სადივერსიო - დამანგრეველი ბრძოლა სოციალისტურ საწარმოთა წინააღმდეგ და უცხოეთის ინტერვენციის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ საკითხში საერთო ენა გამონახეს არა მარტო რამზინებმა და ოსადჩიებმა, არამედ აგრეთვე კულაკებისა და ესერების წარმომადგენლებმა — კონდრატიევებმა, სადირინებმა, იუროვსკებმა, აგრეთვე მენშევიკებმა გრომანებმა, სუხანოვებმა და შერებმა. ყველა ისინი კაპიტალიზმის და ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენის მიზნით შეთანხმდნენ ერთმანეთთან საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად ყოველნაირი მეთოდებით. თუ ზოგიერთი ამ კონტრ-რევოლუციონერ მოღვაწეთაგანი აღნიშნულ დასკვნამდე მხოლოდ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში მივიდა, — ამჟამად არც ერთი მავნებლური დაჯგუფება არ უარყოფდა არც მოღალატურ მავნებლობას, არც დამანგრევ დივერსიებს, არც უცხოეთის ინტერვენციის გამცემლურ მომზადებას, პირიქით, სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი კონტრ - რევოლუციონური მუშაობის შინაარსი. მათ აერთიანებდათ დებულება: საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ამჟამად ყველა საშუალებები კარგია.

აი სწორედ ამიტომ ყველაფერი ის, რაც აადვილებს მავნებლურ მუშაობას სახელმწიფო აპარატში, დაუზოგავად უნდა იქნას აღმოფხვრილი. მაშასადამე, გადაჭრით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ ჩვენს ორგანოებში. მაშასადამე, ბოლო უნდა მოეღოს მემარჯვენე - უკლონისტურ და მასთან ერთად ტიპიურ ბიუროკრატიულ იმედის დამყარებას „თვით მდინარეობაზე“ სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობაში. მაშასადამე, საჭიროა აგრეთვე ნამდვილად გაძლიერება ბრძოლის ხელმძღვანელთა კლასობრივი სიფხიზლის ოპორტუნისტული დაჩლუნგების წინააღმდეგ და განსაკუთრებით მემარჯვენე ოპო-

---

*) ამხ. მოლოტოვის ეს წერილი იბეჭდება „მოსკოვის „ბოლშევიკი“-ის მორიგ ნომერში. რედ.

25 თებერვალი თბილისში

1921 წლის 20 თებერვალი. ზამთარი ამ წელიწადში მეტად სუსხიანი იყო. ამ დღესაც თბილისის ქუჩები დამძიმებული იყო თოვლის თეთრი ფიფქებით და ყინულის ჩურჩხელებით.

დრო და დრო შეკუმშულ ჰაერს რაღაც საშინელი გრიალი აყრუებს. ეს აჯანყებულთა შორეული ბრძოლის გამოძახილი მოდის თბილისამდე. სროლის ხმა თანდათან ძლიერდება. ფანჯრებს ზანზარი გააქვთ. ობივატელი სოროში მიძვრება, ხოლო მენშევიკები ქუდმოგლეჯილი დააქროლებენ ავტოებს, ეძებენ მახლობლებს, რომ მათთან ერთად მოემზადონ გასაქცევად.

ერევნის მოედანზე რაღაც ჩოჩქოლია. მოედანი მოფენილია ღიპიანი ვაჭრებით, სოლოლაკელი ბურჟუებით, აქა-იქ მოსჩანან გრძელწვერა ხუცები და ტერტერები. აქ არის ქვეყნის „მარილიც"—ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენცია. რაშია საქმე? რამ მოიყვანა ეს ხალხი აქ ამ სიცივეში?

ქუჩებში რაღაც საშინლად მიხრიალებს. ღიპიანები ტაშს უკრავენ. ეს მენშევიკური გვარდია საომრად მოკაზმულა. სადღაც მიაგორებენ თითო-ოროლა ზარბაზანს. ამბობენ ფრონტზე მიდიანო. ბურჟუები ტაშს უკრავენ. წითელმა საფრთხემ გააერთიანა სომხეთის ბურჟუაზია და ქართველი ნაციონალისტური ინტელიგენცია. სხვა დროს ისინი ვერ მორიგდებოდნენ. საკუთრების და სხვისი შრომით ცხოვრების საშუალების დაკარგვის საშიშროებამ შეადუღა მათი კლასობრივი ინტერესები. ამიტომ არის, რომ აქ მოსულან ისინი დღეს და ტაშს უკრავენ ოსეთის და სხვა რაიონების მშრომელთა სისხლით გასუქებულ ბანდიტებს. ასეთია კლასობრივი ბრძოლის ლოღიკა.

ამხ. ფ. მახარაძე და სხვა ამხანაგები ტრიბუნაზე

⁂

ეს იყო ათი წლის წინად. ათი წელი ათასეულივით მოსჩანს, იმდენად გადახალისდა ჩვენი ცხოვრება. ქვეყანამ მოიშუშა მენშევიკური იარები. მშრომელთა დაუღალავმა და თავდადებულმა შრომამ აღადგინა დანგრეული მეურნეობა, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა მის განვითარებას და შექმნა პირობები მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ახალ, სოციალისტურ საფუძველზე.

ათი წელი მეტად უმნიშვნელო მანძილია ისტორიისათვის, მაგრამ გადახედეთ საქართველოს—რა გააკეთეს ბოლშევიკებმა ამ ისტორიულად უმოკლეს ვადაში. ქვეყანა დაისერა ახალი ფაბრიკა-ქარხნებით, საცოდავად მბჟუტავი მენშევიკური ელექტროსადგურების ნაცვლად აღიმართა ზაჰესი, აბჰესი, მათ ახლო ხანში ზანს მისცემს რიონჰესი, აჭჰესი, ალაზანჰესი და სხვა ჰესები. მინდვრებზე აგუგუნდა ტრაქტორების ორომალი. გლეხობა ჩაება კოლექტიურ შრომის ფერხულში. ქვეყანა „მკვდრეთით აღსდგა", ბოლშევიკურმა ენერგიამ სახე უცვალა საქართველოს.

მენშევიკები ისტორიის სანაგვე ყუთს ჩაბარდნენ. დღეს აღარავის ახსოვს ისინი, მუშა და გლეხი ზიზღით იხსენიებს მათ სახელს, რადგან თავისი ხანმოკლე არსებობის განმავლობაში მათ ცეცხლის ალი დაანთეს საქართველოს ყოველ კუთხეში. ოსეთის სოფლებს დღესაც ემჩნევა მათი ზარბაზნების კვალი.

მაგრამ რამდენადაც მწარე იყო მენშევიკური სინამდვილე, იმდენად უსაზღვროა დღეს მშრომელთა სიხარული. საბჭოთა საქართველომ განვლო თავისი არსებობის პირველი ათი წელი, უდიდესი მშენებლობის და შემოქმედებითი შრომის ათი წელი. ეს თარიღი ისტორიული თარიღია. ამიტომაც ის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, და მართლაც 1931 წლის 25 თებერვალი განსაკუთრებულად აღნიშნა თბილისის პროლეტარიატმა.

⁂

ათი წლის განმავლობაში მე არ დავკლებივარ არც ერთ 25 თებერვლის დღესასწაულს. მაგრამ ასეთი სიხარული მე ჯერ არ მიგრძვნია. ეს სიხარული ყოველწლიურად გაიზრდება, რამდენადაც გაიზრდება საბჭოთა საქართველო. და რომ ის გაიზრდება—ამის თავდებია ბოლშევიკური ენერგია, ბოლშევიკური ტემპები. თქვენ გინდათ თვალსაჩინოდ წარმოიდგინოთ—თუ რა არის ბოლშევიკური ტემპი? აი პატარა მაგალითი. სასახლის ქუჩაზე, იმ ადგილას, სადაც ათეული წლების განმავლობაში წამოჭიმული იყო ულაზათო, კუზიანი ეკლესია, 25 თებერვალს უეცრად გაჩნდა მშვენიერი პატარა ბაღი პალმებით და ყვავილებით. მერე ვინ მოიტანა ის აქ, 24 თებერვალს ხომ აქ ბაღის ნასახიც არ იყო? ბოლშევიკურმა ტემპმა რამდენიმე საათში აქ შექმნა ბაღი. ასეა ყველა დარგებში. საკმარისია რამდენიმე თვით გახვიდეთ თბილისიდან, რომ დაბრუნებისას ვეღარც კი იცნოთ ზოგიერთი ქუჩა.

ჩვენ ზღაპრულ ყრმასავით საათობით ვიზრდებით და რა გასაკვირია, თუ ეს ზრდა სიხარულით ავსებს ჩვენს გულს.

25 თებერვალი არ არის მარტო მენშევიკურ უღლისაგან განთავისუფლების წლის თავის დღესასწაული. ამ დღეს ხვდება მეორე დღესასწაული, წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავის დღესასწაული.

წითელ არმიის აღლუმი

წელსაც თბილისის მუშათა კლასმა ერთად იდღესასწაულა ეს ორი ისტორიული თარიღი. წითელი არმია საქართველოს მშრომელთა უერთგულესი მეგობარია, ეს ის არმიაა, რომელმაც მრავალი მსხვერპლი გაიღო ჩვენი განთავისუფლებისათვის. ეს აძლიერებს ჩვენს სიყვარულს არმიისადმი, აძლიერებს ზრუნვას მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

წელსაც, როგორც ამ ათი წლის წინადაც, თბილისი თეთრადაა შეფერილი. თოვს, ჰორიზონტი ბურუსშია გახვეული. მთაწმინდა რაღაც უზარმაზარ რძისფერს ტალღაში შეცურებულა. დღევანდელი დღის ბუნებას სრული განმეორება განუცდია. მაგრამ ჰაერს არ აყრუებს მაშინდელივით ზარბაზნების გრიალი, მის ნაცვლად ორკესტრები გუგუნებენ. დამძიმებული ჰაერი მრავლად ისვამს „ინტერნაციონალის" ხმებს და აფენს მათ ახმაურებულ მიდამოზე.

რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარე რუხ შინელებიანებს დაუკავებიათ, ქვაფენილებზე ტალღასავით მიგორავს ხალხის ზღვა. ტალღა ხან შეჩერდება, ხან აგორდება ძლიერად და ლამობს ზღუდეების გადალახვას. ყველა ტრიბუნისაკენ მიისწრაფვის, ყველას უნდა ბელადებს მოჰკრას თვალი, გაიგონოს მათი მისალმება.

სასახლის წინ აღმართული უზარმაზარი ტრიბუნა სავსეა ხალხით. აქ არიან ამიერკავკასიის და საქართველოს მთავრობების წევრები, არმიის სამხედრო-რევოლუციონური საბჭო არმიის სარდლობასთან ერთად, ა.-კ. საბჭოთა მეექვსე ყრილობის დელეგატები და მრავალი სტუმარი.

12 საათზე იწყება აღლუმი. არმიის ნაწილები მწყობრად მიდიან ტრიბუნის წინ. ქვეითა ჯარს მოსდევს არტილერია, შემდეგ კავალერია, ტყვია-მფრქვევების რაზმი, ჯავშნოსნები, თავდაცვა-ავიაქიმელები სამხედრო ძაღლებით და მტრედებით და სხვ.

—გაუმარჯოს მშრომელთა შეიარაღებულ ძალას, გაუმარჯოს წითელ არმიას—ესალმება ჯარის ნაწილებს ამხ. ფ. მახარაძე და მის სიტყვებს მქუხარე „ვაშა" და „ურა" ფარავს.

ერთ საათზე მეტს გრძელდება სამხედრო ნაწილების მსვლელობა. სამი ჰაეროპლანი არწივებივით დაგვტრიალებენ თავს და მხიარული გუგუნით ავსებენ ჰაერს.

არმიის ნაწილებს მოსდევს შეიარაღებული კომკავშირი. ისეთივე მწყობრი და შეთანხმებული ნაბიჯები, ისეთივე დისციპლინა, როგორც სამხედრო ნაწილებში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კომკავშირელები სამოქალაქო ტანსაცმელში არიან. კომკავშირი პარტიის ერთგული მეგობარი და დასაყრდენია. კომკავშირი არმიის შეიარაღებული არმიაა, დროებით შვებულებაში გაშვებული. თუ საჭიროება მოითხოვს, იგი მსწრაფლ ფეხზე დადგება, გვერდში ამოუდგება ჩვენს სახელოვან წითელ მებრძოლებს და მაშინ მტერი თავის ზურგზე იგემებს მის რისხვას.

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა თბილისის ერთ-ერთი სიამაყეა. სტალინელები თბილისის პროლეტარიატის უძველესი კადრია. ისინი მრავლად მოსულან დემონსტრაციაზე, რომ ყველას გააგონონ გამოსთქვან თავიანთი სიხარული მოღალატე მენშევიკების უღლისაგან განთავისუფლების გამო.

სტალინელებს უყვართ ციფრებით და დიაგრამებით ლაპარაკი. ისინი აქაც დიაგრამებით მოსულან. აი დახედეთ ამ პლაკატებს, პირველ რიგში რომ უჭირავთ ხელში, რა უილაჯო და წელმოწყვეტილი ვაგონები და ორთქლმავალია გამოხატული ამ პლაკატზე! ეს მენშევიკური „სამოთხის" ხანაა. ასეთი იყო მაშინ სარემონტო ქარხნის პროდუქცია. დახედეთ ეხლა სხვა პლაკატებს. რა ვაჟკაცური, მხნე ვაგონები და ორთქლმავალია იქ გამოხატული! ეს საბჭოთა პერიოდია, ეს ჩვენი დროის პროდუქციაა ქარხნიდან გამოშვებული.

დემონსტრაციას ბოლო არ უჩანს. კოლონა კოლონას მოსდევს, რაზმი რაზმს, ტალღა ტალღას და ასე დაუსრულებლივ. ქუჩა ალისფერ დროშების ზღვათაა გადაქცეული.

დემონსტრაციის ბოლოში მოყვება კარნავალი. ეს ხუცები რაღამ მოიყვანა დემონსტრაციაზე? ვინ არიან, საიდან მოსულან! მათ წინ მოუძღვის პლაკატი: „მენშევიზმის სიმშვენიერენი". და მართლაც ხომ გახსოვთ რა პატივში იყვნენ მენშევიკების დროს ხუცები. უბატონოთ ხმას ვერავინ გასცემდა. ახსომებათ ისიც, თუ რა პომპით დაკრძალა ნოე ჟორდანიამ თავისი შვილი, რამდენ მღვდლებს და ეპისკოპოსს მოუყრია მაშინ თავი.

ეს რა შეიარაღებული ხალხია ხუცებს რომ მოსდევს უკან! ვინ მოიწვია ისინი: ესეც მენშევიკური „სამოთხის" აუცილებელი ატრიბუტია ესენი არიან გერმანელები, ოსმალები და ინგლისელები, რომლებიც „ჩვენი მშვენიერი თვალების გულისათვის" მოვიდნენ საქართველოში.

„მენშევიზმის სიმშვენიერეთ" თან მოსდევს ნამდვილი სიმშვენიერენი საბჭოთა პერიოდისა: დაუღალავი შრომა ქურასთან—მუშათა კლასის ენტუზიაზმი, კოლექტიური შრომა კოლმეურნეობის კალოზე, ტრაქტორის მუშაობა, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა და სხვ. ყველაფერი ეს ნათლად ასურათებს საბჭოთა საქართველოს მიღწევებს.

სამ საათს გადაცილებულია და დემონსტრანტების მსვლელობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ორკესტრების გუგუნი, პიონერების საყვირების ხმა და ათეული ათასი მშრომელის მხიარული ერიამული ირევა ერთ გამოუცნობ ხმაში და ქმნის შრომის დღესასწაულის საუცხოვო სიმფონიას.

ასე გაგრძელდა საღამომდე. საღამოს ქალაქმა ისევ საქმიანი სახე მიიღო. ამუშავდა ტრამვაი, ოპერის თეატრში შეიკრიბა ამიერკავკასიის ფედერაციის უზენაესი ორგანო—საბჭოთა ყრილობა, სადაც უაღრესად საქმიანი კილოთი გაგრძელდა კამათი მებამბეობისა და წყალთა მეურნეობის საკითხებზე.

ასეთია ბოლშევიკური ცხოვრების და ბრძოლის წესები. შრომა და ზეიმი აქ განუყრელი ძმები არიან, ეს ორი ცნება გადახლართულია ერთმანეთში. შრომა ჩვენ გადავაქციეთ განუწყვეტელ ზეიმად, ზეიმსაც კი შრომის ხასიათი მივეცით. 25 თებერვალიც ამ ბოლშევიკური ნიშნით ჩატარდა.

შ. ბ—ძე



ა.-კ. საბჭოთა მე-6 ყრილობის დელეგატები ტრიბუნაზე.

რტუნისტებისა და ყოველგვარ უპრინციპო შემარიგებლობის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატში.

ცნობილია, რომ მავნებლები სახელმწიფო აპარატში იმედს ამყარებდნენ მემარჯვენეებზე. მათ ესმოდათ, რომ მემარჯვენეებს, როგორც კულაკურ ბურჟუაზიული ელემენტების აგენტურას, არ აქვთ უნარი თანამიმდევრობითი ბრძოლა აწარმოონ ბიუროკრატიზმთან და მავნებლობასთან. ოპორტუნიზმის წვრილბურჟუაზიული ბუნება აქაც საკმაოდ ნათლად სჩანს. მავნებლები ხშირად ახერხებდნენ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებისაგან თანხმობის მიღებას, როცა მათ (მავნებლებს) უნდოდათ თავიანთი პროექტების და გეგმების შეპარება. სწორედ ამიტომ არიან ოპორტუნისტები წვრილ-ბურჟუაზიული უხერხემლობის წარმომადგენელნი, ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელნი პროლეტარიატის რიგებში. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ მემარჯვენე ელემენტები პარტიაში გამოხატავენ არა მარტო იმ ელემენტების განწყობილებას, რომელთაც ხმა მისცეს მათ რეზოლიუციებს. პრაქტიკაში ისედაც ხდება, რომ მემარჯვენეების წინააღმდეგ მიღებულ რეზოლიუციისათვის ხმის მიცემა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სინამდვილეში ადგილი არა აქვს მემარჯვენე-ოპორტუნისტულ იმედის დამყარებას „თვითმდინარეობაზე".

მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლამ საკმაოდ გამოამჟღავნა, რომ მემარჯვენე გადახრის ხაზი სრულიად ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს. პარტიის ხაზს მივყევართ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, მემარჯვენეთა ხაზს—კაპიტალიზმის აღდგენისაკენ. იმის შემდეგ, რაც პარტიამ სავსებით გამოაშკარავა მემარჯვენე გადახრის ანტიბოლშევიკური ბუნება, ხოლო სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკულმა მიღწევებმა სრულიად გააქარწყლეს მემარჯვენე უკლონისტების უბადრუკი „თეორიები", მემარჯვენეთა რიგები დაიშალა. ჩვენ მივიღეთ მემარჯვენე გადახრის ბელადების და მათი ზოგიერთი ცნობილი მომხრეების განცხადება. ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთმა ამხანაგებმა, რომელთაც დაუშვეს მემარჯვენე - უკლონისტური შეცდომები, გულახდილად მოინანიეს იგი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე არის არა მონანიებაში, არამედ მუშაობაში, ბოლშევიკურად მუშაობაში.

შეცდომების აღიარება პირველი ნაბიჯია მათი გამოსწორებისათვის. მაგრამ შეცდომების გამოსწორება არ ამოიწურება მათი სიტყვიერი აღიარებით. სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ისე, რომ თავისი მემარჯვენე ოპორტუნისტული შეცდომების ფორმალურად აღიარების შემდეგაც გუშინდელი მემარჯვენე უკლონისტი პასიობას იჩენს პარტიის პოლიტიკის პრაქტიკულად გატარების საქმეში.

რით აიხსნება ეს?

მე მგონია, რომ ბოლშევიკურად მუშაობისთვის არ კმარა წარსული შეცდომების აღიარება, არ კმარა ამა თუ იმ ამხანაგმა აღიაროს, რომ იგი, ვსთქვათ, 2-3 წლის განმავლობაში სწორი გზით არ მიდიოდა. ბოლშევიკურად მუშაობისთვის ამას გარდა საჭიროა უეჭველი სოლიდარობა იმ მუშაობასთან, რომელსაც პარტია ამა თუ იმ მომენტში აწარმოებს, და, მაშასადამე, სოლიდარობა ბრძოლის იმ პერსპექტივებთან, რომლებიც პარტიამ დასახა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს არა მარტო წარსული შეცდომების აღიარებას, არამედ სრულ თანხმობას ახალ ამოცანებთან და შემდგომი ბრძოლის პერსპექტივებთან, როგორც ისინი პარტიამ დასახა, — მაშინ და მხოლოდ მაშინ ჩნდება ნამდვილი ბაზა ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობისთვის არსებულ პირობებში. მაშინ მუშაობა იწარმოებს სრული სოლიდარობით პარტიის მუშაობასთან. ეს იქნება ნამდვილი მუშაობა, ისეთი მუშაობა, როდესაც მომუშავეს უბეში არ ექნება დამალული პარტიისათვის სასროლი ქვა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როდესაც წარსული შეცდომების აღიარებას მოსდევს ნამდვილი ბოლშევიკური მუშაობა, ეს არის ნამდვილი სოლიდარობის გამოხატულება პარტიის ამოცანებზე შეხედულებებში, ნამდვილი სოლიდარობა პარტიასთან მუშათა კლასის ბრძოლის შემდგომ პერსპექტივებშიაც. მეორეს მხრით, იგივე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როდესაც ამა თუ იმ ამხანაგის მიერ აღიარებულ შეცდომებს არ მოსდევს ნამდვილი ბოლშევიკური დამოკიდებულება პარტიის მიერ მინდობილ სამუშაოსადმი, ეს არის იმის გამოხატულება, რომ, მიუხედავად წარსული შეცდომების აღიარებისა, აქ არსებობს შემდგომი ბრძოლის საკუთარი პერსპექტივა, სხვა პერსპექტივა, განსხვავებული პარტიის პერსპექტივისაგან. აი რატომ ელის პარტია ყოფილ მემარჯვენეებისაგან არა მარტო მონანიებას, არამედ ნამდვილ ბოლშევიკურ მუშაობასაც.

ვ. მოლოტოვი.

თბილისი საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის მანძილზე—საქართველოს და ამიერკავკასიის დედაქალაქი მთელ ქვეყანასთან ერთად გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ, სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში — თბილისის ეკონომიური ცხოვრების მაჯის ცემა მოდუნებული იყო; არ სწარმოებდა არავითარი აღმშენებლობა; საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯზე არსებობდა: როგორც საქართველო, აგრეთვე მისი დედაქალაქი გადაქცეული იყო უცხოელი გენერლების სათარეშო მოედნად.

1921 წლის 25 თებერვალს დაეცა მენშევიკური თბილისი და ამ დღიდან იწყება ახალი თარიღი, როგორც თბილისისათვის, აგრეთვე მთელი საქართველოსათვის.

საბჭოებს დახვდათ გაძარცვული საქართველო, გაძარცული თბილისი. „ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზედაც აღარ დარჩენილაო" —გაიძახოდნენ მენშევიკების ლიდერები და ყველაფერი, რასაც კი ხელი მიუწვდებოდათ, გაანადგურეს და დაანგრიეს და დაზიანეს.

საჭირო შეიქნა, თითქმის, ყველაფრის თავიდან აღდგენა და განახლება. უჩვეულო ენტუზიაზმით, მტკიცე ნებისყოფით, მუშების და გლეხობის ფართო მასების უშუალო ინიციატივით და არნახული ტემპებით —გამოყვანილი იქმნა გაპარტახებული და განადგურებული საქართველო იმ გამოუსავალი მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩააყენეს მის წინანდელმა ბატონ-პატრონებმა, გადალახული იქნა ყოველგვარი დაბრკოლება და დაწყებული იქნა მუშაობა დიადი სოციალისტური მშენებლობისა.

როგორია საბჭოთა თბილისის სახე მისი ათის წლის თავზე?

ავალაპარაკოთ ფაქტები:

მეფის მთავრობის დროს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის პროც. 1,8 უდრიდა, მენშევიკების დროს—0,3 პროცენტს, ხოლო საბჭ. მთავრობის დროს—4-ს. მხოლოდ ეს ციფრი მოწმობს თუ რამდენად სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ მოსახლეობის და ქალაქის ეკონომიური კეთილდღეობა.

ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის მთავარ ღერძს, მის ქვაკუთხედს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას წარმოადგენს. რა გაკეთდა თბილისში ამ მიმართულებით?

მეფის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკის შედეგად თბილისში მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის ხანაში ქალაქის მრეწველობა განადგურების გზას დაადგა. მისი ძირითადი კაპიტალი მთლად გაიცვითა, რის გამო ფაბრიკა-ქარხნების დიდი ნაწილ 1921 წლის დასაწყისში უმოქმედოთ იყო.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათის წლის თავზე კი ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმ მიღწევებით, რომელიც ამ დარგში გვაქვს.

ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქალაქის მრეწველობის პროდუქცია 1926—27 წელს უცვლელ ფასებში თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა. 1925-26 წელს მისი პროდუქცია 32.176,1 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო 1929-30 წელს 74.691,9 ათას მანეთს.

ასეთი არაჩვეულებრივი ზრდა შედეგია არა მარტო ახალი სამრეწველო აღმშენებლობის, არა მარტო კაპიტალურ დაბანდებებისა და წარმოების რაციონალიზაციისა, არამედ მუშათა კლასის შრომითი ენტუზიაზმისა, რომელიც ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში გამოიხატება.

თავისი არსებობის მოკლე მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ ქალაქში 30-დე ახალი სამრეწველო ერთეული აგო და მოაწყო, მათ შორის ჩვენი პროლეტარიატის სიამაყე, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი ჰიდრო ელსადგური ზაჰესი, რომლის აგება 15 მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა, მაუდის დიდი ფაბრიკა, სადაც ამჟამად 1300 მუშაა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ორი მსხვილი სამკერვალო ფაბრიკა და მრავალი სხვა.

მარტო უკანასკნელ სამ წელს ქალაქის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა თანხა 14 მილიონ მანეთამდე აღწევს.

არანაკლები მიღწევები გვაქვს კომუნალურ მეურნეობის დარგში. საკმარისია აღვნიშნოთ ის, რომ ხუთწლედის წინა ხუთი წლის განმავლობაში (1923-24-1927-28 წ.წ.) კაპიტალურ დაბანდებათა საერთო თანხა კომუნალურ საწარმოებში (ტრამვაი, წყალსადენი, ელექტრო ანაგებათა სამმართველო, და აბანოები) 10.156 ათას მანეთს უდრის, ხოლო ხუთწლედის პირველ ორ წელს—7.688 ათას მანეთს, სულ 17.844 ათას მანეთს.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ დაგვიტოვა, თითქმის, სრულებით განადგურებული ტრამვაი. 134 ვაგონიდან, რომელიც ტრამვაის პარკში ირიცხებოდა, ხაზზე მხოლოდ 23 ვაგონი მუშაობდა. დანარჩენების გამოყენება კაპიტალური შეკეთების გარეშე შეუძლებელი იყო, ამავე დროს მოშლილი იყო საჰაერო ქსელი, რომელიც ძირითად განახლებას მოითხოვდა. ტრამვაის ერთმაგის ხაზის სიგრძე 39 კილომეტრს უდრიდა, უკვე 1925-26 წელს მოძრაობაში იყო 105 ვაგონი, ხოლო ამჟამად 130. გაყვანილი იქნა განსაკუთრებით მუშათა უბნებში ტრამვაის ახალი ხაზები, რის გამო ერთმაგი ხაზის სიგრძე 1929-30 წლის ბოლოს უკვე 65 კილომეტრამდე ავიდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში კატასტროფიულ მდგომარეობაში იყო აგრეთვე ავჭალის წყალსადენი. იგი იმდენად მოძველებული, გაცვეთილი იყო, რომ პირველ ხანებში საჭირო შეიქნა არაჩვეულებრივი ზომების მიღება, რათა ქალაქი უწყლოთ არ დარჩენილიყო.

წყალსადენის მეურნეობა სწრაფად იქნა აღდგენილი და შემდეგ დაიწყო მისი გაფართოება. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მაგისტრალის სიგრძე ერთნახევარჯერზე მეტად გაიზარდა—130,0 კილომეტრიდან 1924 წელს—194,7 კილომეტრამდე, 1929-30 წელს მოსახლეობის სწრაფი ზრდის მიუხედავად გაიზარდა აგრეთვე წყლის სულობრივი მოხმარება. თუ წყლის მოხმარება ერთ სულზე 1923 წელს 29,3 ლიტრს უდრიდა, 1929-30 წელს იგი 39,32 ლიტრამდე ავიდა.

ამჟამად ჩვენ ვაგებთ ახალ დიდ წყალსადენს, რომელიც ამ წლის ბოლოს მიაწვდის ქალაქს სუფთა წყალს და რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სავსებით უზრუნველყოფს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. მისი აგება 10 მილიონი მანეთამდე დაჯდება.

ამრიგად ქალაქის წყლით მომარაგების საქმე სავსებით უზრუნველყოფილია.

ზაჰესის აგებასთან დაკავშირებით დიდათ გაუმჯობესებულია აგრეთვე ქალაქის ელექტრონის მომარაგების საქმეც. თუ 1921 წელს ქალაქში გამოყენებული ენერგიის რაოდენობა 1,351 ათას კილოვატ საათს უდრიდა, 1929-30 წელს იგი 38 მილიონ კილოვატ საათამდე ავიდა. როგორც ვხედავთ, არაჩვეულებრივი ზრდაა ელექტრო ენერგიის მოხმარების, რაც ნათლად მოწმობს თუ რამდენად წინ წავიდა ქალაქის მშრომელი მასების კომუნალური მომსახურეობის საქმე. ფრიად საგრძნობი ნაწილი ამ ენერგიის იხარჯება სწრაფად გაზრდილ ქალაქის მრეწველობაზე, რომელიც უკვე მთლიანად ზაჰესის ელენერგიაზეა გადაყვანილი.

აღარ შევჩერდებით ქალაქის გოგირდის აბანოებზე. ეს მეურნეობა ამჟამად მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. ლენინის რაიონში აგეთ ერთი დიდი აბანო (დაჯდა 281 ათასი მანეთი). ხოლო წელს შენდება მეორე დიდი აბანო, რაც წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვით 470 ათასი მანეთი დაჯდება.

არ შეიძლება აქვე არ შევეხოთ ბალნეოლოგიური სადგურის აგების საკითხს. ამ სადგურის აგება უკვე შევუდექით. თბილისი ცნობილია თავისი მინერალური წყლებით, რომელთაც საუკეთესო სამკურნალო თვისებები აქვს. თბილისში არსებობს ყველა პირობა საიმისოდ, რომ იგი მსოფლიო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტად იქცეს.

რა გაკეთდა ფაქტიურად აქამდე ქალაქის კეთილმოწყობის დარგში?

ქალაქის განაპირა უბნებში გაყვანილია ახალი ქუჩები, მოიკირწყლა და გადაიკირწყლა ძველი. კერძოთ მტკვრის გაყოლებით მის მარჯვენა ნაპირას გაყვანილია ახალი ქუჩა, რომელიც ქალაქის ცენტრალურ რაიონს საბურთალოსთან აერთებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუჩების გაფართოება (სიონსა, ბაზარი, ელბაქიძის დაღმართი, პასაჟი, კრომკა და სხ.), ძველი, ვიწრო ქუჩებით დახლართული აზიური თბილისი წელში გასწორდა და მასში მზის შუქმა ფართოდ შეანათა. თბილისის გარეგანი სახე ძირიან ფესვიანად იცვლება. ისტორიას ბარდება მისი ძველი მონური სტილი და გზას უთმობს თავისუფალი შრომის ხალისიან საბჭოთა სტილს.

ქალაქის მწვანე ფართობი საგრძნობლად გაიზარდა. გაშენდა ახალი ბაღები და სკვერები. ქალაქის გარშემო მდებარე მთებზე მოშენებულია ტყე და მალე მათი ხრიოკი კალთები მწვანე ფერით შეიმოსება.

მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობაზე — 1.387.000 მანეთი დაიხარჯა.

ჩვენი მშენებლობის ვიწრო ადგილს ჯერჯერობით საბინაო აღმშენებლობა წარმოადგენს, მისი ტემპები ჩამორჩება ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტემპებს. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში მარტო თბილისის საბჭოს მიერ საბინაო მშენებლობაზე დახარჯულია 5 მილიონ მანეთამდე. მოთხოვნილებასთან შედარებით, რასაკვირველია, ეს მცირე თანხაა.

ასეთია ჩვენი მიღწევები სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. პარალელურად ამისა უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს კულტურულ ფრონტზე.

ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს კულტურის დარგში შეადგენს ის, რომ ჩვენს პირობებში კულტურულ აღმშენებლობას მასიური მუშაობის ხასიათი ეძლევა, რაც კაპიტალისტური ქვეყნებისათვის უჩვეულოა. ჩვენ ფართოდ ვაღებთ კულტურულ დაწესებულებათა კარებს მშრომელთა მასებისათვის.

მეფისა და მენშევიკურ ხელისუფლებამ დაგვიტოვა მძიმე მემკვიდრეობა მშრომელთა მასების უდიდესი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობის სახით. ჩვენ გაცხოველებულ ბრძოლას ვაწარმოებთ ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და ახლო მომავალში მივაღწევთ მიზანს.

უკვე სამი წელია, რაც გატარებულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლება პირველი საფეხურის სკოლის ფარგლებში, ხოლო გასულ წელს—მეორე საფეხურის სკოლებში. თუ მენშევიკური მთავრობის დროს სკოლის პირველ ორ საფეხურებში ბავშვთა რიცხვი 15.000 არ აღემატებოდა, ამჟამად 44.000 მეტი ბავშვია.

მენშევიკების დროს ქალაქში არ იყო არც ერთი სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულება. ამჟამად ბავშვთა საერთო მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი უკვე მოთავსებულია საბავშვო ბაღებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა განათლების საქმეს. ამჟამად ფართოდ გაშლილია მუშათა განათლების ქსელი, მცირე მცოდნეთა, მაღალი ტიპის სკოლების, მუშფაკებისა და მუშათა უნივერსიტეტის სახით. მიღებულია გადამწყვეტი ზომები უმაღლეს სასწავლებელთა გამუშურებისათვის. კერძოდ თბილისში ამჟამად 16 უმაღლესი სასწავლებელია.

ძირითად ჩვენს პოლიტიკას სასკოლო მშენებლობის დარგში სკოლის პოლიტეხნიზაცია, მისი წარმოებასთან დაახლოვებას წარმოადგენს. ამჟამად არსებული შვიდწლედების უკვე 50 პროცენტი გადაკეთებულია საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედებად, ხოლო ყველა მესამე საფეხურის სკოლა—ტეხნიკუმებად.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეფისა და მენშევიკების დროს მთავარი ადგილი ეჭირა მკურნალობას, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მშრომელთა ფართო მკურნალობასთან ერთად—იმ სოციალური ეკონომიური პირობების შესწავლას, რომელიც იწვევს მოსახლეობის დაავადებას და ამ ნიადაგზე პროფილაქტიური, ე. ი. წინასწარ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა მიღებას.

სოციალურ დაავადებასთან საბრძოლველად ქალაქში გახსნილია ორი ტუბდისპანსერი, ერთი მალარიის და ორი ვენდისპანსერი.

თუ მეფისა და მენშევიკური მთავრობების დროს ქალაქში იყო 6 საავადმყოფო, ამჟამად მათი რიცხვი 11-ს უდრის. ამავე დროს ამბულატორიების რიცხვი 6-დან 35-მდე გაიზარდა.

მოწყობილია დედათა და ბავშთა კონსულტაციის დაწესებულებათა, ბაგების ქსელი, რასაც მთლიანად საფუძველი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასების სანიტარულ განათლებას.

თბილისის საბჭოს ეს მიღწევები სასიკვდილო ლახვარია ევროპაში გახიზნული ემიგრაციისათვის. ეს მიღწევები ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ხაზი სწორია და რომ გამარჯვებული პროლეტარიატი მომავალშიაც გადაუხვევლად ივლის ამ ხაზით, სასტიკად შეებრძოლება მის გამმრუდებლებს მემარჯვენე და „მემარცხენეებს", „მემარჯვენე-მემარცხენე" ბლოკის ელემენტებს და მათთან ყველა ჯურის შემთანხმებლებს და იგი განაგრძობს ძლევამოსილი ნაბიჯებით წინსვლას სოციალისტური მშენებლობის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ვ. მელაძე.

ათი წლის თავის აღსანიშნავად

კასპის ცემენტის ქარხნის საზეიმო გახსნა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 10 წლის შესრულების დღეს, კასპში მოხდა ცემენტის ქარხნის საზეიმო გახსნა. ცემენტის ქარხნის 300 მუშა დილით ადრე გაეშურა სოფელ კასპში კოლმეურნეებთან შესახვედრად. საუზმის შემდეგ, მუშები და კოლმეურნეები მწყობრი რიგებით გაემართენ ქარხნისაკენ, სადაც მივიდნენ დღის 12 საათზე.

ქარხნის ალაყაფის კარები მორთული იყო წითელი მატერიით. მიტინგის გახსნის წინ რაიპარტკომის მდივანმა ამხ. ელიაშვილმა გადასჭრა ლენტი, რაც ქარხნის ჭიშკარზე იყო, და გაისმა ქარხნის საყვირთა გუგუნი, რომლის დროსაც კარიერებში დაიწყო აფეთქება. ეს გაგრძელდა 5 წუთს. პირველად მიტინგზე გამოვიდა ამხ. ელიაშვილი. თავის სიტყვაში ამხ. ელიაშვილმა დაახასიათა ის გზა, რომელიც განვლო საქართველომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.

შემდეგ ილაპარაკეს საქართველოს სმუს-ის წარმომადგენელმა ამხ. კალანდაძემ და ცემენტის ქარხნის დირექტორმა, რომლებმაც აღნიშნეს კასპის ცემენტის ქარხნის როლი და მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის მშენებლობისათვის.

მხურვალედ და ენერგიულად გამოდიოდნენ დამკვრელები.

„ჩვენ მოვითხოვთ—ამბობდნენ ისინი, — რომ ქარხანა მთლიანად დამკვრელად იქნას გამოცხადებული, ვიძლევით სიტყვას, რომ უზრუნველვყოფთ ამიერ-კავკასიას აქამდე დეფიციტური ცემენტით. წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტების ჩხავილისა, ახალ მშენებლობას არაჩვეულებრივი ბუმბერაზული სახე ეძლევა. დამკვრელი მუშაობა იმის თავდებია, რომ ხუთწლიანი გეგმა ვადაზე გაცილებით ადრე იქნება შესრულებული. ჩვენი ცემენტის ქარხანა ამჟამად უკვე იწყებს მუშაობას დაკვრითი წესით. ქარხანას მრავლად მოეპოება მზა ცემენტი და ნახევარ-ფაბრიკატი, მხოლოდ მუშაობას აფერხებს რკინის გზის ტრანსპორტი, რომელიც დროზე არ იძლევა ვაგონებს ცემენტის გასაზიდად".

ცემენტის ქარხნის მუშებს და მათი სახით საქართველოს ყველა მშრომელთ მიესალმა სომხეთის ცემენტის ქარხნის მუშების დელეგაცია.

„ჩვენ ვამაყობთ—განაცხადეს მათ—ჩვენი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა გამარჯვებებით. თქვენ და ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს—სოციალიზმის მშენებლობა. ერთ ძმურ ოჯახში გაერთიანებით ჩვენ მოვსპობთ ყველა დაბრკოლებებს, რაც კი გზაზე გადაგვეღობება".

შემდეგ გამოვიდნენ კოლმეურნეები. „ჩვენ ვიძლევით პირობას—ამბობდნენ ისინი — მთელი თავისი ძალები მოვახმაროთ კოლმეურნეობათა განმტკიცებას და ყოველივე ზომები მივიღოთ მუშების უზრუნველსაყოფად ჩვენი წარმოების პროდუქციით".

ილაპარაკეს ღარიბ და საშუალო გლეხთა ფენების წარმომადგენლებმაც, რომლებმაც განაცხადეს, რომ ახლა ისინი ნათლად ხედავენ კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას ინდივიდუალური შრომისა და მეურნეობის წინაშე.

იქვე მიტინგზე 60 გლეხმა შემოიტანა განცხადება კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ, ხოლო ქარხნის 38 საუკეთესო დამკვრელმა—პარტიაში შესვლის შესახებ.

მიტინგმა დადგენილება გამოიტანა, რომ ქარხნის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვებულ იქნას საამშენებლო სამქრო, რომელიც დაჩქარებული ტემპით აწარმოებდა ქარხნის მშენებლობას და ბინების შენებას მუშებისათვის.

პოლიგრაფმრეწველობის სახლის საძირკვლის ჩაყრა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლისთავი აღნიშნულ იქნა მთელ რიგ ახალ საამშენებლო სამუშაოთა დაწყებით. სხვათა შორის, თბილისში, ლენინის ქუჩაზე, საძირკველი ჩაეყარა ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კონცენტრაციულ სტამბის შენობას, სადაც თავმოყრილი იქნებიან საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის შემდეგი საწარმოები: პირველი სტამბა, მეორე სტამბა, მესამე სტამბა, პოლიგრაფსკოლა, ასოთ-ჩამომსხმელი ქარხანა, მექანიკური სახელოსნო, სამკინძაო სახელოსნო, სადურგლო სახელოსნო და სხვ.

შენობის საძირკვლის, ჩასაყრელ ადგილზე შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს ს. მ. უ. ს. წარმომადგენელმა ამხ. მ. ძამაშვილმა.

მიტინგზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ცალკე სტამბების მუშების, მბეჭდავთა პროფკავშირის, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის და სხ. საწარმოთა წარმომადგენლები.

კონცენტრაციული სტამბა მოწყობილი იქნება ოთხ შენობაში. პირველი შენობა იქნება ოთხსართულიანი, ფასადით ლენინის ქუჩისკენ. დანარჩენი სამი შენობა აგებული იქნება იმავე მოედანზე, ისეთი ვარაუდით, რომ გამოყენებულ იქნეს იზმაილოვის და ლენინის ქუჩებს შორის მდებარე მიწის მთელი ნაკვეთი.

შენობებთან მოწყობილი იქნება საერთო საცხოვრებელი, აბანო, ამბულატორია, აფთიაქი, კლუბი, ბიბლიოთეკა, საერთო სასადილო, მექანიზაციაქმნილი სამზარეულოთი და სხვ.

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს მთელი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მომზადებას, რაც გამოიხატებოდა ა.-კ. რესპუბლიკებთან განუწყვეტლივ ომში.

მენშევიკების მთავრობა და მენშ. პარტია ქებდა საქართველოს ისტორიულ ძველ საზღვრებს, იგი სრულიად ყურადღებას არ აქცევდა მუშათა კლასის და გლეხობის ცუდ მდგომარეობას და სამართლიან გულისწყრომას. აჯანყებულ მუშებს და გლეხების სოფლებს მენშევიკური მთავრობა, სახალხო გვარდიის საშუალებით, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა.

ამ დროს საქართველოს რკინის გზა და მთელი ტრანსპორტი გაპარტახებული და განადგურებული იყო. მენშევიკური მთავრობა სრულიად არ ფიქრობდა აღმშენებლობაზე, ქარხნების ნედლი მასალით მომარაგებაზე და სხვ.

ეს ის დრო იყო, როდესაც თბ. მთავარი სახელოსნო განადგურების გზას ადგა. სახელოსნო თვეში ოთხ ან ხუთ ორთქლმავალს უშვებდა, ეს კი არაფერს არ წარმოადგენდა საქ. რკ. გზ. ტრანსპორტისათვის.

ათი წლის წინად იანვარ-თებერვალში ბორჩალოს მაზრის წელში გაწყვეტილი გლეხობა აჯანყდა. ამ დროს მენშევიკურ მთავრობამ ქარხნის მუშებს პური ნახევარ გირვანქამდე დაუყვანა, ისიც გამომცხვარი ცოცხის თესლის და ფეტვის ფქვილიდან, რისთვისაც მუშებმა პროტესტი განუცხადეს მთავრობას—ერთი დღის გაფიცვით. ამ დროს კი მენშევიკური მთავრობა ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით ანადგურებდა შულავერის მიდამოებს.

ქარხნის მუშები, ნახევრად მშიერები შიშის ქვეშ ხმა ამოუღებლივ მუშაობდნენ და თვეში ოთხ ან ხუთ ორთქლმავალს უშვებდნენ ქარხნიდან.

მოახლოვდა 24 თებერვალი. დადგა მენშევიკებისათვის საბედისწერო დღე. სასოწარკვეთილებაში მყოფმა ჟორდანიას მთავრობამ უკანასკნელად გაიზმორა და ბათომისაკენ გაიქცა.

24 თებერვალს ღამით მოშორდნენ მენშევიკები საქართველოს დედა ქალაქს, მეორე დღეს, ესე იგი 25 თებერვალს, თბილისის მთავარი სახელოსნოს მუშები ზეიმობდნენ გამარჯვებას.

მთელი რკ. გზის ხიდები დანგრეული და აფეთქებული იყო. ყველაფერი დამოკიდებული იყო ჩვენს სახელოსნოზე. საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი თავისი ყურადღების ცენტრი გადმოიტანა სახელოსნოზე. მალე სახელოსნო აღდგენილი იქნა. პირველ თვეებშივე. სახელოსნომ (შემდეგში დაერქვა ამხ. სტალინის სახელობის ქარხანა) ერთი ორთქლმავლით გადააჭარბა წარსულ თვეებს. გადიოდა დრო. ქარხანას ემატებოდა ახალ-ახალი დაზგები, ფართოვდებოდა საამქროები ყოველ წლებში.

ჩვენი ქარხანა 1930 წელში სოც. შეჯიბრებაში იყო გამოწვეული ქალ. როსტოვის რკ. გზის შემკეთებელი ქარხნის მუშების მიერ და ამავე დროს წარდგენილი იყო საკავშირო კონკურსზე. ქარხანაში მუშაობს 4.000 მუშა. ქარხნის შრომის გმირებმა გაიმარჯვეს სოც. შეჯიბრებაში და საკავშირო კონკურსშიც.

1930 წლის ყოველ თვეში ჩვენი ქარხანა უშვებდა 28 ორთქლმავალს, გასული წლის განსაკუთრებულ კვარტალში 12 პროც. გადააჭარბა გეგმას; ზედმეტად გამოუშვა ორი დიდი ორთქლმავალი და 70 რონოდა, რისთვისაც ქარხანა წარდგენილია დასაჯილდოებლად—ლენინის ორდენზე.

1931 წლის იანვრიდან ქარხანამ ყოველთვიურად უნდა გამოუშვას 32 ორთქლმავალი. ჩვენ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის სამრეწველო-საფინანსო გეგმები შესრულებული გვაქვს. პირველ მარტიდან ჩვენი ქარხანა გადავა 7 საათიან სამუშაო დღეზე. 1931 წლის საკონტროლო ციფრები დამუშავებულია, შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმები მიღებულია მუშების მიერ მრავალი საქმიანი წინადადებები მიღებულია. ყველა საამქროებში სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებების დადება დამთავრებულია; დამკვრელობაში ჩაბმულია მუშების უმრავლესობა; თვით ქარხანა გამოცხადებულია დამკვრელად.

ქარხანაში გამოდის ყოველ დეკადაში ნაბეჭდი გაზეთი „ჩვენი საყვირი". კედლის გაზეთები გამოდის ყველა საამქროებში სულ 15 ცალი. ამავე დროს ქარხანაში ჩამოყალიბებულია საკვანძო რადიო - რედაქცია, ქარხნის მუშები განუწყვეტლივ ებრძვიან ყოველგვარ გადახრებს. ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხის მნიშვნელობა დაყვანილია თვითეულ მუშამდე. მუშები მუდამ შეუბრალებლად უმასპინძლდებიან სირცოვ-ლომინაძეს და მათ მოაზრეებს, აგრეთვე ებრძვიან მავნებლობას და ბიუროკრატიზმს.

შემდეგშიაც ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ კომუნისტური პარტიის ლენინური ხელმძღვანელობით.

ნაზარბეგოვი.

ამხ. ვ. ბერძენიშვილის მკვლელობის გამო ვარციხეში

(საქ. კომპ. (ბ) ც. საკ. კომისიის 1931 წლის 21 თებერვლის დადგენილება)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომელმაც მოისმინა და განიხილა სპეციალური პარტკომისიის ინფორმაცია ვარციხის საბჭოთა მეურნეობის კომუჯრედის მდივნის ამხ. ვ. ბერძენიშვილის მკვლელობისა და პარტიის წევრების ამხ. ს. ჟუღელის, პ. ჩხაიძის და გ. ბერძენიშვილის საქციელის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამხ. ბერძენიშვილის მკვლელობა ანტისაბჭოთა - აზნაურული ელემენტის ჩიქოვანის ხელით მოხდა ქეიფის დროს, რომელიც ვარციხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ჩხაიძემ გამართა ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების ყოფ. სახალხო კომისრის ამხ. სიმონ ჟუღელის, კომპარტიის წევრის, ტყის გამგის ამხ. ბერძენიშვილის და უპარტიო ყოფ. აზნაურის ჩიქოვანის იქ ჩასვლის გამო. ლოთობას, დებოშსა და მკვლელობას საბჭოთა მეურნეობაში არ შეიძლება არ გამოეწვია ბაღდათის რაიონის პარტიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღშფოთება.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამ ამხანაგების საქციელი აშკარა ანტიპარტიულია და სახელს უტეხს პარტიას და ხელისუფლებას მუშებისა და მშრომელი მასების თვალში. ამიტომ პრეზიდიუმი ადგენს:

1. ამხ. ჟუღელი, კომპარტიის (ბ) წევრი 1907 წლიდან, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი—ხშირი ლოთობისათვის, სოციალურად უცხო ხალხის შემოკრებისათვის თავის გარშემო, საყოფაცხოვრებო გახრწნის ელემენტებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ იგი მშრომელი მასების თვალში სახელს უტეხდა პარტიას და ხელისუფლებას, ღირსია პარტიიდან გამორიცხვის, მაგრამ მიღებულ იქნას მხედველობაში მისი აქტიური მუშაობა წარსულში და გამოსწორების შესაძლებლობა და გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური, უკანასკნელი გაფრთხილებით, ორი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავების აკრძალვით, მისი გამოყვანით ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების (საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტი და ს.კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი) შემადგენლობიდან.

2. ჩხაიძე, საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრი 1921 წლიდან, მეფის არმიის ყოფ. ოფიცერი, მიტმასნილი ელემენტი, მლიქვნელი და ხშირი ქეიფის ორგანიზატორი საბჭოთა მეურნეობაში გამორიცხულ იქნას პარტიიდან.

ამასთანავე წინადადება მიეცეს ბაღდათის სარაიონო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს სასწრაფოდ გამოიკვლიოს საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო-ფინანსიური მდგომარეობა.

3. გაბო ბერძენიშვილს, კომპარტიის (ბ) წევრს 1919 წლიდან—ლოთობისათვის და იმისთვის, რომ იგი სახელს უტეხდა პარტიას და ხელისუფლებას, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური, თანამდებობიდან მოხსნით, ერთი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობის დაკავების აკრძალვით.

4. დაევალოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიას და საკონტროლო კომისიის ყველა ორგანოებს უფრო ენერგიულად და გადაჭრით აწარმოონ ბრძოლა ლოთობისა და დებოშის მოვლენებთან, პარტიის ცალკე წევრების სოციალურად უცხო ელემენტებთან დაკავშირების წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-თავად-აზნაურული ყოფა-ცხოვრების ტრადიციების ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. ამასთან ერთად, საკონტროლო კომისიის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დროულად იქნას მიღებული ზომები პარტიის ცალკე წევრების ასეთი საქციელის თავიდან ასაცილებლად.

5. მკვლელის ჩიქოვანის საქმე გადაეცეს საქ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კოლეგიას.

6. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარე დ. ფანცულაია.

ვარციხეში მომხდარ მკვლელობის შესახებ

მიმდინარე წლის 28 იანვარს ვარციხის სახელმწიფო მამულში (ბაღდადის რაიონში) ადგილი ქონდა უჯრედის მდივნის ვ. ბერძენიშვილის მკვლელობას. მკვლელობა ჩაიდინა გახრწნილ-გადაგვარებულმა გუჯა ჩიქოვანმა.

აღსანიშნავი ის არის, რომ ვარციხის მამულში გამართულ ქეიფში, მონაწილეობას იღებდა ამხ. სიმონ ჟუღელი და პარტიის სხვა წევრები.

ქეიფი და დებოში შემდეგ პირობებში მოხდა:

იანვარში, წყალტუბოში ისვენებდა ამხ. ს. ჟუღელი. ს. ჟუღელმა, ამხ. გაბო ბერძენიშვილთან ერთად გადასწყვიტა წასულიყვნენ ვარციხის საბჭოთა მამულში. მათი განზრახვის შესახებ წინასწარ გააფრთხილეს საბჭოთა მამულის გამგე ამხ. პ. ჩხაიძე. მართლაც, 28 იანვარს ვარციხის მამულს ესტუმრნენ ამხ. ს. ჟუღელი, გ. ბერძენიშვილი და გუჯა ჩიქოვანი (ქუთაისის მილიციის ინსპექტორი). მათ „დაათვალიერეს" მამული, მარნები, (ღვინის სარდაფები) და შემდეგ ავტო-მანქანით გაისეირნეს მდინარისკენ სათევზაოდ. საერთო აკრძალულია თევზებზე ნადირობა დინამიტით, მაგრამ მონადირეებისთვის ეს კანონი მხედველობაში მისაღები არ აღმოჩნდა. ისროლეს რამოდენიმე დინამიტი და ნადავლით, ორი გირვანქა თევზით, დაბრუნდენ მამულში.

გაიმართა ვახშამი. სუფრაზე ისხდენ ჟუღელი, გ. ბერძენიშვილი, ჩხაიძე, ჩიქოვანი, ვ. ბერძენიშვილი (უჯრ. მდივანი და სხვები. ღვინით შეზარხოშებულებმა გამართეს ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვა. ამ დროს ქვედა სართულში, მამულის მუშათა კლუბში გამართული იყო კრება, კრების შემდეგ კი დაიწყო პოლიტმეცადინეობა. მამულის მუშებში, როგორც უპარტიო, ისე პარტიის წევრებს შორის, აღშფოთებას იწვევდა ზემო სართულში ქეიფი, ცეკვა-სიმღერა, ისიც სახელმწიფო ხარჯზე. ღამის 12 საათზე „დაიშალა" კამპანია. ჩვეულებრივად, მეორე მაგიდა „ზალაში" გაიმართა. კვლავ შამპანიური, ჩაის ჭიქებით ღვინის სმა, სადღეგრძელოები და ვინ მოსთვლის კიდევ.

ღვინით გალეშილმა ჩიქოვანმა რამდენჯერმე იძრო რევოლვერი გასასროლად, მაგრამ ძლივს დააწყნარეს. ქეიფი, ცეკვა-სიმღერა, დებოში, გრძელდებოდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კორიდორში გავიდა ჩიქოვანი, მას თან გაჰყვა ამხ. ვ. ბერძენიშვილი. ამ დროს გაისმა რევოლვერის ხმა და სასიკვდილოთ თავში დაჭრილი ბერძენიშვილი სისხლში გორავდა—ჩიქოვანი კი რევოლვერს ატრიალებდა.

„კაცი მოკლეს"—მეხივით გავარდა ხმა მუშებში. ამ ცნობამ კიდევ უფრო აღაშფოთა მამულის მუშები. ამ დროს ისევ გაისმა რევოლვერის რამოდენიმე ხმა, ისროდა ჟუღელი. სიმონ ჟუღელის ასეთმა საქციელმა მეტი აღელვება გამოიწვია მამულის მუშებში, მუშა ბოლშევიკებში და კომკავშირელებში.

ჩიქოვანი მალე დატუსაღებულ იქნა. სასიკვდილოთ დაჭრილი ბერძენიშვილი გაგზავნეს ბაღდადის საავადმყოფოში, სადაც 10 საათის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ჟუღელი და გაბო ბერძენიშვილი, მეორე დღეს დილით თითქოს აქ არაფერიაო, გაემგზავრენ წყალტუბოში დასასვენებლად. რათა ორი-სამი დღის შემდეგ წასულიყვნენ სოხუმში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ვარციხის საბჭოთა მამულში გამართული ქეიფი მოწყობილი იყო თვით ს. ჟუღელისა და გ. ბერძენიშვილის ინიციატივით. მათ არავითარი სამსახურობრივი ინტერესები არ ქონდათ, დაეთვალიერებიათ ვარციხის მამული, მით უმეტეს, რომ ისინი შვებულებაში იყვნენ.

ჟუღელის არაკომუნისტური საქციელი იმაშიაც მდგომარეობს, რომ ბერძენიშვილის მკვლელობის შემდეგ ის არ გამოცხადებულა ბაღდადის რაიონულ კომიტეტში და ამის შესახებ არაფერი არ უთქვამს. მან გვერდი აუარა პარტიულ ორგანიზაციას და წყალტუბოში დასასვენებლად გაემგზავრა, ჟუღელმა ზედმეტად ჩათვალა პარტიულ ორგანიზაციისათვის მიეცა სწორი ცნობები უჯრედის მდივნის ვერაგულად მოკვლის შესახებ, რათა პარტიული კომიტეტი საქმის კურსში ყოფილიყო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩხაიძე ხშირად თვრება, სტეხს დებოშს და სხვა. ჩიქოვანი კი ძველი თავადაზნაურული ზნეჩვეულებით დაავადებული, რამდენჯერმე ყოფილა მიცემული პასუხისგებაში. ჟუღელის და სხვების არაკომუნისტური საქციელი იმაშიც მდგომარეობს, რომ ისინი დაუკავშირდენ ანტისაბჭოთა ელემენტებს ჩიქოვანს და მასთან მოაწყვეს ქეიფი და დებოში ვარციხის მამულში. გარდა ამისა ჟუღელმა იცოდა, რომ ის ქეიფობდა სახელმწიფოს ხარჯზე. ჟუღელისა და გაბო ბერძენიშვილის ინიციატივით ვარციხის მამულში მოწყობილი ქეიფი უჯრედის მდივნის მკვლელობით დამთავრდა. პასუხისმგებელი ამხანაგების ასეთმა საქციელმა უეჭველად შებღალა ხელისუფლების და პარტიის ავტორიტეტი იქ დამსწრე მუშებსა და გლეხებში.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ განიხილა ვარციხის საბჭოთა მამულში მომხდარი ამბები და მიიღო სათანადო დადგენილება; ეს დადგენილება იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

აღკვეთოთ ოპორტუნისტული პრაქტიკა

ფულადი სახსრების მობილიზაციაში

საქართველოს ფინსახკომის დადგენილება

მიუხედავად უმაღლესი ორგანოების დირექტივებისა თებერვლის ორი დეკადის ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილებზე ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმეში შესაფერი გარდატეხა არ მომხდარა; ის მუშაკები, რომლებიც ასე გულგრილად და სხვათა შორის ეკიდებიან ფინანსიურ გეგმის შესრულების საქმეს, აშკარად ხელს უწყობენ ამ გეგმის ჩაშლას.

ამასთან იმ მასალებისა და ცნობების მიხედვით, რომელიც ამჟამად ფინსახკომის განკარგულებაში იმყოფება, კოლეგიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონებში ფულადი რესურსების მობილიზაციასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას, რომლის აშკარა მაგალითს ფინსახკომის შემოწმების თანახმად წარმოადგენს ლიუქსემბურგის რაიონი, ამის გამო ფინსახკომის კოლეგია ადგენს: დაევალოს ფულადი რესურსების მობილიზაციის სექტორს დაუყოვნებლივ შეადგინოს სია იმ რაიონებისა და პირების, რომლებიც მიღებული ცნობებისა და მასალების მიხედვით არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმეში და ეწევიან აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას.

სია გადაეცეს სათანადო ორგანოებს დამნაშავეთა შესაფერ სასჯელის დასადებად. დაისვა საკითხი უმაღლეს ორგანოში ლიუქსემბურგის რაიონის ხელმძღვანელობის მოხსნის და პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ფინსახკომის მიერ მოხდენილ შემოწმების მასალა ხსენებული რაიონის შესახებ გამოქვეყნდეს პრესაში, როგორც კულაკური მეურნეობის აშკარა დაცვისა და მფარველობის ნიმუში.

წინადადება მიეცეს რაიფინგანის გამგეებს და რწმუნებულებს ახლავე მიიღონ გადამჭრელი ზომები ნამდვილი გარდატეხის მოსახდენად ფულადი რესურსების მობილიზაციის საქმეში.

შემდეგი დეკადების ცნობები ამიერიდან კვარტალის სრულ დამთავრებამდე უდაოთ უნდა გახდენ უტყუარი მაჩვენებლები იმისათვის, რომ პირველი კვარტალის გეგმა შესრულებული იქნას მთელი ასი პროცენტით

იმ რაიონებს, რომლებსაც ამ შემთხვევაში უნდათ ბოლშევიკური რაიონის სახელწოდების შენარჩუნება კვარტალური გეგმის მთელი ასი პროცენტით შესრულებისათვის უნდა გაშალონ გაძლიერებული ბოლშევიკური ტემპით მუშაობა.

პირველი მარტიდან მივლინებულ იქნან რაიონებში ფინსახკომის კოლეგიის ყველა წევრები, რომლებიც უნდა დარჩენ ადგილობრივ ერთ თვის განმავლობაში.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი ა. დოლიძე

26 თებერვალი, 1931 წელი.

როგორ მახინჯდება კლასობრივი ხაზი

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მოხდენილი სპეციალური გამოკვლევის მიხედვით ლიუქსემბურგის რაიონში ფულადი სახსრების მობილიზაციასთან დაკავშირებით მრავალ დეფექტებს და კლასობრივ ხაზის დამახინჯებებს აქვს ადგილი. ეს დეფექტები უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში:

ლიუქსემბურგის სოფლის საბჭოს ფარგლებში მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე არ იყო გამოაშკარავებული ყველა ის კულაკური მეურნეობა, რომელიც კანონის თანახმად უნდა დაბეგრილიყვნენ ინდივიდუალურად.

კარლ კრებერს აქვს სოფლის მეურნეობა, რომელიც მას წლიურად (ნორმატიული გაანგარიშებით) 324 მანეთ შემოსავალს აძლევს. გარდა ამისა მას აქვს ფურგუნების სახელოსნო 4 ცხენის ძალიან ელექტრომოტორით.

გოტლიბ კიმერლეს სოფლის მეურნეობის შემოსავალი 339 მანეთს უდრის. მასვე აქვს ფურგუნების სახელოსნო 8 ცხენის ძალიან ელექტრო-მოტორით და სხვ. ლიუქსემბურგის სოფლის საბჭოში 12 ასეთი მეურნეობა მოიპოება, რომლებსაც მექანიკური ძრავით მოწყობილი სახელოსნოები აქვთ და რომლებიც დაბეგრილი უნდა ყოფილიყვნენ ინდივიდუალური წესით.

ემანუილ ალმენდინგერს 1929-30 წლის აგრო-სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით აღებული ქონდა იჯარით სოფლის საბჭოსაგან რამოდენიმე ჰექტარი ხილის ბაღი.

ალბერტ და ევგენიო კელცე 1930 წლის იანვრამდე ფლობდნენ 3-თვლიან წისქვილს. 1930 წლის პირველ იანვრიდან ეს წისქვილი იჯარით აქვს აღებული ევგენიო კელცეს. სოფსაბჭოს ცნობით აღნიშნული წისქვილი წლიურად 7 ათას მანეთს შემოსავალს იძლევა. არც ერთი ეს მეურნეობა არ იყო დაბეგრილი ინდივიდუალური წესით. გარდა ამისა, მათი შემოსავალი განზრახ იყო აღრიცხული დიდი შემცირებით.

ევალდ ბეკს აქვს ორი ჰექტარი ვენახი. მისი ოჯახი შესდგება სამი სულისაგან. მათ შორის მხოლოდ ერთია შრომის უნარიანი მამაკაცი. მეურნეობა დაქირავებული შრომით სარგებლობს წელიწადში ასი დღე.

ასეთი მეურნეობები, რომლებსაც აშკარა კულაკური ნიშნები ახასიათებს, შეტანილი არ იყვნენ კულაკების სიაში. ლიუქსემბურგის სოფლის საბჭოში ინდივიდუალურად დაბეგრილი იყო 21 მეურნეობა, დანარჩენი კულაკური მეურნეობები გამომჟღავნებული არ იყვნენ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ გამოკვლევის წარმოების დროს აღმოაჩინა კიდევ 24 ახალი კულაკური მეურნეობა. გარდა ამისა 30 მეურნეობის საქმე დღემდი გამოურკვეველი დარჩა.

მაგალითად, კარლ კრემერს აქვს ურმის თვლების სახელოსნო, რომელიც მექანიკური ძრავით არის მოწყობილი. წარმოებაში მუშაობს ორი ძმა, რომლებიც წლის განმავლობაში ხარჯავენ 384 კაც-დღეს. სახელოსნოს მთელი შემოსავალი გაანგარიშებულია 1515 მანეთის რაოდენობით. ხე-ტყის მასალის შეძენაზე გაწეული ხარჯი 758 მანეთის რაოდენობით და ელექტროენერგიის ხარჯი 128 მანეთის რაოდენობით. ორივე ძმის ხელფასი კი ამოანგარიშებულია 629 მანეთის რაოდენობით, ესე იგი ერთი ხელოსნის—თვლის მკეთებლის დღიური ხელფასი ნავარაუდევია 1 მან. 35 კაპეიკის რაოდენობით მაშინ, როდესაც მსგავს წარმოებაში დაქირავებულ კაცს დღეში 6—7 მანეთს აძლევენ.

რობერტ ფერენგერის წარმოებაში ელექტრომოტორმა დახარჯა 324 კილოვატ-საათი ელექტროენერგია და მისი შემოსავალი ამ სახელოსნოდან აღრიცხული სრულიად არ არის.

მუშაკების მობილიზაცია!
რკინის გზის ტრანსპორტზე სამუშაოდ

რკინის გზის ტრანსპორტზე პარტიულ-მასიური მუშაობის განმტკიცების მიზნით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 21 თებერვლის დადგენილებით, მობილიზაციის წესით არიან გაწვეულნი შემდეგი ამხანაგები: **აზრუმელაშვილი, ვ. გეგეშიძე, ლუკა ორაგველიძე, კ. დემეტრაშვილი, პ. კოზაევი, გ. მონტინი, გ. ვარნაზოვი, პ. პოჟიდაევი, ივ. ხუბიეროვი, გ. ჩოპიძე, ვ. კოზლაშვილი, სევ. ბახტაძე, გ. ახვერდოვი, ტ. ლებანიძე, ბ. სიმონგულოვი, ვ. ფირცხალავა, ვ. მანჯგალაძე, კოკაშვილი, მ. ცხოვრებაშვილი, გულუაშვილი, მ. მამარდაშვილი, ჩისტიაკოვი, ნ. ნადარეიშვილი და პ. დანიელევიჩი.**

ხსენებული ამხანაგების ტრანსპორტზე სამუშაოდ გადასვლა უნდა დამთავრდეს 5 დღის განმავლობაში.

ავაგოთ საბჭოთა დირიჟაბლები
დამკვრელი მუშა-ქალის გამოწვევა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავის და წითელი არმიის არსებობის 13 წლისთავის აღსანიშნავად, საბჭოთა დირიჟაბლთმშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ სახალხო კავშირთგაბმულობის და თბილისის ტელეფონის ქსელის ქვემოდ-ჩამოთვლილ მუშაკებს: **ამხ. ბარძემაშვილს, ლეპორტიანს, კამკამიძეს, არხოშვილს, ბოგდანოვას, მანაგაძეს, კეკელიძეს, ნიკურაძეს, ფირცხალავას, ლომაიას, ცომაიას, გაბარაშვილს, დოლიძეს, ურანეიშვილს, მაქსიმოვს, მაღალოვას და თამარ-ქეშირს**

თბ. ტელეფონის ქსელის დამკვრელი მუშა-ქალი **ელენა ასკურავა.**

ავტო-მოტო გადარბენა
თბილისი—ბორჩალო—თბილისი

საქართველოს „ავტოგზა“-მ 25 თებერვალს, საბჭ. საქარ. არსებობის ათი წლისთავზე, მოაწყო ავტო-მოტო-გადარბენა ტფილისი-ბორჩალო-ტფილისი. ავტოგადარბენაში მონაწილეობა მიიღეს „ავტოგზასთან“ არსებულ მოტო-სექციის წევრებმა, სამხედრო სექციის და ახსექციის პრესის, მეტალისტთა და ტრანსპორტის მუშაკთა კლუბის და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. გადარბენის მონაწილენი 25 თებერვალს დილის 7 საათზე შეიკრიბენ მეტალისტთა და ტრანსპორტელთა კლუბის ეზოში და აქედან გაემართენ თავისუფლების მოედნისაკენ, საიდანაც უნდა დაწყებულიყო გადარბენა. დილის 10 ნახევარ საათზე ავტო-მოტო-გადარბენის კოლონა, რომელიც შესდგებოდა რამოდენიმე მოტოციკლეტისა და 3 ავტ-მანქანისაგან, დროშებით და საგიტაციო პლაკატებით მორთული გაემართა კომუნალური ქუჩით ბორჩალოსაკენ.

ტფილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით გადარბენის მონაწილეთ მუსიკით და დროშებით შეხვდა კუმისელ გლეხთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. გადარბენის კომანდორმა ამხ. **კერვალიძემ** გახსნა სახელდახელო მიტინგი. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გადარბენის პოლიტხელმა ამხ. ვარნაზოვმა. წითელი არმიის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. **მარკოვი.** გლეხები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ გადარბენის კოლონას და ვაშას და გაუმარჯოს ძახილით გააცილეს იგი.

დღის 1 საათზე კოლონა უკვე სანდარის სამანქანო სატრაქტორო სადგურის მუშებთან იყო. ტფილისის მოტორისტებმა დემონსტრაციის შემდეგ გამართულ მიტინგზე შეფობა მიიღეს სადგურზე. ამავე დროს სადგურის მუშებისათვის გახსნილ იქნა ქოხსამკითხველო, რომელიც მოაწყვეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირმა და პროფკავშირთა საბჭომ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშათა საერთო კრებაზე ვრცელი სიტყვებით გამოვიდნენ შეფების წარმომადგენლები და აღუთქვეს მუშებს, რომ ისინი ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მათ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საწ.- გეგმის შესრულებაში და მუშათა ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესებაში. კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე საშ. სატრაქტორო სადგურის მუშები, რომლებმაც ფიცი დასდვეს, რომ საშემოდგომო-საგაზაფხულო თესვის საერთო გეგმას შეასრულებენ გადაჭარბებით და ხელს შეუწყობენ რაიონის კოლექტივიზაციას, რომელიც 50 პროც. უნდა ავიდეს 1931 წლის განმავლობაში. ავტოგადარბენის მონაწილეებმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშებს საჩუქრად მიუტანეს სასწავლო ნივთები, ლოზუნგები, პლაკატები და სხვ.

კოლონა სანდარიდან დაბრუნდა საღამოს 5 საათზე. გადარბენის ეფექტი დიდი იყო და იგი შეიძლებოდა კიდევ უკეთესიც ყოფილიყო, რომ ცუდ ამინდს ხელი არ შეეშალა ამ საუკეთესო საგიტაციო საშუალებისათვის.

მონაწილე.

თბილისში საჭიროა საავტობუსო მოძრაობის შემოღება
40 ავტობუსი და 10 ტაქსი

თბილისის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ დაამუშავა საკითხი ქალაქში საავტობუსო მოძრაობის შემოღების შესახებ.

კომუნალურმა განყოფილებამ აღნიშნა, რომ ქალაქში მოძრაობა, გასულ წლებთან შედარებით ერთი-ორად გაიზარდა და ტრამვაი ვეღარ აკმაყოფილებს მთელ მოთხოვნილებას. მოძრაობის ზრდას ხელს უწყობს მთელ რიგ ახალ საწარმოთა გახსნა და ფედერატიული მნიშვნელობის დაწესებულებათა მუშაობის გაცხოველება.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, თბილისის აღმასკომმა საჭიროდ აღიარა, ქალაქის კომუნალურ განყოფილებასთან შეიქმნეს ქალაქში სამოძრაო ავტო-ტრანსპორტი. ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საჭიროებისათვის გამოწერილი ავტო-მანქანებიდან ქალაქ თბილისისათვის გამოიყოს 40 ავტომობილი და 10 ტაქსომოტორი.

ავტობუსების სამოძრაოთ შემუშავებული იქნება მტკიცე მარშრუტები, ხოლო ტაქსებისათვის შემოღებული იქნება სადგომი კუთხეები ქალაქის სხვადასხვა რაიონებში.

დღეს, 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში მოწვეულია

ს.პ.კ.ს. საერთო საქალაქო პლენუმის საზეიმო სხდომა

ც. გ. პროფაქტივსა და მუშა დამკვრელებთან ერთად

დღის წესრიგში:

ამხ. **მაჩაიძის** მოხსენება: საქართველოს პროფკავშირების ათი წლის თავის შესახებ.

ს პ.კ.ს. პრეზიდიუმი.

ქრონიკა
მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 27 და 28 თებერვალს მლაშე ტბის მიდამოებში იწარმოებს საარტილერიო სროლა.

თხილამურებით გადმოსვლა კავკასიონის ქედზე

ამ დღეებში კავკასიონის ქედზე სვანეთში თხილამურებით გადმოვიდნენ საბჭოთა რუსეთის მეთხილამურე ტურისტები.

კავკასიონის ქედზე ზამთარში თხილამურებით გადმოსვლა საბჭოთა მეთხილამურე ტურისტების უდიდესი მიღწევაა.

1908 წელში დაბადებულ ცვალებადი შემადგენლობის საყურადღებოდ

ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიის ცალკე მესანგრე ასეული აცხადებს, რომ 1908 წელში დაბადებული ცვალებადი შემადგენლობა, რომელიც მიმაგრებულია ხსენებულ დივიზიის ასეულზე და საინჟინერო პარკზე, ვალდებულია 1 მარტს დილის 7 საათზე გამოცხადდეს ასეულში (ძნელაძის ქუჩა № 21) ერთთვიან შეკრების ჩასატარებლად.

სხვადასხვა

— **„ბავშის მეგობარ“-თა საზ.** 28 თებერვალს დღის 12 საათზე რუსულ ახალგაზრდა მაყურებელთა თეატრის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 103) მართავს უფასო კინო-სეანსებს ბავშვებისათვის.

— **სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში,** ხვალ, 28 თებერვალს საღამოს 7,5 საათზე შესდგება სამეცნიერო წრის „ლენინიზმი მედიცინაში“ პლენალური სხდომა, რომელზედაც პროფ. შარია გააკეთებს მოხსენებას დიალექტიური მატერიალიზმის ძირითადი საფუძვლების შესახებ. სხდომაზე მოისმენენ ბიუროს ანგარიშს და აირჩევენ ბიუროს ახალ შემადგენლობას.

შემთხვევები
ბავშის მოკვლა

— 15 თებერვალს, დღის 12 საათზე, დაიკარგა 6 წლის ბავში არამ არუტკოვი (მცხ. კიზლიარის ქუჩა № 11). იმავე დღეს საღამოს ვერის სასაფლაოსთან აგურის ქარხნის ნანგრევებთან აღმოჩნდა ამ ბავშის გვამი, რომელსაც თავი ჰქონდა გატეხილი აგურით. სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ბოროტმოქმედები—ია-ალი-ოღლი, კასუმ სამად-ოღლი და ნარიმან მუსა-ოღლი. ყველა მცირე წლოვანებია. ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულში. მათი საქმე გადაეცემა ბავშთა მცირე წლოვანთა კომისიას.

ოფიციალური განყოფილება
ინსტრუქცია

ცხოვრებაში გასატარებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა „ამნისტიის შესახებ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათის წლის თავის აღსანიშნავად“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის „ამნისტიის შესახებ“ გამოცემული დადგენილების შესასრულებლად წინადადება გეძლევათ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. იქ, სადაც არის შრომა-გასწორების დაწესებულება (და საპატიმრო სახლები), აგრეთვე იძულებითი მუშაობის ბიურო, ამნისტიის 1 და მე-2 კარის შესაფარდებლად მოეწყოს კომისიები, რომლებშიც შევლენ: ქ. თბილისში—უზენაეს სასამართლოს წევრი, ამ სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნით, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე გამოკვლევის ორგანოთა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ზედამხედველობის დარგში და სახელმწიფო პოლიტსამართველოს წარმომადგენელი, საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამართველოს თავმჯდომარის დანიშვნით, ქ. ქუთაისში—სახალხო მოსამართლე, ქუთაისის გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნით, დასავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწე, ამ პროკურორის დანიშვნით, და სახელმწიფო პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი, ხოლო სხვა ადგილებში კი—ადგილობრივი სახალხო მოსამართლე, ადგილობრივი პროკურორი ან გამომძიებელი (თუ ამ ადგილას პროკურორი არ იქნება) და სახელმწ. პოლიტსამართველოს წარმომადგენელი.

2. საპატიმრო ადგილების და იძულებითი მუშაობის ბიუროების ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ შეადგინოს იმ პირთა სია, რომელთაც სასამართლოების და სახელმწიფო პოლიტსამართველოს ორგანოთა განაჩენით სოციალური დაცვის ღონისძიებად გადაწყვეტილი აქვთ: ა) თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ექვსი თვისა და არა უმეტეს ერთი წლისა, ბ) თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ხნით და გ) იძულებითი მუშაობა სხვადასხვა ვადით.

3. სიაში უნდა აღინიშნოს: ა) მსჯავრდადებულის სახელი, მამის სახელი და გვარი, ბ) მისი სოციალ. მდგომარეობა და ხელობა მსჯავრის დადებამდე, გ) რა დანაშაულისათვის დაედო მსჯავრი, რომელი სასამართლოს მიერ და როდის (ბრალდების შინაარსი მოკლედ, სისხ. სამ. კოდ. მუხლი) და რა სოც. დაცვის ღონისძიება გადაეწყვიტა (ყველა შედეგით), დ) რა დროიდან იხდის სოც. დაცვის ღონისძიებას, ე) როდის უთავდება სოც. დაცვის ღონისძიების მოხდის ვადა და ვ) ცნობები წინანდელი სამართალში მყოფელობის შესახებ.

4. სიები წარედგინება ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიებს, რომლებიც გამოიტანენ დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ, ამასთან ყველა ის, ვისაც შეეფარდება ამნისტიის მე-2 კარის 1 და 2 პუნქტი, უნდა დაუყოვნებლივ იქნას განთავისუფლებული.

5. ქ. თბილისში მოწყობილი კომისია არის ამავე დროს ცენტრალური კომისია, რომელშიც წარიმართება ყველა საჩივარი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ კომისიებს ამნისტია სრულიად ან სწორად არ შეუფარდებიათ.

6. ცენტრალური კომისიის, აგრეთვე ადგილობრივი კომისიების დადგენილებანი შეიძლება, ამ კომისიების მუშაობის დამთავრებისას, განსაჩივრებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

7. სოციალური დაცვის ყველა სხვა ღონისძიება (სისხ. სამ. კოდ. 20 მუხ. „თ“, „ი“, „კ“, „მ“ და „ნ“ პუნქ.), დადებული როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრატიული და დისციპლინარული წესით, იმათ გარდა, რაც უკვე სისრულეში მოყვანილია, აგრეთვე სამართალში მყოფელობა და პირობითი მსჯავრი მოიხსნება მექანიკურად, ე. ი. აღნიშნული ღონისძიებანი არ მოიყვანება სისრულეში, ხოლო იმ პირთ, ვისაც სასამართლოსი ან სახელმწ. პოლიტსამართველოს ორგანოს განაჩენით ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ღონისძიება გადაეწყვიტა, შეუძლიათ მოთხოვონ სასამართლოს ან პოლიტსამმართველოს ორგანოს ცნობა იმის შესახებ, რომ მათ ამნისტია აქვთ შეფარდებული ან მოხსნილი აქვთ სასამართლოში მყოფელობა.

8. ადმინისტრატიული ან დისციპლინარული წესით დადებული გადასახდელი, თუ იგი ჯერ სისრულეში მოყვანილი არ არის, მოიხსნება იმ ორგანოს ან პირის დადგენილებით, რომლის მიერაც ეს გადასახდელი იყო დადებული ან რომელსაც უფლება ჰქონდა დაედო იგი.

9. ამნისტიის მე-2 და მე-3 კარში მოხსენებულ მშრომელად იგულისხმება ყოველი მოქალაქე, რომელსაც აქვს აქტიური და პასიური პოლიტიკური უფლებანი.

10. იმ პირთ, რომელთა უფლებანი ჯერ წინასწარ გამოკვლევის სტადიაშია, ამნისტია შეეფარდებათ (საქმეების მოსპობა მე-4 კარის მიხედვით) სათანადო გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, სისხ. სამ. საპრ. კოდექსის წესისამებრ.

11. ამნისტიის შეფარდება ისეთ საქმეებზე (მე-2 და 3 კარი), რომლებიც სასამართლო ან სახელმწ. პოლიტსამმართველოს ორგანოთა წარმოებაშია, აგრეთვე ისეთ საქმეებზედაც, რომლებიც უკვე განხილულია, მაგრამ მათზე გამოტანილი განაჩენი ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა, ან თუმცა შესულა, მაგრამ შესასრულებლად არ მიქცეულა,—მოხდება იმ სასამართლო ან პოლიტსამართველოს ორგანოს დადგენილებით, რომლის წარმოებაშიც ხსენებული საქმეა, სახელდობრ—უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის, სახალხო სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის ან სახელმწ. პოლიტსამართველოს კოლეგიის დადგენილებით.

12. ამნისტიის შეფარდება ჯერაც განუხილველ საქმეზე (1 და 3 კარი) მოხდება ამ საქმეების არსებითად განხილვის შემდეგ განაჩენების გამოტანის დროსვე სათანადო სასამართლო და პოლიტსამართველოს ორგანოს მიერ.

13. საჩივარი იმის შესახებ, რომ ამა ინსტრუქციის 11 და 12 მუხლში აღნიშნულ საქმეებს ამნისტია სრულიად ან სწორად არ შეეფარდებია, მიეცემა და გადაწყდება, სისხ. სამ. საპრ. კოდექსის წესისამებრ.

14. ამნისტიის შეფარდება უნდა დამთავრებულ იქნეს 20 დღის ვადაზე დღიდან ამნისტიის შესახებ დადგენილების გამოქვეყნებისა, ხოლო ამნისტიის თანახმად განსათავისუფლებულ პირთა განთავისუფლება კი უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს სამი დღისა.

15. ამნისტიაშეფარდებულ პირთა სიები, შეფარდების ფარგლების აღნიშვნით, სათანადო კომისიის, სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების, პროკურატურის და სახელმწიფო პოლიტსამართველოს ორგანოების მიერ წარედგინება საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს ზედამხედველობის წესით გადასასინჯავად, ხოლო შემდეგ ერთი საერთო სიის წარსადგენად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში.

16. ამნისტიის შეფარდება სავალდებულოა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის პროკურორი გ. სტურუა

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თ. დოლიძე

საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე ლ. ბერია.

შეცდომის გასწორება
(საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობისაგან)

გაზეთ „კომუნისტი“-ს 47 №-ში (1931 წ. თებერვლის 25) დაბეჭდილ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში **„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად მოსახლეობისათვის გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ“**, კარის მე-2 მუხლი, დაბეჭდილის ნაცვლად, უნდა იყოს შემდეგი რედაქციით:

„2. უფლება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობათ და ღარიბ ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელთაც მიიღეს სათესლე სესხი 1929 და 1930 წლებში და შესაძლებლობა არა ჰქონდათ დაებრუნებინათ ეს სესხი ნატურად—1931 წ. თებერვლის 25-მდე, დაფარონ ამ სესხის დავალიანება ფულად“.

უცხოელთა დელეგაცია ახალ-სენაკში

ახალსენაკი, 25 თებერვალი. (საკ. კორ.). ჩამოვიდა მუშათა დელეგაცია ამხ. სირმაის მეთაურობით ამერიკიდან, პორტუგალიიდან და საბერძნეთიდან. ამერიკიდან ჩამოვიდა ერთი ინჟინერი, ერთი ჟურნალისტი და ერთი მუშა. პორტუგალიიდან ერთი მუშა, საბერძნეთიდან ერთი მუშა.

დელეგაციამ დაათვალიერა რაიონის მიღწევანი: რენტგენის კაბინეტი, სამალარიო სადგური, საავადმყოფო, ტექნიკუმები, საბავშო სახლები და ბაღები, სოფლად—ძველი სენაკის საბჭოთა მამული, ხონის აგურ-კრამიტის ქარხანა, საბჭოთა მამული და ნოქალაქევის ისტორიული გათხრები.

საღამოს მუშათა კლუბში გაიმართა ფართე მიტინგი; მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პროფკავშირის, ინტელიგენციის და ახალგაზრდობის წარმომადგენლები. დელეგაციიდან ილაპარაკეს ინჟინერმა, ჟურნალისტმა და 2 მუშამ. მათ აღნიშნეს, რომ ისინი ეხლა დარწმუნდნენ, რომ ის, რასაც ავრცელებენ ბურჟუაზიული და მენშევიკური გაზეთები—ჭორი და სიცრუეა და საბჭოთა რესპუბლიკაში სწარმოებს ნამდვილი სოციალისტური აღმშენებლობა.

დელეგაცია საღამოს გაემგზავრა ფოთში.

ბ. უჩანეიშვილი.

პარტიული კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცკას კადრების განყოფილებაში ამხ. ჯალიაშვილთან (ოთახი № 51) დღეს, შუადღის 12 საათზე, შესდგება თათბირი ჩაის საბჭოთა მეურნეობების შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ ჩაის საბჭოთა მეურნეობებზე გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში მიმაგრებული ქვემოდასახელებული პასუხისმგებელი მუშაკები: ქობულეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაზე ამხ. ტრაპაიძე, ლაითურის — ამხ. პოკუმეევა (ცაკი), ნასაკირალის — გაჩეჩილაძე (განათლების კომისარიატი), დიდი ჯუმათის—გვილავა ევსტაფი (პროკურატურა), ნორიაზენის—თავდგირიძე (თბილისის წყალსადენი) კორცხელის —გრ. ეშუქიძე (წითელი ჯვარი), ანაგვარის—მელიმონაძე (მემინდვრეობის კავშირი), ხონის— გაგუა (მეხილეობა-მევენახეობის კავშირი), ჩაქვის—ვაშაკიძე (პოლიტკატორღელთა საზოგადოება).

საქ. კ.პ. (ბ) ცკას კულტპროპის და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე ამხ. შაბარაძესთან (ოთახი № 19). სიმონ ხუნდაძე (პედ. ინსტიტუტი), გ. კვეცირიძე, შ. ოდილავაძე, ს. პაპავა, ბლაგიძე და გ. სოსელია (საფ.-კოოპ. ინსტიტუტი), ი. ძამაიძე, შ. გეგეჩავა, პ. აფხაიძე, ი. ხუციშვილი, გ. ხაჭაპურიძე, ა. ბრეგვაძე, ბუდილევა, რეხვიაშვილი, შ. დუდუჩავა, გ. როხაძე, კაპანაძე, ვართანოვი, კ. ბარიჩიანი, მალიანი, ს. ბახტაძე, ი. იოსიძე და ფარულავა.

სახელმწ. ოპერა

პარასკევს, 27 თებერვალს
ფატმა მუხტაროვას მონაწ.
აბონემენტის გარეშე
კარმენი
13 თებერვლისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 27 თებერვ.

შაბათს, 28 თებერვალს
მე 12 აბონ. მე 4 წარმოდგ.
ს.ი. მიგაის მონაწილეობ.
დემონი
17 თებერვ. აღებული ბილეთები ძალაშია 28 თებ.

კვირას, 1 მარტს
ფატმა მუხტაროვას მონაწ.
აბონემენტის გარეშე
კარმენი
16 თებერვ. აღებული ბილეთები ძალაშია 1 მარტ.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ზუსტად 8 საათზე. ნ. 4 3

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს. II 1—30 ს. III 3 ს.

სპარტაკი საღამოს სეანსები
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30. III—9. IV—10-30.

საზამთრო დარბაზი
სეან. იწყება 6 ს. II—7-30. III—9. IV—10-30.

საქართველოს სახკინმრეწვის
ახალი ფილმი
მირაჟი
რეჟისორი შ. ხუსკივაძე
ოპერატორი შ. ალდგომელაშვილი
კინო აპოლოში პროგრამის დამატებით „სამრეწვ. პარტიის“ პროცესი

მხატვრული სურათი **არსენ ჯორჯიაშვილი**
პროგრამის დამატებით—ადიგეია

რ. ლიუქს.
სახ. კინო
([illegible])
1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.

მხატვრული სურათი
კატორღა
რეჟისორი რაიზმანი

კინო
კალასი
1-ლი სეანსის დასაწ. 7—30

გმირული ფილმი
მიცვალებულთა შეთქმულება
რეჟისორი ტიმოშენკო

სახელმწ. ცირკი

27 და 28 თებერვალს **საიუბილეო ზეიმი** 27 და 28 თებერვალს
საქართველოში საბჭ. ხელისუფლ. დამყარების 10 წ. თავის გამო
გრანდიოზული დადგმა
I განყ. ორატორია—პანტომიმა პოლეტ მწერლის გ. ბუხნიკაშვილის სცენარის მიხედვით. დადგმა რუსთაველის თეატრის რეჟისორი ა—შ ახხაბაძე.
მონაწილეობენ ქართული დრამის და სახელმწიფო ცირკის მსახიობები.
ზურნა და კავკასიური ცეკვა-თამაში.
II და III განყ. აგრეთვე ცირკის მთელი პროგრამა და [illegible].
სალარო ღიაა 11 ნახ საათიდან. დღეისთვის და 26 თებერვლისთვის ბილეთები სულ გაყიდულია. დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათზე. 6. 473

სრ. საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტი

აცხადებს დამზღვეულთა საყურადღებოთ, რომ დახმარებათა გამცემი პუნქტი ვოლოდარის (ყოფ. მადათოვის) ქუჩაზე № 3, ა.წ. 20 თებერვლიდან

დაკეტილია

დახმარებათა მისაღებათ დაზღვეულებმა უნდა მიმართონ სრ. საქ. სოცდაზღვევის კომიტეტში, ლუნაჩარსკის (ყოფილი ევანგულოვ ს) ქ № 2, ოთახი № 3.

სრ. საქ სოცდაზღვევის კომიტეტი. ნ. 467

28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მეტალისტებისა და ტრანსპორტელებ ს კლუბში

(მუშ. ცენტრ კლუბი, პლეხანოვის პროსპ ქტი)

ხსნება საშეფო ორგანიზაციების პირველი სრულიად

საქართველოს ყრილობა

ყრილობის დღის წესრიგი:

1. მოხსენება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ (მიწათმოქმედების კომისარიატი)
2. პროფკავშირების მონაწილეობა სოფლად მუშაობაში (მაჩაიძე)
3. საშეფო მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შესახებ (მოსკოვ. საშეფო საბჭო)
4. თბილისის საშეფო საბჭოს საანგარიშო მოხ. (ჩილ.ჩავა)
5. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება (დეკანოსიძე)
6. საშეფო ორგანიზაციების წესდების დამტკიცება (ქავთარელიძე)
7. ცენტრალური საშეფო საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა.

ნ 453.

საქართველოს ს.ს.რ. სარეწაო კოოპერაციის კავშირი

სარეწაო კავშირი

1931 წლის პირველი იანვრისათვის აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად

აერთიანებს

530 კოოპერატიულ ორგანიზაციას 26.309 წევრით

თავის სისტემის არტელებს და ამხანაგობებს **ამარაგებს ნედლი მასალით, ნახევარ-ფაბრიკატებით და ასაღებს მათ პროდუქციას.**

სარეწაო კავშირი.

ქ. თბილისი. ნ. 460

მალე || კინო „პალასი“ || მალე

მეცნიერულ მხატვრული ფილმი

პორი | PORI | პორი

რეჟისორი დუპვენი, ოპერატორი ვერნერ ბოპე

სურათში გადაღებულია ნადირობა ლომებზე, ვეფხვებზე, სპილოებზე და სხვ.

ს.ს.რ.კ. ს.მ.უ.ს.

ამიერ-კავკასიის გეოლოგიურ გამოკვლევათა სამმართველო

თბილისი, ლენინის ქ 11, ტელ. 25—55 საკონტოკორენტო ანგ. სახელმწიფო ბანკში № 31/83103.

აწარმოებს გეოლოგიურ-საგამოკვლევო სამუშაოებს იკვლევს მარაგს და ახდენს სასარგებლო მადნეულობის სანედლეულო რესურსების გამოაშკარავებას ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში

ასრულებს გეოლოგიურ საგამოკვლევო და საძიებელ სამუშაოებს სამეურნეო ორგანოების დავალებით.

ადგენს ხარჯთაღრიცხვებს, დასკვნებს და სხვ.

ბაზა საბჭოთა სომხეთში—ერევანი; ნალბანდიანის ქ. № 2.

წარმომადგენლობა საბჭოთა აზერბეიჯანში—ბაქო, აღმოსავლეთის ხალხთა ქ. № 69.

ნ. 4-8

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 393 მუხ. თანახმად ფურცლისა გაერთიანებულ სასამ. აღ ასრ.

ვ. ჩიიშვილი

ამით აცხადებს, რომ 1931 წ. 2 მარტს დღის 2 საათზე დესიმონოვის ქუჩაზე № 9 სახლში

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის მოქ. ილია გაბინის ქონებას [illegible]. ქონება შეფასებულია 1500 მან. და გაიყიდება გრიბიცკის პროცენტის დასაკმაყოფილებლად, თანახმად სახალხო სასამართლოსაგან 1931 წ. 24 თებ. № 1 58-ით გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა.

მასწავლებელი აძლევს
მოწაფეებს
ყველა საგნებში შვიდწლედების მოწაფეებისათვის, რაბფაკებისა კურსებზე, შვიდწლედებში, ტექნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად. ასწორებს აგრეთვე სუსტებსაც. მისამართი: ოქტ. ვილ ს მე-2 შესახვევი № 20 (ყოფ. პეტროვის ქ. 2 შეს. ბელინსკის ქუჩიდან). დილით 12—2 და სალ 5-6 საათამდე. 4 1376

ვასწავლი
მათემატიკას
ალგებრა, გეომეტრია ტრიგონომეტრია, არითმეტიკას
და ვამზადებ მოწაფეებს
უმაღლეს სასწავლებლებისათვის, სამხედრო აკადემიაში, ყველა [illegible] დარგზე პროფ. № 64 მუშფაკისათვის, მუშ. უნივერ. საბუღალტ. კურსებზე. და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტებს მეცადინეობა. მისამართი: პლეხანოვის № 25 და [illegible] ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1—7 საათამდე. 3—2 1350

თანახმად საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა, თბ. აღმასკომის ზაგსის ბიურო აცხადებს, რომ თბილის. მცხ. მოქ. ანასტას ანტონის ძე ივანოვს შემოტანილი აქვს განცხადება თავის სახელის [illegible] ახალ სახელზე

ანატოლზე

გამოცვლის შესახებ. 1384

დამწუხრებული ბიძა ვარლამი და ბიცოლა ხინობა, ბიძაშვილები: მარო, ბენია, ნინა და ბაბალე ჩიხლაძეები სიძეები: მიშა [illegible] და ბესიკ კვინიხიძე იუწყებიან [illegible]

თამარ რაფიელის ასულ ჩიხლაძის

გარდაცვალებას სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 6 საათზე. გამოსვენება შაბათს, 28 თებერვალს, 5 საათზე, ვარდისუბნის ქ. № 32 დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 1435

დამწუხრებული: [illegible] ლოსაბერიძე, [illegible]

თამარ რაფიელის ასული ჩიხლაძე

დაკრძალვა შაბათს, 28 თებერვალს. ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 5 საათზე, ვარდისუბნის ქუჩა № 32. 1435

[illegible]

თამარ რაფიელის ასულ ჩიხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1435

დამწუხრებული ახლო მეზობლები: მცხ. მალაკნის ქ. № 27-ში დავსტირით ძვირფას და დაუვიწყარ [illegible]

ნატალია გიორგის ასულ თელია-კაკულიას

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, მალაკნის ქ. № 27, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 417

ღრმად დამწუხრებული ქალიშვილები: [illegible] და ეფროსინე, სიძე ალექსანდრე, შვილიშვილები: [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 24 თებერვალს, უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნატალია გიორგის ასული თელია-კაკულიასი

გამოსვენება დღეს, 27 თებერვალს, ბინიდან მალაკნის ქ. № 27. 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1416

ღრმად დამწუხრებული ძმები: აჩილი და ვლადიმერი მჭედლიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 24 თებერვალს. უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი აღმზრდელი

ნატალია გიორგის ასული თელია-კაკულიასი

გამოსვენება დღეს, ბინიდან მალაკნის ქ. № 27, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 1416

გულმოკლულნი ბებია და ბაბუა [illegible], ბიძები: გიორგი, ვლადიმერ, ძიშა, ბიცოლა იულია კოპალაძეები და ანეტა [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

პატარა ლენიკოს

უდროოდ დაკარგვას 1418

მწუხარებაში მყოფნი შვილები: ვანო, ილო, ნინო, თამარი და რძალი [illegible] იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი დედა

ბაბალე ხორნაული

დაკრძალვა [illegible] მარტს. 1420

სადგურ ბორჯომის და ბაკურიანის ხაზის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეები გამოთქვამენ ულრმეს მწუხარებას დაუვიწყარ

ალექსანდრე გიორგის-ძე ბუხნიკაშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1444

უახლოესი ამხანაგები: გ. დეკანოზიანი, გ. კალმახელიძე, ვ. ლომსაძე, ა. მაისურაძე, ს. ცხოვრებაშვილი, ა. ცხოვრებაშვილი, შ. მაისურაძე, გ. აბრამიშვილი, [illegible], გ. პაპასაშვილი, დ. ლოლაძე, ლ. გოგოლაძე, [illegible], მ. კაპანაძე [illegible] და გ. ბუხნიკაშვილი აუწყებენ ამხანაგებს, რომ 23 თებერვალს ქ. თბილისში მოულოდნელად გარდაიცვალა მებრძოლი ბოლშევიკი ამხ.

ალექსანდრე გიორგის-ძე ბუხნიკაშვილი

დაკრძალვა მოხდა ქალ. სტალინისში 26 თებერვალს. ნ. 467

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა აცხადებს, რომ 23 თებერვალს, ქ. თბილისში გარდაიცვალა ძველი მებრძოლი—ბოლშევიკი ამხ

ალექსანდრე გიორგის-ძე ბუხნიკაშვილი

დაკრძალვა მოხდა ქალ. სტალინისში, 26 თებერვალს.

საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორატი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ინსტიტუტის პედ. პედოლოგიური ფაკულტეტის დოცენტის

გრიგოლ ხმალაძის

გარდაცვალებას ნ 474

ნადია ბელულავა აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის

გრიშა ხმალაძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. მახარაძის ქუჩა № 13, დაკრძალვა შაბათს, 28 თებერვალს, 4 ნახ საათზე. 1431

სვიმონ და ქსენია სპირიდონის [illegible] აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 24 თებერვალს. საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა მათი დისწული

გრიშა ხმალაძე

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. გამოსვენება შაბათს. 28 თებერვალს, 4 ნახ. საათზე, ბინიდან ფ. მახარაძის (პასკევიჩის) ქუჩა. № 13. 2 1 1436

გულდამწვარი ბიძები: ნესტორ, ვასო და კოტე, ბიცოლა კატუშა შვილებით: იაკლი და რევი თევდორაძეები და სტირის პატარა

ანიკო (ანანო) თევდორაძის

უდროოთ გარდაცვალებას. 1433

ღრმად დამწუხრებული შალვა. ევგენია და ნინა თევდორაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავად ყოფნის შემდეგ 24 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ძმის შვილი

პატარა ანიკო თევდორაძის ასული

1437

დამწუხრებული მეუღლე შურა, შვილი შოთა და ანიჩკა, ძმა სერგო, რძალი კლარა და აფო, დისშვილი ქეთო მამულაძეები, სიდედრი ტასო, ცოლისძმები: ისიდორე, სერაპიონ, ილარიონ თოდრიები იუწყებიან

სერაპიონ ანტონის-ძე მამალაძის

გარდაცვალებას გამოსვენება დღეს. 4 საათზე 1-ლი განაპირას ქუჩა, [illegible] კიკოლაშვილის სახლი. 421

დამწუხრებულნი მშობლები: ნინო ყაზახაშვილი და ალეკო [illegible] აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 24 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ [illegible] საყვარელი და ძვირფასი პატარა

ანდერაზი

გამოსვენება დღეს, 3 საათზე 1-ლ საავადმყოფოდან, დასაფლავება ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა.

[illegible] პაპა და ბებია სიმონ და მარიამ ყაზახაშვილები, დეიდები: [illegible], თამარი, [illegible] ქაჩაშვილებით [illegible] ძვირფასს და დაუვიწყარ პატარა

ანდერაზს

გამოსვენება დღეს, 3 საათზე 1-ლ საავადმყოფოდან დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. რკინის გზის გადაღმა 1449

დამწუხრებული დედა ეთო გიგინეიშვილი. მამა თეოფანე, ძმა სოლომონი, ბებია დესპინე, ბაბუა სოლომონ თევდორაძეები შვილებით, ბებია ოლღა, ბაბუა გიორგი გიგინეიშვილები შვილებით იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

პატარა ანიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე, [illegible] № 2ა (ავლაბარი). 1419

ა. კ. საინჟინერო-მელიორაციის ინსტიტუტის პირველი კურსის გიდრო-ტექნიკური დარგის სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფას ამხანაგის თევდორაძის შვილის

პატარა ანიკოს

უდროოდ გარდაცვალების გამო 1427

დამწუხრებული მშობლები: მარო და იასონ სირაძეები, და—თინიკო, ძმა ოთარი, დიდედები: სონია და მაშო, ბიცოლები: ოლა და მარო, ბიძაშვილები. გოგი და [illegible], დეიდა თამარი, ბიძა საშა [illegible] იუწყებიან მათთვის ძვირფასის

რუსიკო სირაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 4 საათზე. კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება რისაკოვის ქ. № 6. 1430

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მარიამ და იასონი, ძმა ოთარი, და თინა სირაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასის

რუსუდანის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 1447

დამწუხრებულნი ბაბუა სერგო, ბიძები: ბენედიქტე ბიკენტი და გრიგოლი. ბიცოლა ნინა, მამიდები ვარინკა და ნინო, ბიძა, ბიცოლა სილო და ეფროსინე სირაძეები დავსტირით უდროოდ დაკარგულ

რუსუდან იასონის ასულ სირაძეს

დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან რისაკოვის ქ. № 6, 4 საათზე 1443

დამწუხრებული: მეუღლე ფანიკო ალექსანდრეს-ძე. მაზლი აპოლონ და რძალი ლიუბა ჩხეიძეები, მშობლები: კოტე და თებრო, ძმები: იპოლიტე და გრიშა მაჭავარიანები, დები: ბარბარე, ანეტა და მარო, სიძე ზურაბ გამცემლიძე იუწყებიან მათთვის ძვირფას

გალინა ჩხეიძის

გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს, 4 ნახ. საათზე. გამოსვენება გრომაძელის ქუჩა № 75. 1438

მეუღლე ქეთევან [illegible]: მამა, ნინა და ვანო ოდიაშვილები, სიძე ვანო [illegible] და შვილიშვილი [illegible] დაუვიწყარი

გიორგი სიმონის-ძე ოდიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან ლენინის ქ. № 67 კვირას, 2? თებერვალს, 3 საათზე. კუკიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი 28 თებერვალს [illegible] საათზე. 1429

თავზარდაცემული ცოლი ლიუბა, [illegible], ძმები: ამბროსი, საშა და ალეკო თოფურიძეები: [illegible] უსაყვარლესი

აქსენტი ([illegible]) ბუხუტის-ძე თოფურიძე

დაკრძალვა შაბათს, 8 თებერვალს, ს. სალომინაოში. 1423

დები: მარიამ და ნინა გიორგის ასულნი [illegible], დისწულები: [illegible] გიორგი და ექიმი [illegible] ცოლშვილით და ძმისწული ნინა ალიბეკოვა ქმრით [illegible] იუწყებიან

მიხეილ გიორგის-ძე დაფქვიაშვილის

გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან 4 ნახ საათზე. ტურგენევის ქ. № 6 1422

დამწუხრებულნი შვილები: მარია ნორაკიძე, ნუცა გოგიბერიძისა და ძმა გიორგი ილიავა ცოლშვილით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

ნატა დავითის ასული ნორაკიძისა

დაკრძალვა [illegible], 26 თებერვალს. ნ. 466

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ოლია და გიორგი, დები: მარო ნინიკო და [illegible], ძმები: ვასო და ლადო აუწყებენ საზოგადოებას, რომ 27 თებერვალს ნაშ. 4 საათზე [illegible], სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ელენე (ნონიკო) ჩანტლაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 1440

მწუხარებაში მყოფი შვილი აკაკი, რძალი ნინა, პატარა ოთარით და [illegible] და ნათესავები მიხეილ და მარო [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

შარუ გახუს-ძე კაცია

დაასაფლავება გალში. 1441

დამწუხრებულნი: დედა გაიანე, ძმები: აკაკი, ყაისარი, დები: ქეთო, ლიუბა, [illegible], ლიდა, რძლები: თამარა, ანასტასია და ნესტორ დუმბაძე შვილებით იუწყებიან [illegible]

კლიმენტი ვლადიმერის-ძე წიტაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 თებერვალს ასკანაში. ნ 438

თავზარდაცემულნი: მამა მაკარ [illegible], დედა მარგარიტა [illegible] ასული, და [illegible], ბიცოლა ბარბალე, ბიძა მარტინ [illegible] იუწყებიან, რომ 2? თებერვალს, ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი

მაია (მაიკო) მაკარის ას. გევორქოვა

გამოსვენება დღეს, 4 საათზე, (სადგურის ქ. № 31) ვერის ახალ სასაფლაოზე. 1448

მწუხარებაში მყოფნი დები: ელენე და ვერიჩკა, [illegible]

ვარდენ დიანოზის-ძე გზექალავა

დასაფლავება [illegible] 26 თებერვალს. სოფ. შუხუთში 1418

[illegible]

მარო საბას ასულ კვირიკაძე-ჯიქიძის

უდროოდ დაკარგვას 1425

დამწუხრებული მშობლები: დედა ნადეჟდა, მამა ვანო ბაბუა მალხაზი, [illegible] დავსტირით ძვირფას

დათიკო მარაქველიძეს

დაკრძალვა სოფ. კვალითში, 27 თებერვალს. 1450

უახლოესი ამხანაგები: [illegible] დავსტირით ძვირფას ამხანაგს

დავით ვანოს-ძე მარაქველიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. კვალითში, 27 თებერვალს. 1414

თბილისის სამრეწველო [illegible] ტექნიკუმის პედსაბჭო, ადგილკომი და მსმენელთა კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ტექნიკუმის I კურსის მსმენელის, ამხ.

დავით ივანეს-ძე მარაქველიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა დღეს, ს. კვალითში. 1432

თავზარდაცემული ქმარი კირილე, შვილები: [illegible] იუწყებიან, რომ სოხუმში გარდაიცვალა მათი [illegible]

თამარა დავითაია-ჭანტურაიასი

დაკრძალვა დღეს, მაცხოვრისკარში. ნ. 469

[illegible] პატარა

ციალას

უდროოდ გარდაცვალება. დასაფლავება ზესტაფონში, შაბათს, 28 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. 6 478

მამა სერგო, დედა მარიამი, და ციალა ბერიშვილები, [illegible] იუწყებიან, რომ 2 თებერვალს, უეცრად გარდაიცვალა მათი ძვირფასი პატარა ბიჭიკო

თენგიზი ([illegible]) სერგოს-ძე ბერიშვილი

გამოსვენება დღეს, 5 საათზე ტურგენევის ქ. № 4, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 145?

ტირაჟი—71.200

სახაზეინო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904